საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბ. საოლქო კომიტეტების — და — სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე დღის 12 საათიდან 5 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 12 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; [illegible] გარდა [illegible] ფასისა, იხდის [illegible] % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

- ლიბერალებმა კვლავ იხსნეს მაკდონალდის მთავრობა.
- პოლონეთის „სოციალისტური“ პარტიის დამარცხება სეიმის დამატებითი არჩევნების დროს გნეზნენის მაზრაში.
- გადადგა შვეციის მთავრობა.
- რევოლიუციონური მოძრაობის სწრაფი ზრდა ინდო-ჩინეთში.

ოთხშაბათი, 4 ივნისი 1930 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 128 (2776)

დღეს, ოთხშაბათს, 4 ივნისს ნაშუადღევის სრულ 1 საათზე, შესდგება

ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ს. ს. ცაკის მდივანი—ს. თოდრია.

გრძელდება ხელისმოწერა გაზეთ „კომუნისტ“-ზე

ივნისისათვის

მთ. კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

გადამწყვეტი დღეები გაზაფხულის თესვაში

ადგილებიდან მიღებული ცნობების თანახმად გაზაფხულის თესვა თავდება. ძირითად პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა გაითვალისწინეს მარცვლეული პრობლემის გადამწყვეტი მნიშვნელობა და თავიანთი ყურადღება უმთავრესად ამ კულტურის თესვის წარმატებით დასრულების გარშემო დარაზმეს.

ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მარცვლეული კულტურის თესვა საერთოდ დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს: მიმდინარე წლის 25 მაისისათვის მთელ საქართველოში პურის თესვის გეგმა შესრულებული იყო 81,3 პროცენტით ქერის—87 პროცენტით და სიმინდის—84,3 პროცენტით.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ 25 მაისიდან დღემდე განვლილი დროის (10 დღე) განმავლობაში თესვისათვის საუკეთესო პირობები იყო და მინდვრად მუშაობაც გაცხოველებით მიმდინარეობდა—შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამჟამად მარცვლეული კულტურის თესვის გეგმის შესრულების ზემოხსენებული პროცენტი აშკარად გაზრდილი იქნება და ზოგან ცალკე კულტურათა თესვის გეგმა გადაჭარბებით შესრულებული.

ამავე დროს ზოგიერთ ოლქებში და მაზრებში ცალკე კულტურების თესვის მხრივ შემჩნეულია შეუწყნარებელი ჩამორჩენა: სენაკის, ოზურგეთის მაზრებში და კახეთში საგრძნობლად შეფერხებულია სიმინდის თესვა. თითქმის ყველა რაიონებში სუსტად მიმდინარეობს ფეტვის, შვრიის და სოიას თესვა (შესრულებულია გეგმის 57,5 პროცენტი) და ტექნიკურ კულტურებს შორის ჩამორჩა მოელის თამბაქოს თესვას (შესრულებულია გეგმის 19,8 პროც.).

ამის გამო **ადგილობრივი ორგანიზაციების ყურადღება ერთი წუთითაც არ უნდა შენელდეს და სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დასამთავრებლად დარჩენილი უკანასკნელი დღეები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ დასახული გეგმის მთლიანად და გადაჭარბებითაც შესრულებისათვის.**

კონტრაქტაციის გატარების საქმე ვერ მიდის სასურველად: მიმდინარე წლის პირველ ივნისისათვის ნათესების კონტრაქტაციის გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 63,9 პროცენტით. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ პირველ ივნისისათვის მთელ რიგ ოლქებმა და მაზრებმა თესვა უკვე დაამთავრეს—**აშკარად უნდა ითქვას, რომ კონტრაქტაცია ტარდება არადამაკმაყოფილებლად.**

კონტრაქტაციის გეგმის შესასრულებლად პირველ რიგში საჭიროა: კულაკობის წინააღმდეგობისა და მავნებლობის დაძლევა, კონტრაქტაციის შეღავათების, სარგებლიანობის და უპირატესობების ნათლად გარკვევა გლეხობისათვის და საკონტრაქტაციო დავალებების მასიური შემოწმების ჩატარება.

ბოლო უნდა მოეღოს კონტრაქტაციის ფორმალურად „გატარების“ პრაქტიკას. უნდა მივიღოთ გადამწყვეტი და ენერგიული ზომები დადებული ხელშეკრულებების **დროზე და მთლიანად შესრულებისათვის.** წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია მუშათა მომარაგების და პურის დამზადების სამეურნეო-პოლიტიკურ კამპანიის ნაყოფიერად ჩატარება.

შემჩნეულია დანაშაულებრივი უყურადღებობა ინდივიდუალურ მეურნე ღარიბ-საშუალო გლეხებისადმი. გარდა იმისა, რომ კოლექტივებში შეუკავშირებელ ღარიბ-საშუალო გლეხებს ზოგან არ უწევენ საჭირო სამეურნეო დახმარებას—ადგილი აქვს მათდამი თესვის საქმეში ხელის შეშლის ცალკე შემთხვევებსაც.

ეს სრულიად დაუშვებელია. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების, სატრაქტორო და მუშა-საქონლის კოლონების, კოლექტივების და საბჭოთა მეურნეობების პირდაპირი მოვალეობაა დაეხმარონ ახლავე, სადაც კი ეს გვიან არ არის და შესაძლებელია, ღარიბ და საშუალო კერძო მეურნეებს და ყოველმხრივ გააუმჯობესონ მათთან დამოკიდებულება.

სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მიმდინარე პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ნათესების მოვლას და დაცვას; ეს კი პირველ რიგში აყენებს მავნებლებთან სათანადო ბრძოლის გაძლიერების საკითხს. გარდა ადგილობრივი მავნებლებისა (კალია, თაგვი) წელს მოსალოდნელია კალიის შემოსევა სპარსეთის სხვადასხვა რაიონებიდან (სპარსეთის კალიამ საგრძნობი ზიანი მიაყენა აზერბეიჯანის და სომხეთის სოფლების ნათესებს).

ამ დარგში, გარდა სახელმწიფო რესურსებისა და საშუალებებისა, საჭიროა თვით ღარიბ და საშუალო გლეხების, პირველ რიგში კოლმეურნეების და საბჭოთა მეურნეობების, ჩაბმა მავნებლებთან ბრძოლის საქმეში. საქართველოს მიწსახკომმა და სხვა ცენტრალურმა ორგანოებმა უნდა გააძლიერონ მავნებლებთან საბრძოლველი მასალებით და სპეციალისტთა რაზმებით დახმარება ადგილებისათვის.

მეტად ჩამორჩენილი ვართ მოსავლის აკრეფისათვის მზადების მხრივ. სამიწადმოქმედო, კოოპერატიული და სხვა სათანადო ორგანოები ფაქტიურად დღემდე არ შესდგომიან ამ მზადებას. ორი კვირის შემდეგ დაიწყება ქერის და პურის მოსავლის აკრეფა გორისა და კახეთის ოლქებში. ამავე დროის განმავლობაში შეუდგებიან ბალახეულობის თიბვას, ხოლო საჭირო მზადება კი ჯერ არ დაგვიწყია.

გასულ წელს მარცვლეულ კულტურის შირაქის საბჭოთა მეურნეობას მოსავლის აკრეფის მოუწყობლობის გამო 14 ათასი ფუთი ხორბალი და ქერი დაეღუპა. ასეთი მდგომარეობის განმეორებისაგან წელსაც დაზღვეულები არ არიან კოლექტივები და საბჭოთა მეურნეობები. საჭიროა ამიტომ სიფხიზლე და სიფრთხილე.

დაუყოვნებლივ უნდა განაწილდეს მოსავლის ასაკრეფი იარაღ-მანქანები. ამავე დროს ადრევე უნდა შეკეთდეს ის იარაღ-მანქანები, რომელიც ადგილებზე მოიპოვება. გარდა ამისა საფუძვლიანად უნდა მოწესრიგდეს მოსავლის აკრეფისათვის სათანადო დახმარების გაწევა ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეებისათვის. სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს კულაკების ცდას—ჩაშალონ მოსავლის აკრეფის მწყობრად ჩატარება.

გაზაფხულის თესვის დასამთავრებლად რამოდენიმე დღეებია დარჩენილი. დავჭიმოთ მთელი ჩვენი ძალღონე და გამოვასწოროთ სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩამორჩენილი ფრონტები: **შევასრულოთ საკონტრაქტაციო დავალებანი, დავაჩქაროთ სიმინდის და თამბაქოს თესვა, გავაძლიეროთ მავნებლებთან ბრძოლა და ვემზადოთ მოსავლის გეგმიანად აკრეფისათვის.**

გამოვიყენოთ დარჩენილი დღეები თესვის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

პარტია მეთექვსმეტე ყრილობაზე

მიდის უდიდესი მიღწევებით სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტებზე

მოსკოვი, 3 ივნ. (საკ. კორ.) „პრავდა“ პარტმშენებლობის განყოფილების მოწინავე წერილში—„ოპორტუნისტულ ნახტომების წინააღმდეგ, ბოლშევიზმის ორგანიზაციული პრინციპებისათვის“—სწერს: „ქვედა საფეხურის პარტორგანოების არჩევნები ჩატარდა, როგორც პარტიული რიგების კლასობრივი ბრძოლის უნარიანობის და ბოლშევიკური სიმტკიცის გენერალური შემოწმება. მეთექვსმეტე ყრილობაზე პარტია მიდის უდიდესი მიღწევებით ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში. ამ წარმატების მიღწევა შესაძლებელი შეიქნა იმის წყალობით, რომ პარტიამ მოახდინა მშრომელთა უფართოესი მასების მობილიზაცია, იმის წყალობით, რომ პარტიის დროშის ქვეშ ყოველდღიურად, ყოველ საათში დგებიან ათასეული პროლეტარები. დამკვრელობისა და სოცშეჯიბრების გაშლა პარტიის პოლიტიკის შემდგომი წარმატებების საწინდარია. პარტიის შევსება 350 ათასი საუკეთესო პროლეტარით პარტიის უდიდესი სიმტკიცის მაჩვენებელია.

პარტიამ შესძლო სათავეში ჩასდგომოდა მუშათა და გლეხთა მილიონიანი მასების მოძრაობას. პარტიის გამარჯვება სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტებზე უდავოა. ამის არდანახვა შეუძლიათ მხოლოდ ბრმებს, ამის არ გაგება შეუძლიათ მხოლოდ პოლიტიკურ კრეტინებს ან სრულ იდიოტებს.

სასაცილოა ლაპარაკი იმაზე, თითქო პარტუჯრედების ცხოვრება, როგორც ის ახლა მიმდინარეობს, უკვე არ ამოსწურავს პარტიული მასების აქტივობას და თითქო პარტუჯრედების მუშაობა მდგომარეობს მხოლოდ სხვადასხვა დადგენილებათა დამუშავებაში“.

„თუ ეს ასეა, მაშ ყოველდღიურად პრაქტიკულად ვინ ატარებს ცხოვრებაში პარტიის პოლიტიკას, —აყენებს კითხვას „პრავდა“.

„პარტია, — განაგრძობს გაზეთი, — მაგრად დაარტყამს ხელებზე იმათ, ვინც ცილს სწამებს მას და ვინც ღეჯავს ტროცკისტულ - მენშევიკურ იდეებს“.

საქ. კომპარტიის (ბ) მე-VII ყრილობა

მეთერთმეტე სხდომა

გრძელდება კამათი ცენტრალური საკონტროლო კომისიის ანგარიშის გარშემო.

ამხ. ჟანტურია

(ფოთი)

ფოთის მუშები ენთუზიაზმით ეწევიან შრომას. ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს თვითღირებულების შემცირების, სამუშაო დღეების გაცდენის შემოკლების და შრომის ნაყოფიერების გადიდების მხრივ. გეგმით 1929-30 წელს ფოთის ნავთსადგურიდან უნდა გასულიყო 345194 ტონა მარგანეცი. ნამდვილად კი ნახევარი წლის განმავლობაში ფოთის ნავთსადგურიდან გატანილ იქნა 183.751 ტონა მარგანეცი. ამრიგად გეგმა ფოთის მუშებმა ჯერჯერობით შეასრულეს 113 პროც.-ით.

ამას გარდა ფოთში მოვიდენ უცხოეთის გემები, რომელთაც უნდა გაეტანათ 22 ათასი ტონა მარგანეცი. ამ მადანის დატვირთვა ნორმალურად შესაძლებელი იყო 15 დღის განმავლობაში, მაგრამ ჩვენ მივიღეთ დავალება დაგვეჩქარებია მარგანეცის დატვირთვა და 22 ათასი ტონა მარგანეცი დატვირთულ იქნა სამი დღის განმავლობაში. ამრიგად ფოთის მუშებმა დაუზოგეს სახელმწიფოს 10 ათასი მანეთი ოქროთი.

ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ორგანიზაციები ხშირად არ უწევენ ანგარიშს წყლის ტრანსპორტის სიაფეს. არის შემთხვევები, რომ დიდძალი საქონელი ხმელეთის გზებით გადააქვთ. საჭიროა საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება.

ამხ. ს. არეშიძე

პარტიის წმენდა ყველგან არ ტარდებოდა საჭირო აქტივობით. ეს ნათლად დაამტკიცა კოლექტიურ მშენებლობამ, როდესაც პარტიის ცალკე წევრები არაკომუნისტურ ნაბიჯებს სდგამდენ.

გარდა ამისა მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა გაზეთების შესახებ. ხშირია შემთხვევა, როდესაც გაზეთებში იბეჭდება დაუსაბუთებელი კორესპონდენციები. საჭიროა მიღებულ იქნას ზომები ცრუმუშკორების გასაძევებლად კორესპონდენტთა რიგებიდან. ჩვენი გაზეთები მომავალში უფრო ფრთხილად უნდა მოეკიდონ მამხილებელ კორესპონდენციების ბეჭდვას, თორემ არის შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ ბრალდებაზე, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთში ინიშნება კომისიები და საბოლოოდ ირკვევა, რომ წამოყენებული ბრალდებები მოკლებულია სინამდვილეს. კომისიების მუშაობა კი თავისთავად ზედმეტ ხარჯებს იწვევს.

ამხ. რამიშვილი

(თბილისი)

საქართველოში სხვადასხვა სპეციფიურ მიზეზების გამო საბჭოთა აპარატი უფრო მეტ უცხო ელემენტებს იტევს, ვიდრე ამას ადგილი აქვს საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებში. თუ ავიღებთ მარტო სახალხო კომისარიატთა ჯგუფს. დავინახავთ, რომ აქ ყოფილი აზნაურები, ვაჭრები და სხვა უცხო ელემენტების რიცხვი თანამშრომლებში უდრის 47 პროც.-ს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დადგენილებათა შესრულების შემოწმებას. საბჭოთა აპარატის პირადი შემადგენლობის გაუმჯობესებას და საერთოდ მთელი მართვა-გამგეობის საქმის უაღრესად შეხამებას სახალხო მეურნეობის სადღეისო ამოცანებთან.

მთავარი დეფექტი, რომელიც ახასიათებს საბჭოთა აპარატის მუშაობას, ეს არის საბიუჯეტო დისციპლინის სისტემატიურად დარღვევა. ადმინისტრატიულ სამმართველოს ხარჯებზე ხშირად უფრო მეტი თანხა მიდის, ვიდრე ეს გათვალისწინებულია. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატი.

აპარატის მუშაობის მეორე სუსტი ადგილია აღრიცხვის უქონლობა ან მისი მეტად სუსტად წარმოება. საქ. მრეწვ. მშენში ჩვენ ვერ შევძელით მუშაობის ღირებულების გამოკვლევა, ვინაიდან მას არ გააჩნდა სწორი ციფრები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შტატების გაბერვას, რასაც უკანასკნელ დროს ადგილი აქვს განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მონათესავე ორგანიზაციებში. ზოგჯერ ეს ორგანიზაციები ბოროტად იყენებენ იმ პრივილეგიებს, რომელნიც თავისთავად გასაგებ მიზეზების გამო მინიჭებული აქვს დღეს სასოფლო მეურნეობის დარგის ორგანოებს. ეს უნდა ითქვას პირველ ყოვლისა „საქართველოს ჩაის“ შესახებ.

როგორც ვიცით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს აპარატის გაჯანსაღებისათვის რაციონალიზატორულ ღონისძიებების ჩატარებას. მაგრამ ჩვენი აპარატი, რომელიც მიჩვეულია ძველი ტრადიციით მუშაობას, ხშირად დიდ წინააღმდეგობას უწევს ამ ღონისძიებათა განხორციელებას. დაწესებულების ხელმძღვანელი ზოგიერთი კომუნისტები ბიუროკრატების გავლენის ქვეშ ექცევიან და მათთან ერთად ილაშქრებენ რაციონალიზაციის წინააღმდეგ. ახალი შემადგენლობის ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ ამ მდგომარეობას გადამჭრელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს.

დაწესებულებათა პირადი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებას წარმოადგენს წმენდა, რომელიც ბევრგან სასურველად ვერ მიმდინარეობს იმის გამო, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები არ იჩენენ საკმაო ყურადღებას ამ დიდმნიშვნელოვან საქმისადმი.

ამხ. ცქიფურიშვილი

(ჭიათურა)

საჭირაო მშენებლობა ჭიათურაში კუს ნაბიჯით მიმდინარეობს. მთელი რიგი დეფექტები მარგანეცის მრეწველობაში აიხსნება სხვათა შორის იმითაც, რომ ტრესტის აპარატი თავისი პირადი შემადგენლობის მხრივ სათანადო დონეზე არ დგას. იყო გადაწყვეტილება მარგანეცის ტრესტის გაწმენდის შესახებ უცხო ელემენტებისაგან. რატომღაც ეს დადგენილება შეჩერებულ იქნა. საჭიროა დავაჩქაროთ აპარატის წმენდა მარგანეცის მრეწველობაში. უკანასკნელ დროს აქ ყოფილ აზნაურების, თავადების და ოფიცრების რიცხვი სისტემატიურად მატულობს.

მოუწესრიგებელია აგრეთვე ჭიათურაში შრომის საკითხები. ძალიან გახშირდა კონფლიქტები ამ ნიადაგზე. სასამართლოები დატვირთულია საკონფლიქტო საქმეების განხილვით. ეს იწვევს ზედმეტ ხარჯებს, დროის დაკარგვას და, რაც მთავარია, მუშების უკმაყოფილებას.

ცუდად არის დაყენებული აგრეთვე აღრიცხვის საქმე. ამით უნდა ავხსნათ, რომ ჩვენს გაზეთებში ხშირად სულ სხვადასხვა ცნობებია მოთავსებული საწარმოო გეგმის შესრულების შესახებ ჭიათურის მრეწველობაში.

ამხ. იაკოვლევი

(ამიერ - კავკასიის ცენ. საკ. კომ. თავ-რე)

ამხანაგებო! თავის დადგენილებაში ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ აღნიშნა, რომ ამ.-კავკასიის ფედერაციის ორგანოებმა მიმდინარე პერიოდში მთელი ძალღონე უნდა მიმართონ ეროვნულ რესპუბლიკებში სამეურნეო სოციალისტური მშენებლობის გაძლიერებისაკენ, ამ რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაციისა და მათი ტეხნიკურ-სოციალურ გარდაქმნისაკენ. ეს მოითხოვს ყველა ჩვენი ორგანოების მუშაობის საფუძვლიან გარდაქმნას. დაწყებული ამიერ - კავკასიის საოლქო პარტიულ კომიტეტით და გათავებული პარტიული უჯრედით. ეს მოითხოვს მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების საქმიანობის ძირფესვიანად გადახალისებას.

თუ გადავხედავთ მთელ რიგ ჩვენს დირექტივებს, რომელიც ან სრულიად არ ტარდება ცხოვრებაში, ან ძალიან ცუდად და დაგვიანებით ტარდება, ძალაუნებურად გაგახსენდებათ ერთი ფაქტი უკრაინის ერთ-ერთ საოლქო კონფერენციიდან — სადაც გამოვიდა დელეგატი და აღნიშნა, „რაც შეეხება ხაზს, ხაზი იყო, ხოლო რაც შეეხება მუშაობას, მუშაობა არ ყოფილა“-ო.

პარტიულ ხელმძღვანელობის განხორციელება სამეურნეო მშენებლობაში მოითხოვს სახელმწიფო აპარატიდან სულ სხვა სახის მუშაობას, ვიდრე ამას ეხლა აქვს ადგილი.

როდესაც ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტში იდგა საკითხი მუშათა მომარაგების შესახებ, ხუთი წუთის განმავლობაში ჩვენ მოგვცეს სამი ციფრი არსებულ პურის მარაგის შესახებ, და თვითეული ეს ციფრი არ ეთანხმებოდა მეორეს. ასე რომ არ ვიცოდით, რომელი მათგანი ჩაგვეთვალა სინამდვილეთ. აპარატის სიდიდე, ელასტიურობის უქონლობა მუშაობაში, ყოველივე ეს მეტად მწვავე საგრძნობი იქნება უახლოესი პერიოდის განმავლობაში. მუშგლეხინის ამოცანა არის გახდეს პარტიის თვალი და მისი მარჯვენა ხელი, რომ პარტიამ მუშგლეხინის მასალების მიხედვით შესძლოს იმის გაგება, რაც ხდება ნამდვილად მეურნეობის ძირითად დარგებში და კონკრეტულად უხელმძღვანელოს მშენებლობას.

ამიტომ ასეთი საკითხი, როგორიც ჩვენი აპარატის მდგომარეობაა, მეტ ყურადღებას უნდა იპყრობდეს. მე მოვიყვან შემდეგ ციფრებს: ადმინისტრატიულ - სამმართველო ხარჯები ერთ სულზე მთელ საბჭოთა კავშირში შეადგენს 1 მან. და 9 კაპ. ამიერ - კავკასიაში კი — 2 მან. და 6 კაპ. აქ ჩვენ რეკორდი დავამყარეთ. ამიერ - კავკასიას უკან მისჩანჩალებს მხოლოდ ერთი რესპუბლიკა მთელ საბჭოთა კავშირში. ეს არის თურქმენისტანი. თქვენზე წინ მიდის უზბეკისტანი, ბელორუსია და, რასაკვირველია, უკრაინა, სადაც ადმინისტრატიულ - სამმართველო ხარჯები ერთ სულზე უდრის 1 მანეთს და 3 კაპეიკს. მხედველობაშიაც რომ იქნეს მიღებული ადგილობრივი ეროვნული და ყოფა-ცხოვრების თავისებურებანი, მაშინაც უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო აპარატი ჩვენ მეტად ძვირათ გვიზის და სრულიად სამართლიანად დაგვავალა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ მივიღოთ მთელი რიგი ზომები ამიერ - კავკასიის სახელმწიფო და პარტიულ აპარატის მოწესრიგება - გაიაფებისათვის.

ავიღოთ სამრეწველო აპარატი. თქვენ იცით, რომ ადგილი ქონდა მავნებლობას მრეწველობის უდიდეს დარგში (აზნეფტი, კასპარი და სხვ.). რას ნიშნავს მავნებლობა, რომელიც ჩვენ აღმოვაჩინეთ უკანასკნელი კვირეების და თვეების განმავლობაში და რომელიც დაუსჯელი დარჩებოდა მთელი წლობით. ეს მოწმობს ერთი მხრით იმას, რომ ჩვენი ორგანიზაციები არასაკმაო სიფხიზლით უგდებდნენ ყურს იმ სიგნალს, რომელიც უთუოდ იყო და მეორე მხრივ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მრეწველობაში ხელმძღვანელთა მუშაობის ხარისხი დამაკმაყოფილებელი ვერ არის. კომუნისტი დირექტორი ხშირად ჯერ კიდევ განაგებს საქმეს „საერთოდ“. საქმის ნამდვილ ვითარებაში კი არ ერკვევა. საწარმოს ფაქტიურად არ ხელმძღვანელობს. მის მაგივრად მთელ საქმეს უძღვება ტეხნიკური დირექტორი. ეს ყოვლად დაუშვებელი მდგომარეობაა.

ავიღეთ სავაჭრო აპარატი. დღეს ჩვენ ქალაქში პაპიროსებზე რიგები გვაქვს. ჩვენ დაგვაინტერესა ამ გარემოებამ. როდესაც შევეკითხეთ თამბაქოს ტრესტს, გამოირკვა შემდეგი: აპრილში თამბაქოს ტრესტს დაუმზადებია 38 მილიონი ცალი პაპიროსი ამიერკავკასიისათვის. მაისში ეს გეგმა კიდევ უფრო გაუდიდებია. დამზადებულ პაპიროსების რიცხვი უდრის 45 მილიონ ცალს. აქედან თბილისისათვის გადადებული იყო 16 მილიონი. ორი დღის განმავლობაში ემუდარებოდნენ მუშკოოპის აპარატს წაეღო ეს პაპიროსები, მაგრამ მუშკოოპმა ამას ყურადღება არ მიაქცია. აი ამხანაგებო, ზოგჯერ ასეთი უბრალო დაუდევრობა იწვევს ამგვარ უმსგავსობას.

საბჭოთა აპარატის წმენდა უნდა ითქვას გადაჭრით, დამაკმაყოფილებლად ვერ მიმდინარეობს. მე გადმომცეს ასეთი ფაქტის შესახებ. ამიერ - კავკასიის რკინის გზებზე წმენდის დროს გამოძახებულ იქნა ერთ-ერთი თანამშრომლის ცოლი, რომელსაც შეეკითხნენ, თუ ვისთან ცხოვრობს მისი ქმარი. რასაკვირველია, ასეთი შემთხვევები არ შეიძლება განვასაზოგადოვოთ, მაგრამ ეს ფაქტი დამახასიათებელია იმ მხრივ, რომ აპარატის წმენდა ხშირად ვერა დგას სათანადო დონეზე. უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევთ იმას, თუ ვინ იყო ამა თუ იმ მუშაკის ბიძა და ბაბუა და გვავიწყდება მთავარი მუშაობის ხარისხი, თანამშრომლის პირადი ღირსებები. საბჭოთა აპარატის წმენდის სათანადო პოლიტიკურ დონეზე ამაღლების და წმენდის გარშემო მუშათა ფართო მასის მობილიზაციის, დაწესებულებებზე შეფობის გაძლიერების გარეშე, ჩვენ ვერ აღმოვფხვრით საბჭოთა აპარატის მთავარ დეფექტებს და მეტად დავწვრილმანდით.

მუშგლეხინის მოვალეობაა შეუნელებლად ადევნოს თვალყური პარტიის დადგენილებათა განხორციელებას. თუ დღეს გამოტანილია დადგენილება, ჩვენ ხვალვე უნდა ჩავსჭიდოთ მას ხელი და ფხიზლად უნდა ვადევნოთ თვალყური ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას. შესრულების შემოწმება—ამაშია მთავარი ამოცანა. მუშგლეხინი უნდა გადაიქცეს ცოცხალ მომქმედ აპარატად. ჩვენი მიზანი არის არა მარტო იმის აღნიშვნა, თუ სად რა ფუჭდება. ამასთანავე ჩვენ სრულიად სამართლიანად უნდა მოვითხოვოთ, თუ რა გააკეთა მუშგლეხინმა ამ შეცდომების თავიდან ასაცილებლად.

რამდენიმე სიტყვა თვითკრიტიკის შესახებ პიროვნების მიუხედავად. მე მინდა ამ შემთხვევაში უსაყვედურო ჩვენს პრესას. უნდა ითქვას, რომ ჩვენი გაზეთები მეტად ზოგადათ ახორციელებენ თვითკრიტიკის ლოზუნგს. ძალიან ცოტა ყურადღება ექცევა ბოროტების კონკრეტულ ჩამდენთა გამოაშკარავებას. ეს ვერ ვისწავლეთ. ჩვენი პრესა ამ შემთხვევაში უფრო გაბედულობას უნდა იჩენდეს. ზოგჯერ ხდება სრულიად გადამლაშება და უხამსო გამოსვლა ცალკე მუშაკების წინააღმდეგ. ჩვენ გვინდა ცხოველმყოფელი თვითკრიტიკა და არა ზოგადი კრიტიკა.

ჩვენ ხშირად ვუსაყვედურებთ სამრეწველო ორგანიზაციებს, რომ ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მუშათა წინადადებებს. ეს საყვედური სავსებით სამართლიანია. მაგრამ საჭიროა ყურადღება მიექცეს ჩვენს საკუთარ უყურადღებობასაც ამ შემთხვევაში. ძალიან ხშირად კეთდება გრძელ-გრძელი მოხსენებები, იმართება გაცხოველებული კამათი, რომლის დროსაც აუარება წინადადებები შემოდის. მაგრამ რეზოლიუციები მოხსენების გარშემო თითქმის ყოველთვის იწერება ამ წინადადებათა გათვალისწინების გარეშე. განა ეს არ არის უყურადღებობის ერთ-ერთ ნიმუშთაგანი?

მუშათა და გლეხთა ინსპექცია მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის მოვალეობას, თუ მის ორგანოებში პარტია მოუყრის თავს, როგორც ლენინი ამბობდა, ყოველივე კარგს, რაც კი რამ არის ჩვენს სოციალურ სკოლაში. პარტიის ხელმძღვანელი ორგანო — საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პოლიტბიურო არც ერთ დიდმნიშვნელოვან სამეურნეო საკითხს არ განიხილავს ისე, თუ არ იქნა მოსმენილი მუშგლეხინის თანამოხსენება. ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებმა უნდა შეითვისონ მუშათა და გლეხთა ინსპექციის როლი და მნიშვნელობა ჩვენს მუშაობაში. და ამის შემდეგ საუკეთესო მუშაკები თვით მოვლენ მუშგლეხინის ორგანოებში. მე სრულ იმედს გამოვთქვამ, რომ პარტია ამ მხრივ საჭირო დახმარებას გაგვიწევს და მუშათა და გლეხთა ინსპექცია თქვენთან ერთად შეეცდება წავიდეს წინ ახალი მიღწევებისაკენ (ტაში).

ამხ. ოდილავაძე

(თბილისი)

ამხანაგებო! თბილისის აღმასკომის ბიუჯეტში ერთ-ერთ მტკივნეულ ადგილს წარმოადგენს დავალიანება ცალკე პირებისა და დაწესებულებების მხრივ ბინის ქირის, ელექტრონის სინათლის და წყალის საფასურის გადახდის დარგში. ეს დავალიანება ამჟამად ნახევარ მილიონ მანეთს აღწევს. ასეთი თანხით აღმასკომს შეეძლო მთელ რიგ მნიშვნელოვანი საქმეების შესრულება. მოვალეები მთელი წლობით არ იხდიან ბინის ქირას, ელექტრონისა და წყალის ფასს. პერსონალური დავალიებები ამ მხრივ ხშირად ათას მანეთებში გამოიხატება. არიან საბჭოთა დაწესებულებები, რომელნიც რეგულიარულად არ იხდიან ამ ფულს და სამაგიეროდ აძლიერებენ ადმინისტრატიულ სამმართველო ხარჯებს.

რამდენიმე სიტყვა ტრანსპორტის შესახებ. ყველამ იცის, რომ ჩვენი ორგანიზაციები და კერძოთ თბილისის აღმასკომი ტრანსპორტის დიდ სიმცირეს განიცდის. ამავე დროს არის შემთხვევები, როდესაც სამეურნეო ორგანიზაციები, რომელთაც ზედმეტი სატრანსპორტო საშუალებები აქვთ, ჰყიდიან მათ გადამეტებულ ფასებში. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. სატრანსპორტო საშუალებათა განაწილება უფრო სწორად უნდა სწარმოებდეს.

ამხ. მზარეულაშვილი

(თბილისი)

ამხანაგებო, მუშგლეხინის მოვალეობაა გააუმჯობესოს მშენებლობა. მან არა მარტო უნდა შეამოწმოს მშენებლობის მსვლელობა, არამედ უნდა გაუწიოს სამშენებლო ორგანოებს დახმარება.

გარდა ამისა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სპეციალისტების გადაბირებას ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში დიდი ხელფასის შეძლევით. უნდა მივიღოთ ყოველივე ზომები იმისათვის, რომ სპეციალისტთა მცირე კადრები, რომელნიც ჩვენ მოგვეპოვება, რაც შეიძლება მიზანშეწონილად იქნან გამოყენებული.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მუშათა საქმიან წინადადებებს და გამომგონებლობას. თუ რამდენად ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ, ამას მოწმობენ შემდეგი ციფრები. სულ განვლილი წლის პერიოდში ერთ-ერთ ორგანოში შემოსულ იქნა 117 მუშათა წინადადება. აქედან მიღებულ იქნა მხოლოდ 77. ჯილდო კი მისცეს 18 მუშას. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი დამოკიდებულებით გამომგონებლობისადმი ჩვენ ვერ წავახალისებთ მუშებს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოთა აპარატის წმენდას, რომელიც ხშირად სუსტად მიმდინარეობს. ავიღეთ თუნდაც მარგანეცის ტრესტი, სადაც ყოფილ აზნაურთა და სხვა არასაბჭოთა ელემენტების რიცხვი დღითი-დღე იზრდება. აპარატის გამოწმენდის ნაცვლად ჩვენ აქ ვღებულობთ აპარატის გაძლიერებას აზნაურულ ელემენტებით.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში არ არის მოწესრიგებული მუშათა დაზღვევის საქმე უბედურ შემთხვევისაგან. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ უბედური შემთხვევათა რიცხვი დღითი-დღე მატულობს. ამ გარემოებას შესაფერი ანგარიში უნდა გაეწიოს.

ამხ. ფირიაშვილი

(გორის ოლქი)

პარტიული მასა უმეტეს ნაწილად დატვირთულია სხვადასხვა საზოგადოებრივი და პარტიული დავალებებით. ამიტომ იგი სათანადო დახმარებას ვერ უწევს მუშგლეხინის ორგანოებს. რასაკვირველია, ეს გარემოება უარყოფით გავლენას ახდენს ამ უკანასკნელთა მუშაობაზე.

მუშათა ბრიგადები დიდ როლს თამაშობენ საბჭოთა აპარატის გაჯანსაღების საქმეში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მოსამსახურეები ამ მუშაობაში ძალიან სუსტად მონაწილეობენ. იყო შემთხვევა, როდესაც მოსამსახურეები კითხულობდნენ: ვიმუშავებთ, მაგრამ გონორარი თუ იქნებაო?“.

ამხ. ივანოვ-კავკასკიმ აღნიშნა, რომ საკონტროლო კომისიასა და მ. გ. ინსპექციის აპარატში არ გვყავს მუშაკთა სათანადო კადრები. ეს მართალია. სწორედ ამიტომ არის საჭირო ზომების მიღება ინსპექციის მუშაკთა გადასამზადებლად.

ყურადღება უნდა მიექცეს მშენებლობისათვის მასალების დროზე მიწოდებას. დაუშვებელია ისეთი მოვლენა, როგორსაც ადგილი აქვს კასპის ცემენტის ქარხანაში: ზოგიერთი მასალის უქონლობის გამო ბრკოლდება ამ ქარხნის დასამთავრებელი მუშაობა.

ბაქო-ბათომის ნავთსადენისა და კეროსინის სადენის საქაჩავი სადგურები სხვადასხვა ადგილას არის მოთავსებული. ეს იწვევს საშუალებების მეტ ხარჯვას. სადგურები რომ ერთად იყოს, მაშინ ერთი სადგურის შტატი ორივეს მოუვლიდა. ჩვენ ვაყენებთ საკითხს სადგურების შეერთების შესახებ, მაგრამ ეს ნავთსადენების სხვადასხვა ორგანიზაციებს ეკუთვნის და ამიტომ შედეგს ვერ ვაღწევთ.

სოფლის უჯრედები განსაკუთრებულ ყურადღებით უნდა მოეპყრან თავისი სოფლის სოციალური შემადგენლობის შესწავლას. დღემდე კულაკობის განსაზღვრა მხოლოდ ფინსახკომის ცნობების მიხედვით ხდება. ამ ნიადაგზე ბევრ შეცდომას აქვს ადგილი, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს გამოირკვა. მომავალში ასეთ შემთხვევებს ადგილი არ უნდა ექნეს.

ამხ. ივანოვ-კავკასკის საბოლოო სიტყვა

ამხანაგებო, პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ გამოსულმა ორატორებმა არასაკმარისად გააკრიტიკეს ცენტრალ. საკონტროლო კომისიის მუშაობა. მე მოველოდი ჩვენი მუშაობის უფრო მეტ და უფრო კონკრეტულ-კრიტიკულ შეფასებას. მაგრამ არც ის კმარა, რომ მარტო ყრილობებზე და კონფერენციებზე დავკმაყოფილდეთ მუშაობის გაკრიტიკებით. საჭიროა თვითკრიტიკა გადაიქცეს ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის მეთოდად. ჩვენი მუშაობის ორგანიულ ნაწილად.

მე თვითონ საკმაოდ ბევრი ვილაპარაკე საკონტროლო კომისიის დეფექტებზე. ჩვენ ისედაც ბევრი გვაქვს საკუთარი ცოდვები. ამიტომ მე დაუშვებლად მიმაჩნია, როდესაც ზოგიერთი ამხანაგები გამოდიან და ისეთ ნაკლს გვაწერენ, რომლისთვისაც პასუხისმგებელი არა ვართ. ამ მხრივ საგულისხმოა ამხ. პევცოვის გამოსვლა, რომელმაც არჩია თავდაცვიდან თავდასხმაზე გადასვლა. მისი სიტყვა უფრო ატარებდა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მუშაობის დეფექტების მიჩქმალვის ცდას. ამხ. პევცოვს არ მოსწონს, როცა მას მიუთითებენ მშენებლობის დეფექტებზე. მან სთქვა, რომ ჩვენ გადავწყვიტეთ დეფიციტურ საქონლის (ცემენტის—კირით შეცვლა, მაგრამ კირიც არ აღმოჩნდაო. რასაკვირველია, თუ ზამთრის თვეებში არ მოვემზადეთ მშენებლობისათვის, ყოველთვის დავდგებით ასეთი ფაქტების წინაშე. კირი ადვილი დასამზადებელია და საჭირო იყო წინდაწინ მიგვეღო ამისათვის ზომები. გარდა ამისა ჩვენი მრეწველობა ხშირად უპროექტოთ მუშაობს. ეს კი უდიდეს დაბრკოლებებს ქმნის, აუარესებს მშენებლობის ხარისხს და დიდ ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას.

უნდა შევეხო აგრეთვე ამხ. გ. სტურუას გამოსვლას, რომელმაც ილაპარაკა მუშგლეხინისა და სასამართლოს ორგანოების ურთიერთობაზე, აღსანიშნავია, რომ ამხ. სტურუა ერთი სიტყვითაც არ შეეხო იუსტიციის კომისარიატის მუშაობას. ამავე დროს მე შემიძლია დავასახელო ერთი ფაქტი, რომელიც მოწმობს, რომ ბიუროკრატიზმს საკმაოდ აქვს გადგმული ფესვები ჩვენი პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებშიაც. აპრილში თბილისის ბაზარზე გამოტანილ იქნა ცუდი ხარისხის ხორცი, რომელიც არ მიიღო ბაქომ, არ მიიღო ერევანმა და თბილისის ბაზარზე კი მაინც გამოიტანეს. ჩვენ ეს საქმე გადავეცით იუსტიციის კომისარიატს და დავავალეთ მოეწყო საჩვენებელი პროცესი. ეს საქმე დღემდე ჭიანურდება. და ეხლა ამ საქმეს არავითარი აზრი აღარ აქვს.

ორიოდე სიტყვა მრეწველობის მიერ შინაგან რესურსების გამოყენების შესახებ. მე ვთქვი, რომ ტრამვაის ზედმეტი სათადარიგო მასალები აქვს შემონახული თქო, ამხ. სირაძეს სჩანს ეს არ მოეწონა. ის შეეცადა ამ ბრალდების გაფანტვას, მაგრამ აი რაიკომის მიერ ჩატარებული უკანასკნელი გამოკვლევა, რომელიც მოწმობს, რომ ტრამვაის საწყობებში დაგროვილია 1.200 ათასი მან. სათადარიგო მასალები, დებულების თანახმად კი თვითეულ საწარმოს შეუძლია მხოლოდ სამი თვის სათადარიგო საქონელი იქონიოს.

რამდენიმე სიტყვა პარტიის წმენდის დროს შემჩნეულ დეფექტების გამოსწორების შესახებ უნდა ითქვას, რომ უჯრედები ხშირად არ ახორციელებენ იმ მითითებებს, რომელნიც მათ მისცა გამწმენდი კომისიებმა. ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს.

აქ ზოგიერთი ამხანაგები შეეხნენ მსუბუქი კავალერიის მუშაობას, უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მთელ რიგ დეფექტებისა, მსუბუქ კავალერიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა აპარატის გაჯანსაღების საქმეში. ჩვენ ვერ ვაფასებთ მსუბუქ კავალერიის მუშაობას და ვერ ვუწყობთ ხელს მისი საქმიანობის გაფართოებას.

ამხ. კიკნაძემ, გვისაყვედურა, რომ ჩემი სიტყვის ერთი ნაწილი სწორად არ გამოხატავდა იმ მდგომარეობას, რომელიც ჩვენ ეხლა გვაქვს პრესის დარგში. პრესა ჩვენი მებრძოლი ორგანოა, ის არის პარტიისა და ამავე დროს, რასაკვირველია, ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ძლიერი დამხმარე ძალა. აქ სთქვეს, რომ, როდესაც კი ვლაპარაკობდი თვითკრიტიკის დამახინჯების შესახებ—ამან ტაში გამოიწვია სამეურნეო მუშაკ დელეგატებშიო და ეს არაა გასაკვირველი რადგან, თუ პრესა ცდება, ჩვენი ვალია აღვნიშნოთ ეს. ამავე დროს გაზეთებს უნდა მოვთხოვოთ, რომ მათ მეტი დაუნდობლობა გამოიჩინონ თვითკრიტიკის დარგში, უფრო დაუნდობლად ამხილონ კონკრეტული ბოროტმოქმედების ფაქტები და ამ ბოროტმოქმედებათა ჩამდენი პიროვნება, ხოლო ყოველნაირად ერიდონ გადამლაშებას და უსაფუძვლოდ სახელის გატეხას ცალკე მუშაკებისათვის. ამ მიზნით ზედმეტი არ იქნებოდა, თუ ჩვენი რედაქციები განთავისუფლდებიან ზოგიერთ საეჭვო მუშკორებისაგან, რომელიც ღირსი არ არიან ატარონ მუშკორის სახელი.

დასასრულ რამდენიმე სიტყვა ამხ. საბაშვილის გამოსვლის გამო. ის ამბობდა, რომ მე მუშა ვარ, წერა იმდენად არ მეხერხება და ამიტომ დავავალე სხვას მოხსენების შედგენა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სისტემაში შემავალ საწარმოების ამიერ-კავკასიის ორგანოების ხელში გადასვლის საკითხის შესახებო. შეცდომაც სწორედ ამაში მდგომარეობს, რომ მან ასეთი საპასუხისმგებლო საქმე დაავალა ნაციონალ დემოკრატს და ცნობილ შოვინისტს გოთუას, რომელსაც სხვანაირად არ შეეძლო დაეწერა. ასეთია მისი აზროვნება. ამიტომ ჩვენ ეს არც კი გვაკვირვებს. მთავარი ის არის, თუ როგორ მოხდა, რომ ეს საძაგელი წერილი ორი კვირის განმავლობაში გამოკიდებული იყო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დერეფანში. როგორ მოხდა, რომ დაწესებულების კომუნისტ ხელმძღვანელებმა დაავალეს მოხსენების შედგენის საქმე მისცეს სწორედ გოთუას. თუ ამხ. პ. საბაშვილი მუშაა, ჩვენ მეტი უფლება გვაქვს მოვსთხოვოთ მას, როგორც მუშას, გამოიჩინოს კლასობრივი გრძნობა და მტკიცედ გაატაროს პარტიის ხაზი და ამიტომ არის, რომ ჩვენ ასეთ დიდ ყურადღებას ვაქცევთ მუშათა დაწინაურებას.

დასასრულ ამხ. ივანოვ-კავკასკიმ ილაპარაკა მუშგლეხინის მორიგი ამოცანების შესახებ და აღნიშნა ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების საუკეთესო მუშაკებით გაძლიერების აუცილებლობა.

მეთორმეტე სხდომა

სასოფლო-სამეურნეო საგაზაფხულო კამპანიის მსვლელობა და საკოლმეურნეო მშენებლობა საქართველოში

ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენება

ამხანაგებო! ჩემი მოხსენება შეიცავს ორ დიდ საკითხს. ესენია: საგაზაფხულო თესვის მსვლელობა საქართველოში და საკოლმეურნეო მოძრაობის შედეგები და პერსპექტივები ჩვენში. ორივე ამ საკითხს შეეხენ წინა მომხსენებლები და აგრეთვე კამათში გამოსული ორატორებიც. მიუხედავად ამისა ხსენებული საკითხები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჭიროა ყრილობის ყურადღება კიდევ ერთხელ იქნეს მიქცეული ამ საკითხებზე,

თესვა საქართველოში

პირველ ყოვლისა, მე შევჩერდები საგაზაფხულო თესვის მსვლელობაზე. იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ თუ რა მდგომარეობა გვაქვს ჩვენ ამ მხრივ დღეს, საჭიროა მოვიხსენიოთ როგორ ჩატარდა თესვა უკანასკნელ შემოდგომაზე. ის მით უფრო ადვილია, რომ შემოდგომის თესვის შესახებ ჩვენ უკვე გვაქვს საბოლოო ციფრები, რომლებიც შემდეგს გვეუბნებიან: შემოდგომაზე გეგმით განზრახული იყო ნათესი ფართობის გადიდება 16.000 ჰექტარით, ნამდვილად კი ფართობის გადიდება უდრის 42500 ჰექტარს. ამრიგად თუ ავიღებთ 1928 წლის შემოდგომას, უნდა ვთქვათ, რომ 1929 წლის შემოდგომაზე გეგმა დიდი გადაჭარბებით იქნა შესრულებული. განსაკუთრებით ეს მოხდა დასავლეთ საქართველოში.

ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ შემოდგომის ნათესებს, რადგან შემოდგომაზე დათესილი ყანები უფრო დაზღვეული არიან გვალვის სტიქიისაგან.

საგაზაფხულო თესვის საბოლოო შედეგები ჯერ-ჯერობით ჩვენ არ მოგვეპოება, მაგრამ ის ცნობებიც, რომლებიც გვაქვს უკვე მოწმობენ, რომ თესვა ჩვენში წარმატებით მიმდინარეობს. ასე მაგ.: თუ ავიღებთ წარსული თვის 25 რიცხვს, ამ დროისათვის ჩვენ შემდეგი სურათი გვქონდა: მარცვლეული კულტურის ნათესი ფართობი გაიზარდა გეგმასთან შედარებით 4,8 პროცენტით. ტეხნიკურ კულტურათა ნათესების ფართობი შესრულებული 106,6 პროცენტით. მრავალწლიანი ნარგავების კულტურა—გეგმასთან შედარებით გაფართოებულია 12 პროცენტით. 25 მაისის ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ ხორბლეული კულტურა დათესილია 583.515 ჰექტარი. ნათესი მოედანი წინა წლის გაზაფხულთან შედარებით გადიდებულია 21878 ჰექტარით, პროცენტულად ზრდა შეადგენს 3,9 პროც., ლობიო, დათესილია 10400 ჰექტარი, ე. ი. მეტი შარშანდელთან შედარებით. ტეხნიკურ კულტურების ნათესები 6 პროცენტით აჭარბებენ შარშანდელ მდგომარეობას ამ დარგში. თუ წარსულ წელს ტეხნიკურ კულტურათა ხვედრითი წონა ნათესებში შეადგენდა 8,4 პროცენტს, წელს, მისი ხვედრითი წონა უდრის 19,4 პროცენტს. ამავე დროს ჩვენ შემოვიღეთ ბალახების კულტურა. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მესაქონლეობის განვითარებისათვის. ბალახების კულტურის ნათესი მოედანი უდრის 12170 ჰექტარს.

ამნაირად 25 მაისისათვის ხორბლეული კულტურის დარგში გეგმა უკვე შესრულებულია 83,8 პროცენტით. ტეხნიკურ კულტურის დარგში—64,1 პროცენტით. საერთო გეგმა მთელი ნათესების მიხედვით 25 მაისს განხორციელებულია 87 პროცენტით. ეს იმ დროს, როდესაც თესვა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას დასავლეთ საქართველოზე, სადაც თესვა ჯერ კიდევ გაცხოველებით მიმდინარეობს.

ამასთან დაკავშირებით უნდა შევეხოთ საბჭოთა მეურნეობების მუშაობას. საჭიროა აღინიშნოს, რომ საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობის საქმე მოწესრიგებული ვერ არის. საბჭოთა მეურნეობანი დღემდე მოქცეული არიან მთელ რიგ სხვადასხვა ორგანიზაციების გამგებლობაში. ეს კი დიდათ ვნებს საქმეს. უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინაში და ჩრდილოეთ კავკასიაში ფართოთ არის გავრცელებული უდიდესი საბჭოთა მეურნეობანი, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს საკოლმეურნეო მშენებლობაში. ამიტომ საბჭოთა მეურნეობების განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

თუ ასეთი მიღწევები გვაქვს ჩვენ თესვის დარგში—ამას ვერ ვიტყვით მესაქონლეობაზე. ამ მხრივ ჩვენ ზრდის ნაცვლად უკან ჩამოვრჩებით გეგმით დასახულ ვარაუდს. უნდა ითქვას, რომ ეს მდგომარეობა ნაწილობრივ იმის შედეგიც არის, რომ საკოლმეურნეო მშენებლობის დროს ადგილი ჰქონდა მრავალ გაუგებრობას, მესაქონლეობის საკითხში.

თქვენ იცით, ალბად, რომ საქართველოში დაარსებულია აგრო ინდუსტრიალური კომბინატი, რომლის შესახებაც ახლო წარსულში გაზ. „კომუნისტ“-ში მოთავსებული იყო ამხ. კ. ჩხენკელის წერილი. უნდა ითქვას, რომ აგრო-ინდუსტრიალური კომბინატი წარმოადგენს სრულიად ახალ და დიდ მნიშვნელოვან მოვლენას არამარტო ჩვენში, არამედ საბჭოთა კავშირში. ჯერ-ჯერობით ძნელია იმის თქმა, თუ რა სახეს მიიღებს საბოლოოდ აგრო-ინდუსტრიალური კომბინატი. ერთი რამ ცხადია, რომ მას შეუძლია ითამაშოს უდიდესი როლი სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში. განსაკუთრებულ მუშაობას აწარმოებს აგრო-ინდუსტრიალური კომბინატი უმაღლეს ტეხნიკურ კულტურათა განვითარების დარგში. ქუთაისის ოლქის და სენაკის მაზრის იმ რაიონებში, სადაც კომბინატი არსებობს უმაღლეს ტეხნიკურ კულტურას უთუოდ დიდი მომავალი აქვს და აგროინდუსტრიალურ კომბინატის მუშაობა იქვე არ არის შესაფერ ნაყოფსაც გამოიღებს. ჩვენ ჯერ კიდევ იმდენად ჩამორჩენილი ვართ ტეხნიკურად, რომ არ ვიცით მთელ რიგ მცენარეების მიზანშეწონილად გამოყენება. ავიღოთ თუნდაც ძაძა, ანუ როგორც მას ბევრ რაიონებში ეძახიან იაპონიის ლობიო. რუსულად ამ მცენარეს ჰქვია სოია. ირკვევა, რომ მისგან კეთდება მრავალი სახის სხვადასხვა საკვები ადამიანისათვის. სოიას აგრეთვე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მესაქონლეობის განვითარებისათვისაც. ამის შესახებ ჩვენ მოკლე ინფორმაციას გაგვიკეთებს აგრონომი-ტეხნიკოსი, რომელიც მუშაობს სპეციალურად ამ საქმეზე.

რაში მდგომარეობს საკოლმეურნეო მშენებლობის შეცდომები

გადავდივართ საკოლმეურნეო მოძრაობის ამოცანებზე. მაგრამ სანამ საკითხს არსებითად შევეხებოდე, მინდა ორი შენიშვნა გავაკეთო: მე მომიხდება შეცდომების აღნუსხვა საკოლმეურნეო მშენებლობიდან და არავინ იფიქროს, რომ ვისმეს პირადათ ბრალს ვდებ ამ შეცდომებისათვის, ყველა ჩვენ და თქვენთან ერთად მეც პასუხს ვაგებთ. მეორე გარემოება, რომელიც მე მინდა აღვნიშნო, ეს არის ის, რომ ზოგიერთებს გონიათ თითქოს ის სიძნელენი, რომელსაც ეხლა ადგილი აქვს საკოლმეურნეო მშენებლობაში, არის პარტიის ხაზის უვარგისობის შედეგი. ეს ღრმა შეცდომაა. ეს ნიშნავს მემარჯვენეთა შეხედულების გაზიარებას და კულაკობის დაცვის პოზიციაზე დადგომას. მართალია, ჩვენ გვქონდა შეცდომები და ჩვენ ერთგვარად დავიხიეთ უკან, მაგრამ ეს იყო დახევა არა პარტიის ხაზისაგან, არამედ შეცდომებისაგან, შემცდარი პოზიციიდან უკან დახევა. პარტიის ხაზი რჩება ისეთი, როგორიც იყო და ჩვენი მოვალეობაა მთელი ძალღონით განვაგრძოთ მისი სწორად გატარება.

უდავოა, რომ საშუალო გლეხობა დიდი ენტუზიაზმით მიისწრაფოდა კოლექტიურ მეურნეობებში. ეს აქ უკვე იყო აღნიშნული. მაგრამ ჩვენ მიერ დაშვებულ უხეშ შეცდომებით ბევრგან საშუალო გლეხობის ეს ჯანსაღი მისწრაფება მოდუნებული იქნა. გადავავლოთ თვალი ახლო წარსულს. წარსული წლის შემოდგომაზე დაახლოვებით ოქტომბერში და ნოემბერში კოლმეურნეობათა რიცხვი მთელ საბჭოთა კავშირში საშუალოთ შეადგენდა 7,5 პროცენტს. კავშირის ცალკე რაიონებში კი, როგორც მაგ.: ჩრდ.-კავკასიაში, ყირიმში, ქვემო ვოლგის მხარეში, უკრაინაში და სხვაგან კიდევ უკეთესი მდგომარეობა იყო. ზოგიერთ ამ რაიონებში კოლმეურნეობათა რიცხვი 12 პროცენტზე მეტს აღწევდა. და ეს ამხანაგებო იმიტომ, რომ აქ მტკიცედ ტარდებოდა ნებაყოფლობითი პრინციპი საკოლმეურნეო მშენებლობაში.

პარტიის დირექტივა და ადგილობრივი პრაქტიკა

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმზე ამ მიღწევების მიხედვით შესაძლებლად იქნა ცნობილი ზოგიერთი რაიონების გადასვლა მთლიან კოლექტივიზაციაზე. მით უფრო, რომ ეს რაიონები ბევრ შემთხვევაში ფაქტიურად უკვე წარმოადგენდნენ მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებს. რა მდგომარეობა გვქონდა ჩვენ საქართველოში? 1928 წელს კოლმეურნეობათა რიცხვი საქართველოში შეადგენდა 0,9 პროცენტს, 1929 წლის მაისში—3,1 პროცენტს. წარსული წლის მეორე ნახევარში უკვე შესამჩნევი ხდება საკოლმეურნეო მოძრაობა და მთელ საქართველოში კოლმეურნეობათა პროცენტი ერთი ორად იზრდება და ის უკვე აღწევს 6,8 პროცენტს.

იანვრის პირველ რიცხვებში, სახელდობრ 6 იანვარს, ჩვენ ვკითხულობთ პრესაში საკავშირო კომპარტიის ცეკას უაღრესად მნიშვნელოვან დადგენილებას, რომელშიაც ხაზ გასმით არის აღნიშნული ორი მომენტი. პარტია აყენებს საკითხს კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეკვეციდან, კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციაზე გადასვლის შესახებ. ამასთანავე ცეკას ხსენებული დადგენილება გადაჭრით აფრთხილებს ადგილობრივ ორგანიზაციებს არ მიმართონ კოლექტიურ მეურნეობათა დეკრეტებით დანერგვას, არ დაუშვან ადმინისტრატიული გადახრა ამ საქმეში.

14 იანვარს, შეიკრიბა საქართველოს ცეკას კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმი და აი მე მინდა მოვაგონო ამხანაგებს თუ რა განწყობილება იყო აქ. მინდა მოვაგონო, თუ რამდენად თვალწარმტაცი სალებავებით გვისახავდნენ ზოგიერთი ამხანაგები საკოლმეურნეო მშენებლობის განვითარებას საქართველოში. მაგ.: გორის ოლქის წარმომადგენელი აღნიშნავდა, რომ საოლქო კომიტეტის დადგენილებით 1930 წლის ბოლოში გორის მაზრაში კოლექტიურ მეურნეობათა რიცხვი უნდა ყოფილიყო 50 პროცენტი. არ გაუვლია ერთ თვეს, ამბობს ხსენებული ოლქის წარმომადგენელი, რომ მდგომარეობა სრულიად შეიცვალა, გამოირკვა, რომ ჩვენ ჩამოვრჩით და ეს ვარაუდი გავადიდეთ.

კახეთის ოლქის პასუხისმგებელი წარმომადგენლები ამავე პლენუმზე ამბობენ, რომ მთლიანი კოლექტივიზაცია უკვე რეალური ფაქტი ხდება არა კახეთის ოლქის მთელ რაიონებში. ჩვენი ვარაუდი იყო კახეთის ოლქში კოლმეურნეობათა პროცენტის აყვანა 35 პროცენტამდე. მაგრამ ეხლა უკვე პრაქტიკულად შესაძლებელი ხდება ოლქის მთლიან კოლექტივიზაციის რაიონად გამოცხადებაო.

თბილისის ოლქის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დიღომის რაიონში განზრახული იყო კოლექტივთა პროცენტის 25-მდე აყვანა, ეხლა კი მარტო ყარაიაზის რაიონში კოლმეურნეობათა რაოდენობა უკვე უდრის 60 პროცენტს და დღეს მივიღეთ იქიდან დეპეშა იმის შესახებ, რომ ყარაიაზი გადადის მთლიან კოლექტივიზაციაზე.

ქუთაისის ოლქის წარმომადგენელი აცხადებდა, რომ სამტრედიის, ხონის და ქუთაისის რაიონების კოლმეურნეობებში გაერთიანებულია გლეხკაცობის 30 პროცენტამდე, ხოლო ოზურგეთის სამაზრო კომიტეტის წარმომადგენელი აღნიშნავდა, რომ 1930 წლის გაზაფხულის ბოლოს კოლმეურნეობათა რიცხვი შეიძლება გადიდდეს ჩვენს მაზრაში 25-30 პროცენტამდეო.

აი, ამხანაგებო ასეთი განწყობილება იყო საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას იანვრის პლენუმზე და ამიტომ გასაგები არის, თუ პლენუმმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც მექანიკურად არის გატარებული კოლმეურნეობათა მშენებლობის დაჩქარების აუცილებლობის ის აზრი, რომელიც საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილების მიხედვით შეეხებოდა მხოლოდ მოწინავე ხორბლეულ რაიონებს.

ამის შემდეგ იმართება ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმი. აქ განწყობილება უფრო აწეულია, თბილისის პარტორგანიზაციის დელეგატი აცხადებს, რომ საოლქო კომიტეტს საყვედური უთხრეს პლენუმზე ადგილობრივ მუშაკებმა იმის გამო, რომ თბილისის ოლქი არ არის გამოცხადებული მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონად. ამავე პლენუმზე გამოდის ჩვენი. კარგი ამხანაგი ტაგუევი, რომელმაც აცნობა პლენუმს იმის შესახებ, რომ აზერბეიჯანში გამოცხადებული იქნება კოლექტივიზაციის ორ კვირეული და ყველა მოჯამაგირე, ღარიბი და საშუალო გლეხი შეყვანილ იქნება კოლექტივებში, ხოლო რაც შეეხება განჯის ოლქს ის უკვე გამოცხადებულია მთლიან კოლექტივიზაციის რაიონადო.

ერთად-ერთი ორატორი, რომლის გამოსვლამაც დისონანსი შეიტანა პლენუმზე არსებულ განწყობილებაში, ეს იყო ამხ. ს. მამულია, რომელიც აღნიშნავდა, რომ დაუშვებელია ამჟამად აჭარისტანის სინამდვილის გაუთვალისწინებლად კოლექტივიზაციის საერთო ტემპის მექანიკურად გადატანა ამ ოლქში. მას ამის გამო თავს დაესხა ამხ. ტაბოლოვი, რომელმაც ამხ. მამულიას უსაყვედურა მემარჯვენეობა. ამავე დროს გამოდის ამხ. კრინიცკი, რომელიც იზიარებს ტაბოლოვის აზრს.

აი ამხანაგებო, მოკლედ ის განწყობილებანი, რომელთაც ჩვენში ადგილი ქონდა კოლექტივიზაციის „თავბრუ დამხვევი“ ტემპებით მშენებლობის დროს. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ გადაჭრით გაგვაფრთხილა, რომ არ დაგვეშვა ადმინისტრატიული გადახრა ამ დიდი მნიშვნელობის საქმეში. მიუხედავად ამისა ეს გაფრთხილება დავიწყებას მიეცა და ამ ნიადაგზე დაშვებულ იქნა მთელი რიგი ტლანქი შეცდომები.

უნდა ითქვას, რომ არც ერთი კამპანია არ ჩაუტარებია ჩვენს პარტიას ისე მოუმზადებლად, ადგილობრივი პირობების გაუთვალისწინებლად, როგორც ეს მოხდა კოლმეურნეობის მშენებლობის საქმეში. იყო შემთხვევები, როცა ერთ ან ორ კვირაში უკვე გადადიოდნენ მთლიან კოლექტივიზაციაზე. ზოგჯერ კი სოფლის ეს გარდაქმნა რამდენიმე დღის განმავლობაში ხდებოდა. თუ ერთ კრებაზე ვერ ახერხებდნენ გლეხების დარწმუნებას კოლექტივის დაარსების აუცილებლობაში, იწვევდნენ მეორე კრებას და დადგენილება მაინც გამოქონდათ. იყო დატუსაღების შემთხვევები, ემუქრებოდნენ გლეხებს იმით, რომ მათ კოოპერატივიდან არაფერს მისცემენ, ბავშებს სკოლიდან გამოუყრიან თუ ისინი არ შევლენ კოლექტივში.

ასეთმა მდგომარეობამ მოგვცა რიცხობრივად დიდძალი კოლექტივები, რომელნიც უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ქაღალდზე იყო აღნიშნული. დაიწყო უაზრო შეჯიბრება, კოლმეურნეობათა მშენებლობაში შელახული იქნა სოციალისტური შეჯიბრების საღი იდეა.

ამავე დროს მიმართავდნენ განკულაკების უხეშ მეთოდს. განკულაკება ხდებოდა მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონების გარეშე. განკულაკება შეიქნა წინასწარ პირობათ მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასასვლელად, მაშინ, როდესაც პარტია სწორედ წინააღმდეგზე მიგვითითებდა. ამასთანავე განკულაკება შეეხო საშუალო გლეხობის ნაწილს და აგრეთვე ღარიბ გლეხებსაც კი. განსაზოგადოებულ იქნა ყოველივე წვრილმანი, და ამასთან ერთად მოუწესრიგებელი იყო გაერთიანებულ საქონლისა და ქონების მოვლა.

ადგილობრივ ხშირად ურევდნენ ერთმანეთში არტელსა და კომუნას. არ ქონდათ ნათელი წარმოდგენა კოლმეურნეობების სხვადასხვა ტიპის შესახებ. აერთიანებდნენ არა მარტო მიწებს, საწარმოო იარაღებს, არამედ ყოველივეს, ჩურჩხელებამდე და მურაბამდე.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკა ხედავდა ამ შეცდომებს და ის ჯერ კიდევ თებერვალში მიუთითებდა ადგილობრივ ორგანიზაციებს მათ გამოსწორებისაკენ, მაგრამ შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკამ მაგრად ვერ ჩასჭიდა ხელი და საჭირო ენერგიული ზომები ვერ მიიღო უხეში გადახრების აღმოსაფხვრელად.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ საკოლმეურნეო მშენებლობის დროს საკითხი გართულეს იმით, რომ ბევრგან დაიწყეს მიზანშეუწონელი ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ. იხურებოდა ეკლესიები, ხსნიდნენ ზარებს ისეთ რაიონებში, სადაც მოსახლეობა ჯერ კიდევ მეტად ჩამორჩენილია და სადაც ძლიერია სარწმუნოებრივი ფანატიზმი.

მდგომარეობას მეტად უშველა ამხ. სტალინის წერილმა: „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“, ეს წერილი გამოვიდა მარტის პირველ რიცხვებში და უნდა ითქვას, რომ საქართველოში იყო თავბრუ დახვევა, მაგრამ არა წარმატებებისაგან არამედ კოლმეურნეობათა მშენებლობის მახინჯ მეთოდებით გატაცებისაგან. ამხ. სტალინის წერილმა მოგვცა სწორი გამოსავალი მდგომარეობიდან და უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ადგილობრივი მუშაკები ამ წერილს უკმაყოფილოდ შეხვდნენ, იყო შემთხვევები, როცა ისინი მალავდნენ ამხ. სტალინის წერილს გლეხობისაგან. ამით მოხერხებულად ისარგებლეს კულაკებმა და მათ ისეთი კომენტარიებით გაავრცელეს ამხ. სტალინის წერილი, როგორც ეს თვით კულაკების ინტერესებს შეეფერებოდა.

(გაგრძელება იხილე მეორე გვერდზე)

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) მე-VII ყრილობა

ჩვენ მტკიცეთ უნდა გვახსოვდეს, რომ კოლექტივიზაცია თავისთავად არ მოხდება. საჭიროა ენერგიული ზომების მიღება მის გასაშლელად, მაგრამ ყოვლად დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი პარტიის ხაზისაგან გადახვევა, ჩვენ გვაქვს იმის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი ადგილობრივი მუშაკები ეხლაც კი, როცა გამორკვეულია მთელი რიგი შეცდომები, წინააღმდეგობას იჩენენ მდგომარეობის გამოსწორების საქმეში. აქ უკვე აღნიშნა ამხანაგ ბუაჩიძემ, წითელი არმიის პასუხისმგებელმა მუშაკმა, რომ მაგ.: გორის ოლქში არ ასრულებენ პარტიის მითითებებს იმის შესახებ, რომ წითელ არმიელთა ოჯახების განკულაკება დაუშვებელია.

მიღწევები საკოლმეურნეო მშენებლობაში

რა მდგომარეობა გვაქვს ჩვენ ამჟამად საქართველოში? მიმდინარე წლის პირველ მარტს კოლმეურნეობათა რიცხვი ჩვენში უდრიდა 2894, 10 მაისს კი 2004. ნაკლები ყურადღება ექცევა წესდების განმარტებას. კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობა ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. არის შემთხვევები, როცა ქალებს და მამაკაცებს მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთ და იმავე შრომას ეწევიან, სხვადასხვა ხელფასი ეძლევათ. ქალების ხელფასი 50 პროც. ნაკლებია. ამასთანავე კოლმეურნეობათა გამგეობებში მეტად მცირეა საშუალო გლეხობის რიცხვი და არის შემთხვევები, როდესაც გამგეობებში არჩეული არიან მხოლოდ საშუალო გლეხები და სრულიად არ არიან მოჯამაგირეები და ღარიბები. ისეთი მაგალითებიც გვაქვს, როდესაც კოლმეურნეობების გამგეობებში თითქმის მთლიანად პარტიულები არიან. ამ გარემოებას შესაფერი ანგარიში უნდა გაეწიოს. საჭიროა უფრო მეტი რაოდენობით ავირჩიოთ კოლმეურნეობათა გამგეობაში უპარტიო გლეხობა, ღარიბი და მოჯამაგირეები და აგრეთვე საშუალო გლეხობის საუკეთესო წარმომადგენლები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალთა შორის მუშაობის გაჩაღებას. ამას გვიკარნახებს ის ფაქტი, რომ გლეხ-ქალების აქტივობა ზოგიერთ ადგილებში მიმართული იყო კოლექტივიზაციის წინააღმდეგ.

დასასრულ უნდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად ჩემ მიერ უკვე ჩამოთვლილ მთელ რიგ ტლანქ შეცდომებისა, ჩვენ მაინც მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს კოლმეურნეობათა მშენებლობაში. თუ წარსული წლის დეკემბერში კოლმეურნეობათა რიცხვი საქართველოში შეადგენდა 6,8 პროცენტს, ეხლა კოლმეურნეობათა რიცხვი ჩვენში უდრის 22 პროცენტზე მეტს. უდავოა, რომ თუ არა შეცდომები, მიღწევები გაცილებით მეტი გვექნებოდა. ყოველ შემთხვევაში კოლმეურნეობათა დღევანდელი პროცენტი მაინც იქნებოდა და მდგომარეობაც გაცილებით უფრო სტაბილური იქნებოდა. ეს ჩვენ აშკარად უნდა განვაცხადოთ და მომავალ მუშაობაში ვიხელმძღვანელოთ მიღებულ გამოცდილებით.

საჭიროა ფართოდ გავშალოთ კოლმეურნეობებში თვითკრიტიკა, დაუზოგველად დავკრათ მემარჯვენე გადახრას და ალვკვეთოთ „მემარცხენეობის“ მიდრეკილებანი. უნდა გვახსოვდეს, რომ სოფლად ამჟამად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სწარმოებს ორ ეკონომიკას შორის, ძველ ბურჟუაზიულ ეკონომიკასა და კოლექტიურ მეურნეობათა შორის. ეს ბრძოლა უთუოდ ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდება, მაგრამ ეს მოხდება არა თავის თავად, არამედ ენერგიული შეჭრით საქმეში და შეუნელებელი მუშაობის გაჩაღებით პარტიის მიერ დასახული ხაზის განსახორციელებლად. (ხანგრძლივი ტაში).*)

---

*) ამხანაგ ფ. მახარაძის მოხსენების ვრცელი ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის მახლობელ ნომერში.

ძაძის კულტურის მნიშვნელობა

გუშინ ამხანაგ ფ. მახარაძის მოხსენების დროს, რომელიც შეეხებოდა საგაზაფხულო თესვის მიმდინარეობასა და საკოლმეურნეო მშენებლობის მდგომარეობას, ყრილობაზე გამოვიდა მიწადმოქმედების აგრონომი-ტეხნიკოსი, რომელმაც მოკლე ინფორმაციული მოხსენება გააკეთა ძაძის კულტურის მნიშვნელობაზე.

ძაძა (რუსულად სოია), რომელსაც ზოგიერთ რაიონებში აგრეთვე იაპონიის ლობიოს უძახიან, მომხსენებლის სიტყვით, უდიდესად სასარგებლო კულტურას წარმოადგენს. ძაძისაგან შეიძლება დამზადებულ იქნას დიდი რიცხვი სხვადასხვა სახის საკვები ნივთიერებანი, ამასთანავე ძაძა მეტად სასარგებლო მცენარეა მესაქონლეობის და კერძოდ მეძროხეობის განვითარებისათვის.

ძაძისაგან შეიძლება მიღებულ იქნას ფქვილი საუკეთესო ნამცხვრებისათვის, ძაძა იძლევა აგრეთვე კარგი ხარისხის ზეთს. ძაძა იხმარება საჭმელად სხვადასხვა კერძების სახით და სხვ. ასე მაგალითად ძაძისაგან მზადდება: რძე, ხაჭო, ტორტი და სხვ. ძაძისაგან შეიძლება ყავის მიღება, ძაძას აგრეთვე იყენებენ კატლეტებათ. მისგანვე კეთდება შოკოლადი და მთელი რიგი სხვა რჩეული საჭმელები.

ყველა ამ საჭმელების დამზადების შემდეგ ძაძა წარმოადგენს საუკეთესო საკვებს საქონლისათვის.

მომხსენებელმა ყრილობას წარმოუდგინა ძაძისაგან დამზადებული საჭმელების სხვადასხვა ნიმუში: ფქვილი, ზეთი, გალეტები, მოხარშული და შემწვარი კერძი დამზადებული ძაძისაგან, რძე, ხაჭო, ტორტი, კატლეტები, ყავა, შოკოლადი, ბულიონი და სხვ... მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

მეცამეტე სხდომა

3 ივნისს, საღამოს სხდომაზე ყრილობას მიესალმა გარეუბნის მასწავლებელთა კონფერენციის დელეგაცია.

ამავე სხდომაზე ყრილობას მიესალმენ: აგრონომების სახელით — პროფ. ჯანდიერი, ტყის სპეციალისტთა სახელით — აგრ. ფირცხალაიშვილი და საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის სტუდენტთა სახელით — სტუდენტი ულენტი.

მისალმებების შემდეგ გაიხსნა

კამათი ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენების გარშემო

ამხ. ს. ჯუღელი
(მიწსახკომი)

1930 წლის გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის გეგმა გაცილებით განირჩეოდა წარსული წლის გეგმებიდან. რასაკვირველია, ამ გეგმაში ისე, როგორც წინანდელ გეგმებშიაც, გათვალისწინებული იყო სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესთა სივრცის გაფართოება, მაგრამ მის მთავარ ნაწილს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საკითხები შეადგენდენ. მთელი ეს გეგმა აგებული იყო კოლექტივიზაციის მიხედვით. ამ გეგმაში, გარდა მესაქონლეობისა სოფლის მეურნეობის ყველა დარგების განვითარება იყო გათვალისწინებული. გეგმა შეიცავდა საკონტროლო ციფრებს თვითეული რაიონისათვის და თითქმის თვითეული კოლმეურნეობისათვისაც. ამ გარემოებამ საშუალება მისცა ადგილებს შედარებით ადვილად დაემუშავებიათ კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმები. უნდა ითქვას, რომ კოლმეურნეობათა გეგმების შედგენა სწარმოებდა გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის ყველაზე უფრო გაცხარებულ პერიოდში. გეგმების შესადგენად მიწსახკომმა მობილიზაცია გაუკეთა და გაგზავნა სოფლად 128 აგრონომი და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მე-4 კურსის 300 სტუდენტი. კოლმეურნეობათა გაცხრილვამ შეაფერხა გეგმების შედგენა. ბევრი კოლმეურნეობა სრულიად უგეგმოდ დარჩა. ამას გარდა უყურადღებოდ შეიქნა მიტოვებული ინდივიდუალური სექტორი, რომელსაც თავის დროს სათანადო ხელმძღვანელობა ვერ გაუწიეთ.

უნდა ითქვას, რომ საკონტროლო ციფრების ყველა მუხლი არ შესრულდა თავის დროს. ამის მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ჩვენ გეგმით გათვალისწინებული გვქონდა შედარებით ჩამორჩენილ კულტურების ნათესთა ძალიან დიდი პროცენტით გადიდება, მაგრამ ეს ვერ მოვახერხეთ უმეტეს ნაწილად სათესლე მასალის სიმცირის გამო. ჩვენ ვერ ვიშოვეთ არაჩისის თესლის საკმაო რაოდენობა, ძალიან მცირე მოგვეპოვებოდა ლობიოს და ზოგიერთ სხვა კულტურების თესლი.

ჩვენ დიდი მიღწევა გვაქვს სოიას კულტურის გავრცელებაში. გასულ წელს დათესილი იყო 5 ათასი ჰექტარი, წელს საკონტროლო ციფრებით პირველად გათვალისწინებული იყო 15 ათასი ჰექტარის დათესვა. შემდეგ ეს ციფრი 20 ათასამდე გავადიდეთ. ამჟამად სოიას გეგმა შესრულებულია.

გასულ წელს ბამბის ნათესები საქართველოში 8 ათას ჰექტარს შეადგენდა. წელს საკონტროლო ციფრებით გავითვალისწინეთ 13 ათასი ჰექტარის დათესვა. პირველ ხანებში ბამბის გეგმის შესრულება დიდ საფრთხეში იყო, რადგან ბამბის რაიონებში (ბორჩალო და ყარაიაზი) კოლმეურნეობები დაიშალენ. ეს იწვევდა მათთან დადებულ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების დარღვევა. მაგრამ შემდეგ თბილისის საოლქო კომიტეტის დახმარებით ჩვენ შევსძელით ბამბის თესვის გაძლიერება და ეხლა უკვე დახნული და ამ კულტურებით დათესილია 11.500 ჰექტარი. შეიძლება გეგმა ვერ შევასრულოთ, მაგრამ რაც გვაქვს ისიც მიღწევაა წინა წლებთან შედარებით.

თესვის კამპანიის მთავარი შემაფერხებელი მიზეზი, როგორც აღვნიშნეთ იყო სათესლე მასალის სიმცირე. მართალია, ჩვენ შევკრიბეთ ხელშეუხებელი სათესლე ფონდები, მაგრამ ამ ფონდებში შეგროვილი თესლის დიდი ნაწილი უვარგისი გამოდგა. ეს გამოცდილება ჩვენ შემდეგისათვის უნდა გამოვიყენოთ და თესვის კამპანიას უფრო მომზადებული შევხვდეთ.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმას, თუ რამდენადაა დატვირთული სასოფლო - სამეურნეო მანქანები. ეს საკითხი ჩვენთვის კიდევ მწვავედ სდგას. ჩვენ ჩავატარეთ მანქანების დატვირთვის გამოკვლევა და აღმოჩნდა შემდეგი: კახეთში ტრაქტორს დღეში მოუხნავს ერთნახევარი ჰექტარი მიწა, საშუალო ნორმა კი 2 ჰექტარია; დუშეთის რაიონში — ტრაქტორს მხოლოდ ჰექტარის სამმეოთხედი მოუხნავს; შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ყარაიაზში: აქ თვითეულ ტრაქტორზე დღეში ორი ჰექტარი ნახნავი მოდის და აბაშის სადგურში, სადაც თვითეული ტრაქტორი დღეში ორ ნახევარ ჰექტარს ხნავს. მთელ საქართველოში ტრაქტორის საშუალო დატვირთვა ერთ ნახევარ ჰექტარს უდრის. ეს ძალიან დიდი დეფექტია და მის გამოსწორებას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

დიდი ყურადღების ღირსია აგრეთვე მუშა საქონლის კოლონები. ჩვენ მიმდინარე წელს შევიძინეთ მუშა საქონელი და მოვაწყვეთ კოლონები, მაგრამ ყურადღება არ მიგვიქცევია ამ საქონლის მოვლისათვის. არ გვქონდა შესაფერი ბინები და საკვები მასალის ნაკლებობასაც განვიცდიდით. ამის შედეგად საქონლის დიდი ნაწილი დასუსტდა, ნაწილი კიდევაც გაწყდა. ეს ფაქტი ჩვენი მომავალი მუშაობის გაკვეთილად უნდა გამოვიყენოთ.

მიმდინარე წელს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით საბჭოთა მეურნეობების მშენებლობას, წინად ამ საქმეში მიწსახკომს ჰქონდა ერთი პატარა გადახრა: ვაწყობდით უმთავრესად მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებს, სასოფლო მეურნეობის სხვა დარგებს კი ნაკლებად ვეტანებოდით. წელს მდგომარეობა ამ მხრივ შეიცვალა: უკვე მოვაწყვეთ მემინდვრეობისა და მესაქონლეობის მეურნეობები. მესაქონლეობის მეურნეობები არსდება სამხრეთ ოსეთში და ახალქალაქში, მაგრამ ყველაზე დიდი მეურნეობა ეწყობა ბაშკიჩეთის რაიონში. სულ ამ საქმეზე წელს ჩვენ ვხარჯავთ 3 მილიონ მანეთამდე. ამას დაემატება კიდევ საკავშირო ორგანიზაციების თანხები.

საბჭოთა მეურნეობების განვითარებისა და განმტკიცების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ამ მეურნეობების ერთი მმართველი ცენტრის დაარსება. საჭიროა საბჭოთა მეურნეობები ჩამოერთვას სხვადასხვა უწყებებს და გადაეცეს ერთ ტრესტს ან სხვა, რომელიმე სამეურნეო გაერთიანებას.

სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საცდელი საქმის მოწყობას. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ სად როგორი კულტურა უფრო იხეირებს, ამის მიღწევა კი მხოლოდ საცდელი სადგურების საშუალებით შეიძლება. გასულ წელს საცდელ საქმეზე 600 ათასი მანეთი დაიხარჯა. წელს დაიხარჯება ორ მილიონ მანეთამდე, მაგრამ საცდელ საქმეს განსაკუთრებით დიდი პერსპექტივები აქვს მომავალში. ცოტა ხნის წინად ლენინის სახელობის ინსტიტუტთან შესდგა სპეციალური თათბირი, რომელმაც საჭიროდ სცნო საქართველოში 15 საცდელი სადგურის მოწყობა. ამ საქმეზე უახლოეს წლებში დაიხარჯება არა ნაკლებ 7 მილიონი მანეთისა.

ასე და ამრიგათ ჩვენ გვაქვს მიღწევები, მაგრამ გვაქვს ნაკლიც. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს ნაკლი არ არის საშიში, რადგან მისი მიზეზი უკვე გამონახულია, ჩვენ საშუალება გვაქვს აღმოვფხვრათ იგი. ამის შემდეგ კი ჩვენ შევსძლებთ მტკიცედ გავატაროთ ის დირექტივები, რომელსაც პარტია გვაძლევს სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში.

ამხ. ცხოვრებაშვილი
(გორის ოლქი)

სასოფლო - სამეურნეო კამპანიაში მონაწილეობდა თითქმის ყველა, დაწყებული საბჭოთა და პარტიული მუშაკებით, გათავებული სოფლის მასწავლებლობით. მიუხედავად მრავალი შეცდომებისა, ამ კამპანიის შედეგი ჩვენს ოლქში მაინც თვალსაჩინოა. ჩვენ გასულ წელს კოლექტივებში გაერთიანებული გვყავდა გლეხურ მეურნეობათა მხოლოდ 4 პროცენტი. ამჟამად კი გაერთიანებულია 35 პროც. ეს ციფრი არ არის ყალბი. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ კოლექტივების ამ რიცხვს ჩვენ შევინარჩუნებთ. ამის გარანტიას იძლევა ის გარემოება, რომ კოლმეურნეობების საწარმოო მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. წელს კოლექტივებმა მოაწყვეს ახალი ბაღები, გააფართოვეს ნათესები.

თესვის გეგმა სრულდება, მაგრამ მიმდინარე სასოფლო - სამეურნეო კამპანიის პრაქტიკიდან ჩვენ უნდა გამოვიტანოთ ის დასკვნა, რომ თესვის კომისიები არავითარ შემთხვევაში არ იძლევიან კარგ შედეგს. მომავალში ასეთი კომისიების მოწყობას თავი უნდა გავანებოთ. სოფლად არსებობს საბჭო, რომელიც თავისი პრეზიდიუმის საშუალებით უფრო კარგად უხელმძღვანელებს თესვის საქმეს.

უნდა აღინიშნოს, რომ გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიაში ცენტრალური სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოები არ ღებულობდენ სათანადო მონაწილეობას. ავიღოთ მაგალითად ფოსტა - ტელეგრაფის კომისარიატი მას არა ერთხელ მივმართეთ იმის შესახებ, რომ აუცილებელია სატელეფონო კავშირის მოწყობა სოფლებში, მაგრამ ვერავითარ რეალურ შედეგს ვერ მივაღწიეთ. ასევე შეიძლება ითქვას განათლების და სხვა სახალხო კომისარიატების შესახებ. არსებობს ცეკას დადგენილება, რომელშიაც ნათქვამია, რომ თვითეული ორგანიზაციის მუშაობა უნდა შემოწმდეს იმის მიხედვით, თუ რა მონაწილეობა მიიღო მან სასოფლო მეურნეობის გარდაქმნის საქმეში. ამ დადგენილების შესრულებას პირველ ყოვლისა ცენტრალურმა ორგანიზაციებმა უნდა მოჰკიდონ ხელი.

სოფლის საბჭოები სრულიად მოუმზადებელი შეხვდენ სასოფლო - სამეურნეო კამპანიას. ამას გარდა უნდა ითქვას ისიც, რომ ჩვენში სოფლის საბჭოები მოსახლეობის ძალიან დიდ რაოდენობას ემსახურება. ამიტომ ისინი ხშირად ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. როდესაც საბჭოები რიცხვის გადიდებაზე ჩამოაგდებს ლაპარაკს, ზემდგომი ორგანოები მაშინვე ბიუჯეტის სიმცირეზე მიგვითითებენ. მე ვფიქრობ, ეს არ არის სწორი. თუ დასავლეთ საქართველოში სოფლის საბჭო მხოლოდ 200-300 კომლს აერთიანებს, რათ უნდა იყოს ჩვენში ისეთი მდგომარეობა, როდესაც სოფლის საბჭო 800-მდე კომლს ემსახურება. დასასრულ საბჭოების შესახებ მინდა აღვნიშნო შემდეგი: ძველი დებულებით სოფლის საბჭოებს ეკისრებათ კოლმეურნეობებისათვის მხოლოდ ხელის შეწყობა, რაც რასაკვირველია, საკმაო არ არის. ახალი დებულების პროექტით საბჭოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა კოლმეურნეობათა მშენებლობისათვის. მათ უფლება ეძლევათ უხელმძღვანელონ ღარიბთა ორგანიზაციას და სხვ. სამწუხაროდ, ეს დებულება ჯერ-ჯერობით მხოლოდ ქაღალდზეა. საჭიროა მისი დროზე განხორციელება. ამით ჩვენ ავსწევთ საბჭოს ავტორიტეტს და გავაძლიერებთ მის მუშაობას.

საბჭოების თავმჯდომარეთა გადამზადებას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. მოეწყო ორკვირეული გადასამზადებელი კურსები, მაგრამ ამან არავითარი შედეგი არ მოიტანა. ამ კურსებზე საბჭოს თავმჯდომარეებს თითქმის არაფერი შეუთვისებიათ. საჭიროა კურსების უფრო ხანგრძლივი ვადით მოწყობა.

ამხ. ქ. ჩხენკელი
(აგროინდუსტრიალური კომბინატი)

ჩვენში სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნას ხელს უშლის ის გარემოება, რომ არ არის შესწავლილი ამიერ - კავკასიის სოფლის მეურნეობის სტრუქტურა. ამ საკითხზე მხოლოდ დროგამოშვებით გამოჩნდება პრესაში თითო-ოროლა სადისკუსიო წერილი. მაგრამ მათ არ მოაქვთ რეალური შედეგი. მაგალითისათვის მოვიყვან ერთ წერილს, რომელიც მოთავსებული იყო „ზარია ვოსტოკა“-ს ერთ-ერთ ნომერში. ამ წერილში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ საქართველო და ამიერ - კავკასია ისეთი ქვეყანაა, რომ იგი უნდა გადაიქცეს აგრარულ ნედლეულ მასალის რაიონად. ასეთი შეხედულება ამიერ - კავკასიაზე ეწინააღმდეგება პარტიის დადგენილებებს ამიერ - კავკასიის შესახებ.

სოფლის მეურნეობის გარდაქმნის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმაა აგროინდუსტრიალური კომბინატების მოწყობა. ამ საქმეს ჩვენში უკვე ჩაეყარა საფუძველი. ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება საქართველოში ისეთი კულტურების გავრცელებას, რომელიც საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებში ნაკლებად ხარობენ. მაგალითისათვის დავასახელებ რამის კულტურას. ეს მცენარე არ ხარობს არც ჩრდილოეთ - კავკასიაში და არც უკრაინაში. ჩვენი სათივთიო მრეწველობისათვის კი მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან იძლევა ძაფს, რომელიც ბევრად არ ჩამოუვარდება აბრეშუმს და ბამბაზე გაცილებით უკეთესი ხარისხისაა. მე ვფიქრობ, საქართველოში ამ კულტურების გავრცელებას ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებით არ ვეპყრობით. ჩვენ შეგვეძლო მაგალითად შეგვემცირებია სოიას ნათესები, რომელიც ჩრდ. კავკასიაში, უკრაინაში საკმაოდაა გავრცელებული და მის ნაცვლად დაგვეთესა რამი. ეს გაცილებით უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა.

ამას გარდა ჩვენში არის მრავალი დიდი ტეხნიკური ღირსების კულტურა, რომელიც მხოლოდ საცდელ სადგურებში და ბოტანიკურ ბაღებშია დატყვევებული. ჩვენ უნდა ვეცადოთ გავაუმჯობესოთ მესაქონლეობა. უნდა გვახსოვდეს, რომ არაფერი საკვირველი და ზეადამიანური არ არის იმაში, რომ ერთმა ამერიკელმა ფერმერმა მოახერხა ქათმის განუწყვეტელ წარმოებაზე გადაყვანა. მან ერთ ქათამს 358 კვერცხი დადებინა წლის განმავლობაში. ეს მაგალითი გვიჩვენებს, როგ კარგად დაყენებული საცდელი მუშაობით საუკეთესო შედეგის მიღწევა შეიძლება.

სასოფლო მეურნეობის განვითარება ბევრადაა დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშაობაზე. მაგრამ მე უნდა განვაცხადო, რომ ჩვენში სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია ძალიან ბევრ სახეებათ არის დაყოფილი. გვაქვს 12-მდე სპეციალური სახის კოოპერაცია, რომლებსაც აქვთ თავიანთი როგორც რესპუბლიკანური, ისე საოლქო და სარაიონო ცენტრები. ამ აპარატის შენახვას დიდი თანხები სჭირდება. მათი მუშაობის ეფექტი კი ძალიან მცირეა. ჩემის აზრით, საჭიროა კოოპერაციის ამ სახეების საფუძვლიანად შემოკლება.

ამხ. გვარამია
(სოფ. კავშირი)

დღემდე ჩვენში სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია თითქმის არ წარმოადგენდა საწარმოო კოოპერაციას. იგი თამაშობდა შუამავლის როლს წარმოებებსა და მომხმარებელს შორის. ასეთი კოოპერაცია, ცხადია, ვერ მოამზადებდა კარგად ნიადაგს კოლმეურნეობათა მშენებლობის გაშლისათვის. სწორედ ამით უნდა აიხსნას ნაწილობრივ ის ფაქტი, რომ ჩვენ ვერ შევსძელით კოლექტივიზაციის აღებული ტემპით შენარჩუნება და მიღწეულ შედეგების განმტკიცება. ჩრდილოეთ კავკასიაში და უკრაინაში სულ სხვა მდგომარეობა იყო. იქ დიდი ხანია არსებობდა კოოპერაციის სპეციალური სახეები. არსებობდა სასოფლო ამხანაგობები, ამას გარდა იქაური ორგანიზაციების ხელში იყო სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების საკმაო რაოდენობა. ყველაფერმა ამან იქ ხელი შეუწყო კოლექტივიზაციის წარმატებით მსვლელობას. ჩვენში კი როგორც ვთქვით, კოლექტივიზაცია ასეთი ტემპით ვერ განვითარდა.

დღეს დღეობით ძირითად საკითხს, რომლის გადაჭრა აუცილებელია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, წარმოადგენს საკითხი კოოპერაციისა და კოლმეურნეობათა სისტემის ურთიერთობის შესახებ. კოლმეურნეობა ეს კოოპერაციის უმაღლესი ფორმაა. სამწუხაროდ ზოგიერთ ჩვენს ამხანაგს არა აქვს შეგნებული ეს ჭეშმარიტება. ამის გამო ხშირად შეხვდებით კოოპერაციის ამ ორი ფორმის დაპირისპირების შემთხვევას. ერთმა პასუხისმგებელმა ამხანაგმა ეს აშკარად განაცხადა ერთ-ერთ თათბირზე მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატში, ასეთი დაპირისპირება იწვევს ურთიერთობის გამწვავებას კოლმეურნეობებსა და კოოპერაციის მუშაკთა შორის. ამით ჩვენი სასოფლო მეურნეობის გარდაქმნა მნიშვნელოვნად ბრკოლდება. დროა ამ გაუგებრობას ბოლო მოეღოს.

ამხ. ჩხენკელმა სავსებით სწორად აღნიშნა, რომ აუცილებელია კოოპერაციის სახეების რიცხობრივი შემცირება, რადგან ამ სახეების უმეტესმა ნაწილმა ვერ გაამართლა თავისი არსებობა. სოფლის კავშირის პროექტით კოოპერაციის სპეციალური სახეები უნდა შემცირდეს 4-მდე. ეს იძლევა წლიურ ეკონომიას ერთ მილიონ მანეთზე მეტს.

პარტიის გენერალური ხაზისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისათვის

დღეს იხსნება მოსკოვის მეორე საოლქო პარტკონფერენცია. მთელი პარტია უდიდესი ყურადღებით ადევნებს თვალყურს კონფერენციის მუშაობას. მოსკოვის ორგანიზაცია ლენინური პარტიის უძველესი ორგანიზაციაა. მის სახელოვან ისტორიაზე ბოლშევიკთა მთელი თაობები აღიზარდენ. მან ჯერ კიდევ პირველი რევოლუციის შორეულ წლებში მაღლა ეპყრა ბოლშევიკური დროშა. ასევე მტკიცედ, ურყევად ეპყრა მას ეს დროშა სტოლიპინის რეაქციის შავბნელ წლებში.

მოსკოვის ორგანიზაციის უმდიდრესი ისტორიის მიხედვით საფუძვლიანად შეიძლება აღინიშნოს ყველაზე მნიშვნელოვანი, ძირითადი ეტაპები ლენინური, ბოლშევიკური პარტიის ისტორიაში, როგორც ოქტომბრის რევოლუციამდე, ისე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ისე ჩვენი მეურნეობის აღდგენისა და მისი სოციალისტური რეკონსტრუქციის უკანასკნელ წლებში. მოსკოვის ორგანიზაციის უჯრედებში გაიშალა მთავარი და გადამწყვეტი ბრძოლა ტროცკიზმთან 1923 წ. დამლევს, როდესაც ტროცკიზმი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე თავისი შემდეგომი გამოსვლების დროს ჩვენი პარტიის წინააღმდეგ. ტროცკიზმის განადგურებამ ამ ბრძოლაში პარტიული მასებისათვის განსაზღვრა მისი მომავალი დამარცხებანი და სამარცხვინო დაშლა.

ყველას ახსოვს, თუ რა ისტორიული როლი ითამაშა ახალი ოპოზიციის წინააღმდეგ პარტიის მასების მობილიზაციის საქმეში მოსკოვის კონფერენციამ, რომელიც წინ უძღოდა მე-15 პარტყრილობას და როდესაც „ახალი ოპოზიცია“ ტროცკიზმს შეუერთდა, როდესაც ტროცკის ხელმძღვანელობით შეიქმნა გაერთიანებული ანტიპარტიული ოპოზიციონური ბლოკი, ტროცკიზმი ყოველთვის სცდილობდა მოსკოვის ორგანიზაციიდან დაეწყო თავისი იერიშები პარტიის ლენინური ხაზისა და მისი ლენინური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ და ყოველთვის მისი იერიშები იმსხვრეოდა მოსკოვის ბოლშევიკთა შეუდრეკელ რკინისებურ კედელზე.

მას შემდეგ, რაც მოსკოვის ორგანიზაციამ ძლევამოსილად გაანადგურა ტროცკიზმი, რომელიც სცდილობდა გადაეყვანა პარტია ლენინური გზიდან ცრუ-„მემარცხენე“, არსებითად კი მენშევიკურ გზაზე, მოსკოვის ორგანიზაცია პირისპირ შეხვდა აშკარა მემარჯვენე-ოპორტუნისტულ საფრთხეს. ორგანიზაციის ზოგიერთი ყოფილი ხელმძღვანელნი, რომელნიც მემარჯვენე უკლონისტური კაპიტულიანტობის გავლენის ქვეშ მოექცნენ, იმედს ამყარებდნენ იმაზე, რომ მოახერხებდნენ თავიანთი ანტიპარტიული ხაზით მოსკოვის ორგანიზაცია წაეყვანათ ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ. ისინი სავსებით სერიოზულად სცდილობდნენ გადაედგათ ნაბიჯები ამ მიმართულებით. მაგრამ მათ იმედი გაუცრუვდათ. მოსკოვის ბოლშევიკები გაჰყვნენ ცენტრალურ კომიტეტს და ხელმძღვანელი ადგილებიდან მოხსნეს ოპორტუნისტები და შემარიგებელნი. მემარჯვენე ოპოზიციამ, რომელიც ოცნებობდა მოსკოვის ორგანიზაციის დახმარებით, მთელი პარტიის დაპყრობას, დამსახურებული გაკვეთილი მიიღო. ხოლო მოსკოვის ორგანიზაციის შემდეგ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მთელი პარტია დაირაზმა მემარჯვენე კაპიტულიანტების წინააღმდეგ.

მოსკოვის ორგანიზაციას არ შეუწყვეტია და არ შეუსუსტებია ბრძოლა მემარჯვენე საფრთხესთან, როგორც მთავარ საფრთხესთან გაშლილი სოციალისტური შეტევის ეხლანდელ ეტაპზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაიწყო კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე. ამავე დროს მოსკოვის ორგანიზაციამ სულ უკანასკნელ თვეებში შესძლო სწრაფად დაერაზმა თავისი ძალები „მემარცხენე“, საშუალო გლეხის სავნოდ მიმართული გადახვევების წინააღმდეგ საკოლმეურნეო მოძრაობაში, გადახვევების, რომლებმაც მეტად ფართო გავრცელება ჰპოვეს ოლქის ორგანიზაციების პრაქტიკულ მუშაობაში და საფრთხე შეუქმნეს მუშათა კლასის კავშირს საშუალო გლეხთან—სოციალიზმის წარმატებული მშენებლობის ამ აუცილებელ პირობას.

მოსკოვის ორგანიზაციამ არ მოერიდა იმას, რომ მოეხსნა თავისი ზოგიერთი ხელმძღვანელი, რომლებმაც თავის დროზე ვერ გაიგეს „მემარჯვენე“ გადახრებთან ბრძოლის მთელი მნიშვნელობა და შემარიგებელი დამოკიდებულება გამოიჩინეს გადამხვევებისადმი. როგორც გათვალისწინებული ჰქონდა პარტიას, გადამხვევებმა ხელი შეუწყეს არა მარტო ჩვენს კაპიტალისტურ მტრებს, არა მარტო კულაკს, არამედ მის შინაპარტიულ აგენტურასაც, ხოლო ასეთ აგენტურად გადაქცევა ამ ხნის განმავლობაში მოასწრეს მემარჯვენე უკლონისტებმა.

როგორც კლასობრივი მტრის გაძლიერებული წინააღმდეგობის პირდაპირი შედეგი, იზრდება მემარჯვენე ოპორტუნისტულ განწყობილებათა ახალი ტალღა, რომელიც ობიექტიურად მიმართულია იქითკენ, რომ შეასუსტოს პარტიის ნებისყოფა სოციალისტური მშენებლობის ძირითადი ამოცანების—ინდუსტრიალიზაციის, მთლიანი კოლექტივიზაციის და კულაკობის ლიკვიდაციის შეუსუსტებელი განხორციელების საქმეში. მოსკოვის ორგანიზაციის ყველა რგოლი სათანადოდ მომზადებული ვერ შეხვდა მემარჯვენეთა ახალ შემოტევას. ზოგიერთ ადგილას თავი იჩინა სიმშვიდით, ობივატელური კმაყოფილების, დაბრკოლების წინაშე ქედის მოხრის განწყობილებამ, ხოლო ზოგჯერ მემარჯვენე გამოსვლებთან პირდაპირმა შემარიგებლობამაც. კანტი-კუნტად გაისმა სადემობილიზაციო განწყობილების კილო პარტიულ კონფერენციებზედაც კი. მაგრამ ყველგან ეს განწყობილება მტკიცე ბოლშევიკური ერთსულოვნებით იქნა უკუგდებული. მოსკოვის ორგანიზაციის ყველა სარაიონო და საოლქო კონფერენციები უკლებლივ ჩატარებულ იქნენ პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გენერალური ხაზისთვის უყოყმანოდ მხარის დაჭერის ნიშან ქვეშ. მოსკოვის ორგანიზაციამ, რომელმაც გადამჭრელი ზომები მიიღო პარტიის პირველ რიგებში არსებული „მემარჯვენე“ გადახვევების გამოსასწორებლად, უკუაგდო და შემდეგშიც უკუაგდებს მემარჯვენე ოპორტუნიზმს, რომელიც სცდილობს წელში გასწორებას. იგი ნებას არავის მისცემს დაემუქროს პარტიის გენერალურ ხაზს, როგორ დროშაიც არ უნდა სცადოს მან ამ გენერალურ ხაზთან მიახლოვება.

პირველ საოლქო კონფერენციის შემდეგ მოსკოვის ორგანიზაციამ სოციალისტური მშენებლობის დარგში დიდი მუშაობა შეასრულა ოლქში, რომელსაც ფრიად დიდი ხვედრითი წონა აქვს ჩვენს საერთო საკავშირო ეკონომიკაში, დიდი მუშაობა შესრულა ოლქის პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებისა და ცენტრალური კომიტეტის ხაზის გარშემო მათი დარაზმვის დარგში. კონფერენცია კმაყოფილებით აღნიშნავს ამ მიღწევებს, როგორც ოლქზე პარტიული ხელმძღვანელობის სისწორის შედეგს.

იმავე დროს, რასაკვირველია, კონფერენცია გვერდს არ აუვლის იმ სერიოზულ პოლიტიკურ შეცდომებს, რომლებიც ძველმა ხელმძღვანელობამ დაუშვა.

ჩვენ გვქონდა ცდა—კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ლოზუნგის შეცვლისა ქალაქის ახალი ბურჟუაზიის ლიკვიდაციის ლოზუნგით. ამ ლოზუნგს მოსკოვის კომიტეტის შემდეგ ჩვენი საბჭოთა კავშირის ზოგიერთი სხვა პარტიული ორგანიზაციებიც გამოეხმაურენ და ზოგან გაიგეს, როგორც ახალი ეკონომიური პოლიტიკის ლიკვიდაციის სიგნალი. ამის პრაქტიკული შედეგს წარმოადგენდა მავნე და არა საჭირო იერიშები კერძო ვაჭრობაზე, წვრილ კუსტარულ მრეწველობაზე და საგლეხო ბაზრებზე.

კიდევ უფრო სერიოზული შეცდომა დაუშვა მოსკოვის ხელმძღვანელობამ იმით, რომ მოინდომა ხორბლეულობის რაიონების დაწევა და გასწრება კოლექტივიზაციის საქმეში, იმით რომ წინააღმდეგ ცეკას დირექტივებისა აიღო ფაქტიური კურსი ოლქის მთლიან კოლექტივიზაციაზე გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის. სწორედ ამ ხაზმა გამოიწვია ის, რომ საშუალო გლეხის წინააღმდეგ მიმართულმა გადახრებმა, რომელმაც საკმაოდ ფართო გავრცელება ჰპოვა საბჭოთა კავშირის მთელ რიგ რაიონებში, განსაკუთრებით მახინჯი ფორმები მიიღო (ჩამორჩენილ ნაციონალურ რაიონებთან ერთად) მოსკოვის ოლქში. ვინაიდან აქ, საშუალო გლეხობის მიმართ ჩვენი პოლიტიკის ძირითად პრინციპების საერთო დარღვევასთან ერთად, ადგილი ჰქონდა სრულ დავიწყებას მომხმარებელი რაიონის (ხორბლეულის რაიონებისაგან განსხვავებით) თავისებურობებისას, რომლებიც გვიკარნახებდნენ კოლექტივიზაციის უფრო ნელ, ფრთხილ და წინდახედულ ტემპებს.

მოსკოვის საოლქო ხელმძღვანელობის ეს ორივე დიდი შეცდომა გამოსწორებულ იქნა. შეცდომები ამჟამად სწორდება მთელი ბოლშევიკური სიმტკიცით, ხელმძღვანელობა გაძლიერებულია, გაძლიერდა მისი კავშირი ცეკასთან და, ეჭვს გარეშეა, რომ საოლქო კონფერენცია, ისე როგორც რაიონული კონფერენციები, ჩატარდება ცენტრალური კომიტეტისათვის, პარტიის გენერალური ხაზისათვის, სოციალისტური მშენებლობის შემდგომი წარმატებებისათვის შეურიგებელი ბრძოლის ნიშნით, ორ ფრონტზე—მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტების, „მემარცხენე“ ნახტომებისადმი შემარიგებლობის, ძირითადი და მთავარ საფრთხის—მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის ნიშნით.

მემარჯვენე ოპორტუნისტების ახალი იერიშები პარტიის ხაზის წინააღმდეგ განმანადგურებელ პასუხს მიიღებენ მოსკოვის ორგანიზაციისგან. კონფერენცია მთელი ბოლშევიკური სიმტკიცით მიმართავს პროლეტარული თვითკრიტიკის იარაღს ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოხატულების წინააღმდეგ, პირფერული ლოიალობის რა ნიღაბითაც არ უნდა გამოდიოდენ ისინი. კონფერენცია შეუბრალებლად დაარტყამს პასივობის ცალკე განწყობილებებს და სიძნელეთა წინაშე ობივატელურ მშიშარობას, ყველა სადემობილიზაციო განწყობილებებს, ყველა ცდებს, რომლებიც მიმართულია იქითკენ, რომ თავიანთი შეცდომები ობიექტიურ მიზეზებს გადააბრალონ. სიძნელეთა, მათ შორის სასურსათო მომარაგების სიძნელეთა გადალახვის გზას წარმოადგენს მხოლოდ სოციალისტური მშენებლობის ბოლშევიკური ტემპები.

ჩვენი პარტიის ყველა ორგანიზაციებიდან მოსკოვის ორგანიზაციას თავისი სახელოვანი ტრადიციებით, თავისი ძველი გამობრძმედილი კადრებით, თავისი ძლიერი პროლეტარული შემადგენლობით, თავისი სიმრავლითა და ხარისხობრივი შემადგენლობით უფლება აქვს იდგეს პირველ ადგილზე ჩვენს პარტიაში, ლენინგრადის ორგანიზაციის გვერდით.

მოსკოვის ორგანიზაციის კონფერენციის მიხედვით იმუშავებენ ჩვენი პარტიის ყველა საოლქო კონფერენციები მეთექვსმეტე პარტყრილობის წინ.

მოსკოვის ორგანიზაცია თავის საოლქო კონფერენციაზე საკმაო სიმტკიცით დაანახვებს ყველას, რომ ის წარსულის მაგალითის მიხედვით დარჩება ლენინურ ცეკას საიმედო დასაყრდენად და პარტიის მოწინავე რაზმად სოციალისტური მშენებლობის ბოლშევიკური ტემპებისათვის, პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლაში.

„პრავდა“. 2 ივნისი.

ნანკინის ჯარების დამარცხება

ფინ-იუი-სიანმა ტყვედ წაიყვანა ნანკინის 30.000 ჯარისკაცი.—ნანკინის ჯარმა დასცალა ჩანში

გაფიცვა მანსფელდში (გერმანია).—პროლეტარული თავდასხის რაზმები მუშებს სამუშაოდან ხსნიან

მდგომარეობა ინდოეთში

„კრიზისი ინდოეთში მსოფლიო კრიზისის ნაწილია“

ფრანგი ჟურნალისტის წერილი

პარიზი, 3 ივნისი. „ჟურნალ“-ი აქვეყნებს ინდოეთში გაგზავნილი თავისი სპეციალური კორესპონდენტის ელზეის პირველ წერილს. ელზეის სიტყვით, პირველი, რაც თვალში გეცემა ინდოეთში არის ის, რომ ევროპიელები, უფრო კი ინგლისელები, ინდოეთში ალყაშემორტყმულ მდგომარეობაში არიან. მთელ ინდოეთში უდიდესი მღელვარებაა. მცირეოდენი საბაბი იწვევს სისხლისმღვრელ შეტაკებას, რაც მრავალ მსხვერპლს იწირავს. განსაკუთრებით საშიში მდგომარეობაა, ელზეის აზრით, ჩრდილოეთ ინდოეთში, კერძოდ, სიკხებით დასახლებულ ოლქში, სადაც მღელვარებამ უკიდურეს ზომას მიაღწია, თუმცა სამხრეთშიაც „ტალღა ნაპირების გადალახვას ლამობს“. მაგრამ,— სწერს ელზეი,— რევოლუციონური მოძრაობა უდიდეს გაქანებას მიაღწევს ერთი თვის ან თვენახევრის შემდეგ, როდესაც გლეხობა დაამთავრებს მოსავლის აკრეფას და როდესაც, მეორეს მხრივ, უფრო მწვავე და საგრძნობი გახდება ეკონომიური კრიზისი, რომელიც უკვე მოედო ინდოეთს და რომელიც მსოფლიო კრიზისის ანარეკლს წარმოადგენს. ამას, ელზეის სიტყვით, ხაზგასმით აღნიშნავენ როგორც ინგლისელები, ისე ინდოელთა წრეების ავტორიტეტული პირები. ელზეი უაღრესად შემცდარად სთვლის ინგლისის ზოგიერთი წრეების იმ თვალსაზრისს, რომ რევოლუციონური მოძრაობის ლიკვიდაცია ინდოეთში ისევე ჩქარა მოხდება, როგორც არაერთხელ მომხდარა წარსულში. ელზეი აღნიშნავს, რომ მოძრაობა ინდოეთში ამჟამად „მარტო ნაციონალისტურ ბაზას“ არ ემყარება, იგი გამომდინარეობს ეკონომიური კრიზისიდანაც, რომელიც არაჩვეულებრივად მწვავედ საგრძნობია ინდოეთში, არანაკლებ მწვავედ, ვიდრე სხვა ქვეყნებში. იმ მსოფლიო კრიზისის შედეგად,—აცხადებს ელზეი,—რომლის დასასრული ჯერ კიდევ არა სჩანს, გაკოტრების შემთხვევათა რიცხვი ინდოეთში დღითი-დღე იზრდება, ამასთან ერთად იზრდება უმუშევრობაც. მრავალი გემი (დაახლოვებით 5 მილიონი ტონაჟით) უმუშევრად დგას ინდოეთის ნავთსადგურებში. ყოველდღე ახალ-ახალი გემები აჩერებენ თავიანთ ლუმელებს; სიღატაკე დღითი დღე იზრდება. ინდოეთში არ იციან, რა უყონ ბამბის, ჩაის, ზეთის უდიდეს მარაგს. საჭირო ხდება მუშების დათხოვნა ან მათი ხელფასის შემცირება. მაგრამ როგორ შეიძლება ხელფასი შეუკვეცო იმ ხალხს, რომელიც ისეც შიმშილობს. „ვშიშობ,—დასკვნის ელზეი,—რომ ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან დიდხანს მოგვიხდება ლაპარაკის მოსმენა ინდოეთზე და ინდოელთა მასების რისხვაზე (ადს).

მაკდონალდის მთავრობის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 2 ივნისი. ანტიიმპერიალისტურმა ლიგამ გამოიტანა რეზოლუცია, რომელშიაც სასტიკად ჰკიცხავს მაკდონალდის მთავრობას და აკრიტიკებს განდის. რეზოლუცია მოუწოდებს მშრომელთ — დაეხმარონ ინდოეთის მუშებსა და გლეხებს, რომელნიც იბრძვიან თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. (ადს).

განაგრძობენ თავდასხმას მარილის საწყობებზე

ლონდონი, 2 ივნისი. სამოქალაქო ურჩობის 20.000 მონაწილემ 1 ივნისს მოაწყო თავდასხმა ვადალის მარილის საწყობებზე. ზოგგან მოხალისეებმა გაარღვია პოლიციელთა რკალი და გაიტაცეს მარილი.

პოლიციამ მიმართა კეტებს და დასახმარებლად ჯარი გამოიწვია.

როგორც „დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი იუწყება, პოლიცია მეტად სუსტად და უგულოდ იქცეოდა იმ დრომდე, ვიდრე ინგლისელმა ჯარისკაცებმა არ აიძულეს უფრო მხნედ ემოქმედნა. შეტაკების დროს დაიჭრა 100 მოხალისე, დააპატიმრეს 50 კაცი.

განდი იმიჯნება რევოლუციონური მოძრაობისაგან

ლონდონი, 2 ივნისი. როგორც „დეილი ჰერალდ“-ის სპეციალური კორესპონდენტი იუწყება, განდიმ ინდოეთის მეფის მოადგილეს მისწერა წერილი, რომელშიაც მწუხარებას გამოსთქვამს იმ ძალადობის გამო, რასაც ადგილი ჰქონდა სამოქალაქო ურჩობის კამპანიის დროს. მიუხედავად ამისა, განდი იხსნის პასუხისმგებლობას მომხდარი ძალადობისათვის. ხელისუფლებამ გადასწყვიტა, არავითარი მოლაპარაკება არ აწარმოოს ნაციონალური კონგრესის ლიდერებთან, ვიდრე დაძლეული არ იქნება ურჩობის კამპანია. ინგლისელი მოხელეები ფიქრობენ, რომ მარილის მონოპოლიის დარღვევის კამპანია დასასრულს უახლოვდება.

გაზეთის კორესპონდენტი აღნიშნავს სამოქალაქო ურჩობის ახალ, უფრო საშიშარ ფორმას და ორგანიზაციულად უარის თქმას სადგილ-მამულო გადასახადების შეტანაზე (ადს).

სამოქალაქო ურჩობის მოხალისეთა გასამართლება

ლონდონი, 2 ივნისი. ვორლში, ბომბეის მახლობლად, სამოქალაქო ურჩობის 72 მოხალისეს მიუსაჯეს სამ-სამი თვის პატიმრობა.

დემონსტრაცია სამოქალაქო ურჩობის მოხალისეთა დაპატიმრების წინააღმდეგ

ლონდონი, 2 ივნისი. დერა იზმაილ ხანში (ჩრდილოეთ დასავლეთის სანაპირო პროვინცია) სამოქალაქო ურჩობის მოხალისეთა დაპატიმრების გამო მოეწყო საპროტესტო დემონსტრაცია. პოლიცია შეეცადა დემონსტრანტების გარეკვას, მაგრამ მათ ქვები დაუშინეს. ზოგიერთი სახლის სახურავებიდან ესროდნენ პოლიციას. მძიმედ დაიჭრა პოლიციის უფროსი. პოლიციამ სროლა დაუწყო დემონსტრანტებს და ბევრი დასჭრა (ადს).

რელიგიურ ნიადაგზე

ლონდონი, 2 ივნისი. კოსიკალამში (ბომბეის პროვინცია) ინდუსებსა და მაჰმადიანებს შორის რელიგიურ ნიადაგზე მოხდა კონფლიქტი. ქუჩაში შეტაკების შემდეგ ინდუსები შეიჭრნენ მაჰმადიანთა მეჩეთში და დაეცნენ იქ მყოფ მაჰმადიანებს. ქუჩაში ახალი შეტაკებები მოხდა. ერთი მაჰმადიანი მოჰკლეს, 9 დასჭრეს (ადს).

გაფიცვა მანსფელდში

მუშები ენერგიულად ემზადებიან ბრძოლისათვის

ბერლინი, 2 ივნისი. 31 მაისს მანსფელდის 13.000 მუშამ, რომლებიც მანსფელდის კონცერნის საწარმოებში ჩაბმულ მუშათა 94 პროცენტს შეადგენენ, უარჰყო მოთხოვნა, ხელფასის 15 პროცენტით შემცირების შესახებ და გამოაცხადა გაფიცვა, თანახმად რევოლუციონური პროფოპოზიციის გადაწყვეტილებისა. საგაფიცვო პიკეტებმა პროლეტარული თავდაცვის რაზმებთან ერთად დაიწყეს მუშების მოხსნა სამუშაოდან. ბრძმედები ჩაქრა. მანსფელდის რაიონის ცენტრალურ პუნქტში, გეტშტედტში საგაფიცვო პიკეტებმა პროლეტარული თავდაცვის რაზმებთან ერთად დააკავეს შტრეიკბრეხერები—ფაშისტური „ფოლადის მუზარადის“ წევრები. სპილენძის დამამუშავებელი ქარხნის წინ გაიმართა მიტინგი. მიტინგზე მონაწილეობა მიიღო 1.500 მუშამ, რომლებმაც გადასწყვიტეს შეუერთდნენ გაფიცვას. მუშების ცოლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საგაფიცვო პიკეტებში. პროლეტარული თავდაცვის რაზმებში უკვე შევიდა რამდენიმე ასი მუშა. რეფორმისტები, რომლებსაც გაფიცვამ ხელი შეუშალა მორიგებოდნენ მრეწველებს, ეხლა, როდესაც ბრძოლა უკვე დაიწყო, სცდილობენ ხელთ იგდონ ხელმძღვანელობა, რათა რაც შეიძლება დაჩქარებით ჩაშალონ ბრძოლა. მაგრამ მათი მოღალატური ტაქტიკა თვალს უხელს გაფიცულ მუშებს და აძლიერებს მათ სიმპატიას რევოლუციონური პროფოპოზიციის მიმართ (ადს).

შტრეიკბრეხერებმა ვერ შესძლეს მუშაობა

ბერლინი, 2 ივნისი. პროფოპოზიციის ენერგიული მოქმედების შედეგად მანსფელდის რაიონში, საგაფიცვო პიკეტებმა არც ერთი მაღაროსა და ქარხანაში სამუშაოდ არ შეუშვეს შტრეიკბრეხერები. ცისლებენში პროფბიუროკრატებმა სცადეს პროფკავშირის კრებაზე სიტყვა არ მიეცათ რევოლუციონური პროფოპოზიციის წარმომადგენლისათვის. აღშფოთებულმა მუშებმა კრებიდან გააძევეს პროფბიუროკრატები, მიიღეს რევოლუციონური პროფოპოზიციის პროგრამა და დაამტკიცეს ოპოზიციონური საგაფიცვო კომიტეტი (ადს).

სოციალ-დემოკრატების მოღალატური მუშაობა

ბერლინი, 2 ივნისი. გერმანიის კომპარტიის ორგანო „რურ ეკო“, რომელიც ესენში გამოდის, სწერს, რომ პრუსიის საშინაო საქმეთა სამინისტრომ, რომელსაც სოციალ-დემოკრატი მეთაურობს, ინსტრუქციები დაუგზავნა პოლიციის უფროსებს, რათა მათ შეიყვანონ ჯაშუშები კომპარტიაში და შეეცადონ მოისყიდონ თანამდებობის პირნი იმ მიზნით, რომ ისინი გამოიყენონ როგორც ჯაშუშები, რურის მრავალ ქალაქში პოლიტიკური პოლიციის რწმუნებულები საგრძნობ თანხებს სთავაზობდნენ კომპარტიის თანამდებობის პირთ იმ მიზნით, რომ მათ ჯაშუშობა ეკისრათ. ეს ცდები მარცხით დამთავრდა. შეეცადნენ აგრეთვე გადაებირებიათ უმუშევრები, რომლებსაც დიდ თანხებს შეჰპირდნენ. მაგრამ ესეც მარცხით დამთავრდა. მაშინ გადასწყვიტეს— არ დაეშურებიათ ფული და მოესყიდათ კომპარტიის რომელიმე ხელმძღვანელი მოღვაწე. ამ საქმის მოგვარება დაავალეს სისხლის სამართლის პოლიციის მოხელეს სოციალ-დემოკრატ კორფეს. როდესაც პარტიის საოლქო კომიტეტმა მიიღო ამის შესახებ ცნობები, დაავალა რურის ოლქის კომიტეტს გებელს—თავი ისე მოეჩვენებინა, ვითომ იგი თანახმაა პოლიციის წინადადებაზე. ამგვარად შესაძლებელი გახდა კომპარტიის წინააღმდეგ მიმართული არალეგალური მუშაობის გამოაშკარავება (ადს).

ბრედფორდის ფეიქართა ბრძოლა

ლონდონი, 2 ივნისი. ჯერ არ გამოცხადებულა მატყლის მრეწველობის მუშებს შორის რეფორმისტული პროფკავშირების მიერ მოწყობილი კენჭის ყრის შედეგი გაფიცვის განგრძობის თუ ლიკვიდაციის საკითხის შესახებ. მაგრამ მატყლის დამხარისხებელთა კავშირის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ კენჭის ყრას მათ კავშირში ასეთი შედეგი მოჰყვა: დამქირავებელთა წინადადების წინააღმდეგ გამოვიდა მუშების 80 პროცენტი, ხოლო 20 პროცენტმა მხარი დაუჭირა ამ წინადადებას. ფიქრობენ, რომ კენჭის ყრას სხვა კავშირებშიაც ასეთივე შედეგი მოჰყვა.

ლონდონი, 2 ივნისი. მთელ იმ რაიონში, სადაც მატყლის მრეწველობის მუშების გაფიცვაა, გაიმართა გაფიცულთა მიტინგები, რომლებმაც თავიანთ რეზოლუციებში მოითხოვეს დაპატიმრებული მუშების დაუყონებლივ განთავისუფლება. ყველა მხრიდან მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ გაძლიერდა გაფიცულთა სასარგებლოდ ფულის შეგროვების კამპანია. ბევრ ქალაქში პოლიცია საშუალებას არ აძლევს შეაგროვონ ფული გაფიცულთა სასარგებლოდ (ადს).

ლიბერალებმა კვლავ იხსნეს მაკდონალდი

ლონდონი, 2 ივნისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„კონსერვატიული პარტიის ლიდერმა ბოლდუინმა წინადადება შეიტანა — დაინიშნოს პალატის 11 წევრისაგან შემდგარი კომიტეტი, რომელიც განიხილავს ლონდონის კონფერენციაზე დადებულ საზღვაო ხელშეკრულებას და წარუდგენს პალატას მოხსენებას.

მაკდონალდმა განაცხადა, თუ იგი დაეთანხმება ბოლდუინის წინადადებას, ამით ის ზიანს მიაყენებს მთავრობასა და თემთა პალატის ურთიერთობას.

ლიბერალების წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა მთავრობას და ამით უზრუნველჰყო მისთვის უმრავლესობა“ (ადს).

რევოლუციონური მოძრაობის ზრდა ინდო-ჩინეთში

მდგომარეობა დღითი დღე რთულდება

პარიზი, 3 ივნისი. გაზეთები აქვეყნებენ ოფიციალურ დამამშვიდებელ ცნობებს იმის შესახებ, რომ გლეხთა გამოსვლა კოხინხინში (საფრანგეთის კოლონიის პროვინცია ინდო-ჩინეთში), ინდო-ჩინეთის სხვა პროვინციებში თებერვალსა და მაისში მომხდარ ამბებთან შედარებით, ვითომ „ნაკლებ საშიში ხასიათისაა“. მიუხედავად ამისა, ინდო-ჩინეთში რევოლუციონური მოძრაობის არაჩვეულებრივად სწრაფი ზრდა ამ ბოლო დროს, განსაკუთრებით ინდოეთში და ჩინეთის თვალსაჩინო ნაწილში რევოლუციონური სიტუაციის პირობებში, საფრანგეთის მთელი ბურჟუაზიული პრესის დიდ ნერვიულობას იწვევს. გაზეთები სარწმუნოთ სთვლიან, რომ მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხების გამოსვლა ინდო-ჩინეთში კომუნისტების ხელმძღვანელობით ხდება.

„ტან“-ი იუწყება, ვითომ იმ გლეხებს, რომლებიც მოჰკლეს და დასჭრეს 29 მაისის დემონსტრაციის დროს ჩომოიში, უნახეს საფრანგეთის კომპარტიის წარმომადგენლების— კაშენის და დორიოს სიტყვების თარგმანები ინდო-ჩინეთში არსებული მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე ფურცლები ნამგლისა და ჩაქუჩის გამოხატულებით და ლოზუნგებით მემამულეებისათვის ბრინჯის მარაგის ჩამორთმევისა და გადასახადის შეტანაზე უარის თქმის შესახებ.

მინისტრთა საბჭოს სხდომაზე კოლონიების მინისტრმა პიეტრიმ გააკეთა მოხსენება ინდო-ჩინეთში კომუნისტურ მოძრაობასთან საბრძოლველი ზომების შესახებ. მინისტრთა საბჭომ დაადგინა—მიიღოს ზომები ადგილობრივი ჯარის გასაწმენდად „საეჭვო ელემენტებისაგან“ და ინდო-ჩინელ რევოლუციონერთა საქმეების სასამართლოში გარჩევის დასაჩქარებლად. მიღებულ იქნა აგრეთვე გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ინდო-ჩინეთში გაიგზავნონ უცხოელთა ლეგიონის ბატალიონები და საფრანგეთიდან გაძევებულ იქნან კოლონიებიდან ჩამოსული ის პირები, რომლებიც „შემჩნეულნი არიან კომუნისტური პროპაგანდის გაწევაში“ (ადს).

კოლონიალურ ხალხთა დამცველი პროფესორის დევნა

პარიზი, 3 ივნისი. მემარჯვენე პრესამ დევნა დაუწყო ადამიანის უფლებათა ლიგის ცენტრალური კომიტეტის წევრს, პროფესორ შალეს მისი გამოსვლის გამო ერთ მიტინგზე, რომელიც მოაწყო ლიგამ საფრანგეთის პოლიტიკის წინააღმდეგ ინდო-ჩინეთში. შალე პროტესტს აცხადებდა სამარცხვინო რეჟიმის წინააღმდეგ ინდო-ჩინეთში, რომელიც გამოხატავს კაპიტალისტურ, პოლიციურ და ფინანსიურ დიქტატურას, და მოითხოვდა ყველა კოლონიების განთავისუფლებას საფრანგეთის ბატონობისაგან.

პოლიციის ორგანო „ლიბერტე“ განათლების სამინისტროსაგან მოითხოვს შალეის დაუყონებლივ გადაყენებას სახელმწიფო სკოლის მასწავლებლობიდან და მის პასუხისგებაში მიცემას.

„ლუმანიტე“ იუწყება, რომ განათლების სამინისტრომ უკვე დანიშნა გამოძიება შალეის გამოსვლის გამო (ადს).

სოციალ-ფაშისტები იწონებენ იმპერიალისტთა მოქმედებას

პარიზი, 3 ივნისი. ინდო-ჩინელ აჯანყებულთა დასჯას და საფრანგეთიდან ინდო-ჩინელ რევოლუციონერთა გაძევებას არავითარ წინააღმდეგობას არ უწევს სოციალისტური პრესა, რომელიც ინდო-ჩინეთის ამბებს ძალიან მცირე ყურადღებას აქცევს. (ადს).

ნანკინის ჯარების დამარცხება

პეკინი, 3 ივნისი. სიმბუნ-რენგოს სააგენტო იუწყება, რომ ლუნხაის ფრონტზე ჩრდილოეთის ჯარმა იარაღი აჰყარა ნანკინის 30 ათასიან არმიას, ფინ-იუი-სიანის ცხენოსანმა ჯარმა ხელში ჩაიგდო ნანკინის 12 აეროპლანი მფრინავებითა და მექანიკოსებით (ადს).

ლონდონი, 2 ივნისი. როგორც „დეილი მეილ“-ის შანხაის კორესპონდენტი იუწყება, ნანკინის ჯარმა დასცალა ჩანში (ხუნანის პროვინციის მთავარი ქალაქი). მას წინააღმდეგობა არ გაუწევია გუანსის ჯარისათვის. ნანკინი თავს უყრის თავის განკარგულებაში მყოფ ნაწილებს უხანის დასაცავად. ნანკინის მთავრობამ მოულოდნელად დაჰკეტა მთავარი გზები და დააყენა სამხედრო პიკეტები. მდ. იანძიანის სათავეებში კომუნისტურმა ჯარმა ალყა შემოარტყა შაშის (ხუბეის პროვინცია) (ადს).

არჩევნები პოლონეთის სეიმში

ვარშავა, 2 ივნისი. 1 ივნისს მოხდა სეიმის არჩევნები გნეზნენის ოლქში. ნაციონალ-დემოკრატებმა მიიღეს 33.000 ხმა—2 მანდატი, პიასტის ქრისტიან დემოკრატთა ბლოკმა 20.000 ხმა—1 მანდატი, გერმანელებმა 15000 ხმა—1 მანდატი, ნპრ (მუშათა ყვითელი პარტია) 2.400 ხმა—1 მანდატი, პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ 12.000 ხმა—მანდატი ვერ მიიღო. პილსუდსკის მომხრეები არჩევნებში მონაწილეობას არ იღებდნენ. მათ დამარცხებას მოწმობს ნაციონალ-დემოკრატთა გამარჯვება, რომელთაც, წინა არჩევნებთან შედარებით, მიიღეს 10.000 ხმით და 1 მანდატით მეტი. ქრისტიან დემოკრატთა მხრივ სეიმში კვლავ არჩეულ იქნა ტრომპჩინსკი, რომელსაც პილსუდსკის მომხრეებმა, ბესედოვსკის მხილებათა საფუძველზე, ბრალი დასდეს—ვოიკოვთან ერთად პილსუდსკის მოკვლას აპირებდაო. სრული დამარცხება განიცადა, პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ (ადს).

შვეციის მთავრობის გადადგომა

სტოკჰოლმი, 2 ივნისი. შვეციის მთავრობა გადადგა, ვინაიდან პარლამენტმა უარჰყო მისი წინადადება შვეციაში შეტანილ ხორბალზე საბაჟო ტარიფების გადიდების შესახებ. (ადს).

შეტაკება ბრესლავლში

ბერლინი, 2 ივნისი. ბრესლაველში ფაშისტური „ფოლადის მუზარადის“ დემონსტრაციის დროს მოხდა შეტაკება ფაშისტებსა და რევოლუციონერ მუშებს შორის, რომლებმაც საპროტესტო დემონსტრაცია გამართეს. შეტაკების ბევრი მონაწილე დაიჭრა. პოლიციამ, რომელიც ფაშისტებს იცავდა, 30 მუშა დააპატიმრა. ლეიპციგში ფაშისტების კოლონა თავს დაესხა კომუნისტებს, რომელთაც ენერგიულად მოიგერიეს თავდასხმა და ბევრი ფაშისტი დასჭრეს. (ადს).

სხვადასხვა

ავსტრალიის სამთამადნო მუშათა ბრძოლა

ლონდონი, 3 ივნისი. ავსტრალიაში, ახალი სამხრეთ უელსის 20 მაღაროში, სადაც გაფიცვა წელიწადზე მეტს გრძელდება, მუშაობა განახლდა. 14 მაღარო კვლავ გაჩერებულია, ვინაიდან მუშებმა უარი სთქვეს მრეწველთა წინადადების მიღებაზე. (ადს).

პოლონეთის ვერსია პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე მომხდარი ინციდენტის შესახებ

ვარშავა, 2 ივნისი. გაზეთები იუწყებიან პოლონეთ - ლიტვის საზღვარზე მომხდარი ინციდენტის შესახებ. პოლონეთის გაზეთების ვერსიით, პოლონეთის პატრულს თავს დაესხა და სროლა აუტეხა ლიტვის სანაპირო რაზმმა. ერთი პოლონელი კაპრალი მსუბუქად დაიჭრა. (ადს).

შეთანხმება პოლიტემიგრანტების გაცემის შესახებ

ვენა, 2 ივნისი. ბულგარეთის პრესის ცნობებით, თურქეთის პარლამენტმა დაამტკიცა შეთანხმება ბულგარეთიდან პოლიტემიგრანტთა გაცემის შესახებ. (ადს).

მასიური სესხების ობლიგაციების გადაცვლა

სესხზე—„ხუთწლედი—ოთხ წელიწადში“

მოსკოვი, 3 ივნისი. საკავშირო ფინსახკომმა გამოაქვეყნა წესები, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაიცვალოს ინდუსტრიალიზაციის პირველი და მეორე სესხების და გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციები სესხის — „ხუთწლედი ოთხ წელიწადში“-ს ობლიგაციებზე. სესხის „ხუთწლედი ოთხ წელიწადში“-ს ობლიგაციებზე უნდა გადაიცვალოს ინდუსტრიალიზაციის პირველი და მეორე სესხის, აგრეთვე გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციები. სესხის „ხუთწლედი ოთხ წელიწადში“-ს გამოშვება ხდება იმავე პირობებით, რა პირობებითაც გამოშვებულ იქნა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი, ამიტომ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ობლიგაციები არ გადაიცვლება და ისინი რჩებიან მიმოქცევაში. გადაცვლა ხდება გადასაცვლელი სესხების ობლიგაციების წარდგენით ყოველ საკრედიტო დაწესებულებაში, ამასთან ობლიგაციების პატრონთ უფლება ეძლევათ გადაიცვალონ სესხის — „ხუთწლედი ოთხ წელიწადში“ ყოველგვარი გამოცემის ობლიგაციები (უპროცენტო - მომგებიანი ანდა პროცენტიანი - მომგებიანი) იმ კუპიურებით, რომლებსაც ისინი მოისურვებენ. ინდუსტრიალიზაციის პირველი და მეორე სესხის და გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციები გადაცვლილ უნდა იქნან „ხუთწლედი ოთხ წელიწადში“-ს სესხის ობლიგაციებზე 1930 წლის 15 ივლისიდან 1931 წლის 1-ლ იანვრამდე შემდეგ პირობებში:

თანახმად საბჭოთა კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს 1930 წლის 22 თებერვლის დადგენილებისა, გადასაცვლელ სესხების ობლიგაციების პატრონთ მიეცემათ მთელი შემოსავალი 1931 წლის 1-ლ იანვრამდე. საპროცენტო შემოსავალი 1-ლი ოქტომბრიდან 1930 წლის 1-ლ დეკემბრამდე ინდუსტრიალიზაციის პირველ სესხზე, აგრეთვე 1-ლი სექტემბრიდან 1930 წლის 1-ლ დეკემბრამდე ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის პროცენტიან-მომგებიანი გამოშვების ობლიგაციებზე, ანგარიშის გამარტივების მიზნით, გაცემული იქნება მოგების სახით შემდეგი წესით: საპროცენტო შემოსავალი 1930 წლის ოქტომბრის განმავლობაში პირველი სესხის ობლიგაციებზე შეადგენს 2 მილიონ მანეთს (ერთი პროცენტი სესხის გამოსაშვებ თანხიდან—200 მილ. მანეთიდან); აღნიშნული თანხის გაცემა მოხდება დამატებითი ტირაჟის საშუალებით. მოეწყობა ინდუსტრიალიზაციის პირველი სესხის ტირაჟი, რომელშიაც გათამაშებული იქნება 20 ათასი მოგება, თვითეული 100 მანეთის რაოდენობით, სულ კი 2 მილიონი მანეთის რაოდენობით. ეს ტირაჟი მოხდება 1930 წლის 5 ივნისს.

საპროცენტო შემოსავალი 1930 წ. სექტემბრის, ოქტომბრის და ნოემბრის განმავლობაში ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის პროცენტიან - მომგებიანი გამოშვების ობლიგაციებზე შეადგენს 3 მილ. მანეთს (ერთ ნახევარი პროცენტი პროცენტიან - მომგებიანი გამოშვების თანხიდან — 200 მილ. მანეთიდან). ეს თანხა განაწილდება ობლიგაციების პატრონთა შორის მეორე სესხის პროცენტიან - მომგებიანი გამოშვების დამატებითი ტირაჟის საშუალებით, რომელშიაც გათამაშებული იქნება 30 ათასი მოგება, თითო 100 მანეთიანი, სულ 3 მილიონი მანეთის რაოდენობით. ეს ტირაჟი მოხდება 1930 წლის 14 ივნისს. არ შეიძლება გადაცვლა იმ ობლიგაციებისა, რომლებსაც დამატებით ტირაჟში მოგება შეხვდებათ. ამ ობლიგაციების ნომინალური ღირებულება ობლიგაციების პატრონებს მიეცემათ მოგებასთან ერთად 1930 წლის დეკემბერში. 1930 წლის დეკემბრის საპროცენტო შემოსავალი გადასაცვლელი სესხების ობლიგაციების პატრონებს მიეცემათ შემდეგი წესით: მათ 1931 წლის 1-ლ იანვრამდე მიეცემათ ნომინალური ღირებულების მიხედვით „ხუთწლედი ოთხ წელიწადში“-ს სესხის ობლიგაციები, რომლებს პროცენტების გადახდა დაიწყება 1930 წლის 1-ლ დეკემბრიდან. ობლიგაციების იმ პატრონთათვის, რომელნიც ვერ მოასწრებენ თავიანთი ობლიგაციების გადაცვლას 1931 წლის 1-ლ იანვრამდე, დაწესებულია გადაცვლის შეღავათიანი ვადა 1934 წლის 1-ლ იანვრამდე.

ინდუსტრიალიზაციის პირველი და მეორე სესხის ობლიგაციების შემოსავალი რამდენადმე მეტია „ხუთწლედი ოთხ წელიწადში“-ს სესხის ობლიგაციების შემოსავალზე. ამიტომ შემოსავლის განსხვავება ანაზღაურებული იქნება დამატებითი ტალონების გაცემით, რომელთა მიხედვითაც განსხვავება გადახდილი იქნება ინდუსტრიალიზაციის სათანადო სესხის საბოლოო დაფარვის ვადამდე. ყველა სესხები, რომლებიც უზრუნველყოფილნი არიან ინდუსტრიალიზაციის პირველი და მეორე სესხის და გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციებით, გარდა ხელისშემწყობ კომისიის ნებართვით გაცემულ სასწრაფო სესხებისა, დაფარულ უნდა იქნას 1930 წლის 1-ლ დეკემბრამდე. დაგირავებულ ობლიგაციების პატრონებს შეუძლიათ გამოისყიდონ იგინი. რისთვისაც უნდა დაფარონ სესხი და მათი პროცენტები ნაღდი ფულით. თუ სესხის წამლება არ გამოცხადდება სესხის დასაფარავად 1930 წლის 1-ლ ნოემბრამდე, საკრედიტო ამხანაგობები თვითონ მოახდენენ ამ ლიკვიდაციას ნოემბრის განმავლობაში; ისინი დაგირავებულ პროცენტიან - მომგებიან ობლიგაციებს გადასცვლიან „ხუთწლედი ოთხ წელიწადში“-ს სესხის პროცენტიან - მომგებიანი გამოშვების ობლიგაციებზე და დაგირავებულ უპროცენტო - მომგებიან ობლიგაციებს „ხუთწლედი ოთხ წელიწადში“-ს სესხის უპროცენტო - მომგებიანი გამოშვების ობლიგაციებზე. თუ ობლიგაციების გირაოს ქვეშ გამოცემულია სესხი: ხელისშემწყობ კომისიის ნებართვით ეს ობლიგაციები მთელი თანხით გადაცვლილ უნდა იქნენ ახალ სესხზე. სესხის დავალიანება გადადის „ხუთწლედი ოთხ წელიწადში“-ს სესხის ობლიგაციებზე და დაფარულ უნდა იქნას ხელისშემწყობ კომისიის მიერ დაწესებულ ვადებში (ადს).

1926 წლის სესხის მოგებათა ტირაჟი

მოსკოვი, 3 ივნისი. მოსკოვში მოხდა 1926 წლის სესხის მოგებათა მე-15 ტირაჟი. 100 ათასი მანეთის მოგება ხვდა ობლიგაციას 0,2 სერიას 3.273. 50 ათასი მანეთის მოგება ხვდა: ობლიგაციას 0,3 სერიას 4,773; ობლიგაციას 27, სერიას 5.173. 25 ათასი მანეთის მოგება: ობლიგაციას 0,5, სერიას 0204; ობლიგაციას 11, სერიას 2465, ობლიგაციას 0,6, სერიას 2782. 10 ათასი მანეთი მოგება: ობლიგაციას 10, სერიას 4734; ობლიგ. 26, სერიას 4814; ობლიგ. 49, სერიას 5448; ობლიგ. 15, სერიას 5644 და ობლიგ. 20, სერიას 5825. (ადს).

ამხ. უნშლიხტის, უბორევიჩის და გამარნიკის დანიშვნა

მოსკოვი, 3 ივნისი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა: განთავისუფლებულ იქნას ამხ. უნშლიხტი სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარის მოადგილის და საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლუციონური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან. დაინიშნოს ამხ. უბორევიჩი და გამარნიკი სამხედრო და საზღვაო კომისრის და საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლუციონური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად. დაინიშნოს ამხ. უნშლიხტი საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ (ადს).

მოსკოვი

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

რუსთაველის სახელობის საქ. აკადემიური დრამა მოსკოვში

მოსკოვი, 3 ივნისი. გუშინ მთელი შემადგენლობით მოსკოვში ჩამოვიდა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრი რეჟ. ალ. ახმეტელის მეთაურობით.

ჩამოსულებს სადგურზე შეხვდნენ მოსკოვის საბჭოს, ხელოვნების მუშაკთა მოსკოვის საოლქო გამგეობის, ხელოვნების საქმეთა მთავარმმართველობის, ხელოვნების საკავშირო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის, ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიის, პროლეტარულ ხელოვნების ასოციაციის, უცხოეთთან კულტურული კავშირის საზ-ბის, რევოლუციისა და სხვა თეატრების წარმომადგენლები, ნაციონალურ რესპუბლიკების წარმომადგენლობათა წარმომადგენლები და სხვ.

სადგურში გამართულ სახელდახელო მიტინგზე საქ. სახ. აკადემიურ დრამას მიესალმენ სხვადასხვა ორგანიზაცია - დაწესებულებათა წარმომადგენლები.

თავის საპასუხო სიტყვაში ალ. ახმეტელმა განაცხადა:

„ჩვენ ბედნიერნი ვართ მივესალმოთ საკავშირო თეატრალური ცენტრის წარმომადგენლებს და მოსკოვის პროლეტარიატს. მეფის რეჟიმისაგან და იმპერიალიზმის ლაქიებისაგან — მენშევიკებისაგან განთავისუფლებულმა საქართველომ საძირკველი ჩაუყარა ნაციონალური კულტურული აღორძინების ეპოქას. სახელმწიფოს სათავეში ჩამდგარმა საქართველოს პროლეტარიატმა ფართოდ გაშალა მუშაობა ნაციონალური თეატრის მოსაწყობად. რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრი ჩადგა პროლეტარული ფრონტის რიგში და გადაიქცა კულტურული რევოლუციის იარაღად. საბჭოთა კავშირის დედა - ქალაქში ჩვენ ვაცხადებთ, რომ თქვენთან ერთად ვაწარმოებთ ენერგიულ მუშაობას საბჭოთა ხელოვნების აყვავებისათვის“.

საღამოს მოსკოვის მესამე სამხატვრო თეატრის შენობაში მოხდა ქართველ მსახიობთა შეხვედრა სამხატვრო თეატრის მსახიობებთან.

თესვის დამთავრება, მავნებლებთან ბრძოლა და კონტრაქტაციის შესრულება

არის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გადამწყვეტი ამოცანა

სენაკის, ოზურგეთის მაზრებში და კახეთში გვიანდება თესვა; თამბაქოს თესვის რესპუბლიკანური გეგმა შესრულებულია მხოლოდ 20 პროც.; მწვავეთ დავარტყათ თესვის ტემპის შენელების ყოველგვარ განწყობილებებს

კონტრაქტაციის მასიური შემოწმებისათვის

კონტრაქტაცია ის უძლიერესი საშუალებაა, რომლითაც ადვილად სწყდება მოსავლიანობის აწევის და ნათესების გადიდების საკითხები; ამ მხრივ კონტრაქტაციას მეტად სასარგებლო მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით ინდივიდუალურ მეურნეობებისათვის.

ამასთანავე კონტრაქტაცია უეჭველად ხელს უწყობს სოფლის მეურნეობაში განსაზოგადოებულ ფორმების შეტანას.

იმ რაიონებში და სოფლებში, სადაც კონტრაქტაცია სწორად და ორგანიზაციულად ჩაატარეს—მივიღეთ აგრიკულტურული ღონისძიებათა გატარების გაუმჯობესება, მოსავლიანობის აწევა, ნათესების გადიდება, კოლექტიური მოძრაობის გაძლიერება და კულაკობის გავლენის საგრძნობი შესუსტება.

პირიქით, იქ, სადაც კონტრაქტაცია ნაჩქარევად ჩაატარეს და ვერ შეაფასეს კონტრაქტაციის სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა ნათესების გადიდებას გარკვეული ჩამორჩენა ეტყობა და კულაკობის მავნებლური გავლენაც მეტს გასავალს პოულობს.

ზოგან შემჩნეული იყო კონტრაქტაციის ფორმალური და მექანიკური გატარება. კოლექტიურ მეურნეობებთან და ღარიბ და საშუალო გლეხობასთან ხელშეკრულებები იდებოდა საკითხის წინასწარი დაუმუშავებლად; გლეხკაცობას არ აცნობდნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ამგვარად კონტრაქტაცია კარგავდა თავის აგრო-სამეურნეო მნიშვნელობას.

ამის გამო ზოგიერთ რაიონებში დადებული ხელშეკრულებები არ შეიძლება მივიჩნიოთ სავსებით რეალურად და ძნელია, თქმა შესრულდება თუ არა თავის დროზე და მთლიანად აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებანი.

ეს მდგომარეობა გვიკარნახებს კონტრაქტაციის მასიურ შემოწმებას, ხელშეკრულებების შესრულების დამაბრკოლებელი მიზეზების გამორკვევას და სათანადო ზომების დროზე მიღებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პუნქტების ვადაზე შესასრულებლად. ამ ამოცანაზე უნდა იქნას ამჟამად მიქცეული პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების და სოფლის მთელი საზოგადოებრიობის ყურადღება.

კონტრაქტაციის რეალურად განხორციელებისაგან დამოკიდებულია უმთავრესად პურის დამზადების კამპანიის წარმატებით ჩატარება და ეს გარემოება კიდევ უფრო ადიდებს კონტრაქტაციის მასიურ შემოწმების სამეურნეო და პოლიტიკურ მნიშვნელობას.

კონტრაქტაციის შემოწმებას და ახალი ხელშეკრულებების დადებას უნდა მიეცეს მასიური ხასიათი. არჩევით ორგანოებთან არსებული ყველა ღარიბთა ჯგუფებზე, სოფლის ღარიბთა კრებებზე და კოლმეურნეობის წევრებში უნდა გაიშალოს ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია კონტრაქტაციის სარგებლიანობა-უპირატესობის გასარკვევად და იმ შეღავათების გასაცნობად, რომელიც ეძლევა კონტრაქტაციაში ჩაბმულ კოლმეურნეობებს და ღარიბ-საშუალო გლეხებს. ამ ახსნა-განმარტებითი კამპანიის დროს ყურადღების ცენტრი გადატანილი უნდა იქნეს კულაკობის იმ ცილისწამება და ჭორების გამოაშკარავება-გაბათილებაზე, რომლებსაც ისინი ავრცელებენ კონტრაქტაციის შესახებ.

კონტრაქტაციის შემოწმების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როგორც გაზაფხულის, ისე შემოდგომის ნათესები. შემოწმების დროს სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ფაქტიურად დათესილი ფართობის გამორკვევას. ამის გარეშე შეუძლებელია რაიმე შედეგების მიღწევა საკონტრაქტაციო გეგმების შესრულების დარგში. შემოწმების დროს უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს მერყევი ელემენტების კოლექტივებიდან გასვლით გამოწვეულ ცვლილებების გათვალისწინებას.

კონტრაქტაციის შემოწმების დროს გამორკვეული უნდა იქნეს არა მარტო მხვნელ-მთესველების ვალდებულებათა შესრულება, არამედ დაწვრილებით უნდა გამოაშკარავდეს ისიც, თუ რამდენად დროზე და მთლიანად შეასრულეს თავიანთი ვალდებულება კონტრაქტაციაში ჩაბმულ გლეხობის წინაშე კონტრაქტაციის გამტარებელ ორგანოებმა და პირველ რიგში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ.

სოფლებიდან და განსაკუთრებით მარცვლეული კულტურის რაიონებიდან (ქიზიყი, გორის ოლქი) მიღებული ცნობებით კი მტკიცდება, რომ კონტრაქტაციის გამტარებელი ორგანიზაციები აგვიანებდნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას ღარიბ-საშუალო გლეხების და კოლმეურნეების წინაშე. ასეთი ფაქტების გამორკვევისთანავე გამოაშკარავებული უნდა იქნენ კონკრეტული დამნაშავენი და ისინი დასჯილი უნდა იქნან თანამდებობიდან გადაყენებით და სათანადო პასუხისგებაში მიცემით.

კონტრაქტაციის შემოწმების ჩასატარებლად ცოტა დრო დარჩა. რამდენიმე კვირის შემდეგ დაიწყება 1930-31 წლის მარცვლეული კულტურების კონტრაქტაციის ახალი კამპანია.

ამავე დროისათვის ყველა ადგილობრივი ორგანიზაციები და პურის დამამზადებელი აპარატი უნდა შეუდგეს კონტრაქტაციაქმნილ მოსავლის აღრიცხვას.

ამის გამო კონტრაქტაციის შემოწმების კამპანიის დარგში ახლავე უნდა გაიშალოს შემოქმედებითი და დარტყმითი მუშაობა. ამ კამპანიის გარშემო უნდა დაირაზმოს სოფლის და ქალაქის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყურადღება; მოწინავე კოლმეურნეებიდან და მოჯამაგირეებიდან უნდა შეიქმნას კონტრაქტაციის შემმოწმებელი დამკვრელი ბრიგადები და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ჯანსაღი თვითკრიტიკის და მშრომელთა აქტივობის გაშლა ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებების ნამდვილი შესრულებისათვის.

მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება ჩატარებულ მუშაობის ნაყოფიერად შემოწმება, დაშვებულ შეცდომების გამოსწორება და კონტრაქტაციის გეგმის მთლიანად შესრულება.

ა. ქ—ი.

თესვის მდგომარეობა 25 მაისისათვის

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ცნობა

კონტრაქტაცია

25 მაისისთვის კონტრაქტაცია ჩატარებული იყო 74.395 ჰექტარ სიმინდის ნათესზე, შესრულებული იყო გეგმის (114.800 ჰექტარი) 64,8 პროც., 5.986 ჰექტარ ქერის ნათესზე, რაც შეადგენს გეგმის (14.400 ჰექტარი), 41,6 პროც.-ს; 4041 ჰექტარ პურის ნათესზე, შესრულებული იყო გეგმის (9150 ჰექტარი) 44,1 პროც.; 12 960 ჰექტარ ბამბაზე, ანუ გეგმის (13.500 ჰექ.), 96 პროც.; 20.373 ჰექტარ თამბაქოს ნათესზე, რაც შეადგენს გეგმის (21.200 ჰექტარი) 96.1 პროც.; 18000 ჰექტარ ძაძაზე, რაც შეადგენს გეგმის (20.000 ჰექტარი), 90 პროც.; 1067 ჰექტარ კანაფზე, შესრულებულია გეგმის 91,9 პროც.; 80 ჰექტარ არახისზე; 220 ჰექტარ შაქრის ჭარხალზე; 2774 ჰექტარ კარტოფილზე, შესრულებულია გეგმის (3.500 ჰექტარი) 79,3 პროც.; 253 ჰექტარ ხახვზე, გეგმა (150 ჰექტარი) შესრულებულია 68 პროც. გადაჭარბებით; 232 ჰექტარ კომბოსტოზე, გეგმა (150 ჰექტარი) შესრულებულია 54,6 პროც.-ს გადაჭარბებით; გეგმის გარეშე კონტრაქტაცია ჩატარებულია 10 ჰექტარ ძაღლ-ყურძენას და 5 ჰექტარ პიტნის ნათესზე.

თესვის საერთო მდგომარეობა

25 მაისისათვის სიმინდი დათესილი იყო სულ 380.271 ჰექტარზე, შესრულებული იყო გეგმის (451.215 ჰექტარი) 84,3 პროც.; პური —42.374 ჰექტარზე ანუ გეგმის (52.110 ჰექტარი) 81,3 პროც.; ქერი 59.499 ჰექტარზე, რაც შეადგენს გეგმის (68.410 ჰექ.) 87 პროც.. დანარჩენი მარცვლეული (ფეტვი, შვრია და სხვ.) 6.539 ჰექტარზე, ანუ გეგმის (11.380 ჰექტ.) 57,5 პროც.; ძაძა — 19.387 ჰექტარზე, ანუ გეგმის (20.400 ჰექტარ.) 94,8 პროც.; ბამბა 11.498 ჰექტარზე, რაც შეადგენს გეგმის (14.300 ჰექტ.) 81,1 პროც.; თამბაქო 4161 ჰექტარი, ანუ გეგმის (21.000 ჰექტარი) 19,8 პროც.; კანაფი 1727 ჰექტ. ანუ გეგმის (2.050 ჰექტ.) 84,2 პროც.; არახისი 218 ჰექტ. ანუ გეგმის (900 ჰექტარი) 24,2 პროც.; მზესუმზირა 3128 ჰექტარი, გეგმის (1450 ჰექტარი) 215,7 პროც.. შაქრის ჭარხალი 250 ჰექტ., გეგმა შესრულებულია მთლიანად; კარტოფილი 7.893 ჰექტარი, გეგმის (9360 ჰექტარი) 84,4 პროც.; ბოსტანი — 8.377 ჰექტარი, გეგმის (10.759 ჰექტარი) 77,9 პროც.; ბაღჩა 5870 ჰექტ., გეგმის (12.170 ჰექტარი) 48,2 პროც., ჩაი — 6013 ჰექტარი, გეგმის (6500 ჰექტარი) 92,5 პროც., ვენახი 920 ჰექტარი, გეგმის (900 ჰექტარი) 110,2 პროც., ხეხილის ბაღი 1.154 ჰექტარი, გეგმის (1894 ჰექტარი) 60,9 პროც.; თუთის პლანტაციები 1382 ჰექტარი, გეგმის (1582 ჰექტარი) 87,4 პროც..

კოლმეურნეობებში დათესილია:

სიმინდი 83.955 ჰექტარი, ან რესპუბლიკის მთლიან თესვის გეგმის 12 პროც.; პური 5.620 ჰექტ., რესპუბლიკანური გეგმის 10,8 პროც., ქერი — 13.175 ჰექტარი, რესპუბლიკანური გეგმის 19,1 პროც., ბამბა 2.016 ჰექტარი, გეგმის 14 პროც.; თამბაქო 1002 ჰექტარი, გეგმის 4,7 პროც.; სოია 12.000 ჰექტარი, გეგმის 58 პროც.; კანაფი — 1478 ჰექტარი, გეგმის 72 პროც.; არახისი — 48 ჰექტარი, გეგმის 5,3 პროც.; მზესუმზირა — 782 ჰექტარი, გეგმის 53,9 პროც.; შაქრის ჭარხალი — 245 ჰექტარი, გეგმის 98 პროც.; კარტოფილი 2.349 ჰექტარი, გეგმის 25,1 პროც.; ბოსტანი 1847 ჰექტარი, გეგმის 39 პროც.; ნათესი ბაღჩა 1472 ჰექტარი, გეგმის 12,1 პროც.; ჩაი 5198 ჰექტარი, გეგმის 79,9 პროც.; ვენახი 467 ჰექტარი, გეგმის 40,7 პროც.; ხეხილის ბაღი 787 ჰექტარი, გეგმის 41,6 პროც. და თუთის პლანტაცია 202 ჰექტარი, გეგმის 13 პროც..

ინდივიდუალურ სექტორში

25 მაისისათვის ინდივიდუალურ სექტორში დათესილი იყო სიმინდი 296.316 ჰექტარი, ანუ რესპუბლიკანური გეგმის 66,9 პროც.; პური 6.755 ჰექტარი, ანუ მთლიან გეგმის 12,9 პროც.; ქერი 46.323 ჰექტარი, ანუ გეგმის 66,2 პროც.; ბამბა 9.486 ჰექტარი, ანუ გეგმის 67 პროც.; თამბაქოს 3.159 ჰექტარი, გეგმის 15 პროც.; კანაფი 249 ჰექტარი, გეგმის 12 პროც.; ძაძა 7.456 ჰექტარი, გეგმის 36,4 პროც.; არახისი 170 ჰექტარი, გეგმის 19 პროც.; მზესუმზირა — 2.346 ჰექტარი გეგმის —161 პროც.; ეთერის მომცემი მცენარეულობა 70 ჰექტარი, გეგმის 33,3 პროც.; ბოსტანი — 6530 ჰექტარი, გეგმის 61 პროც.; კარტოფილი 5554 ჰექტარი, გეგმის 59,3 პროც.; ბაღჩა — 4398 ჰექტარი, გეგმის 36,1 პროც., ამავე რიცხვისათვის ახალი ვენახი გაშენებულ იყო 553 ჰექტარზე, რაც შეადგენს მთლიანი გეგმის 61 პროც.-ს, ხილის ბაღები 367 ჰექტარზე, რაც შეადგენს გეგმის 19 პროც.-ს; და თუთის პლანტაციები გაშენებული იყო 1180 ჰექტარზე, შესრულებული იყო მთელი გეგმის 61 პროც..

საქ. სახკომსაბჭოს ცირკულიარი

კოლექტივებიდან სხვადასხვა ცნობების მოთხოვნის შეწყვეტის შესახებ

მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოების თავმჯდომარეებს, აგრეთვე საოლქო აღმასკომებს

ამ უკანასკნელ დროს ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოები და ორგანიზაციები კოლმეურნეობებისა და უმარტივესი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებებისაგან მოითხოვენ სხვადასხვა ცნობებს, გარდა იმ ცნობებისა, რაც წარდგენილ უნდა იქნას თანახმად საბჭოთა კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წლის 27 აპრილის იმ დადგენილებისა, რომელიც ითვალისწინებს ანგარიშების წარდგენას სახელმწიფო ორგანოებისა და კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ და იმ საქციო საზოგადოებების მიერ, სადაც მონაწილეობას იღებს სახელმწიფო და კოოპერატიული კაპიტალი (ს. ს. რ. კავშირის კანონთა კრებული, 1927 წ. № 26, მუხლი 278).

სრულიად ზედმეტ მუშაობას აკისრებს ეს კოლმეურნეობებს და გაერთიანებებს და უარყოფით გავლენას ახდენს მათ მიერ საწარმოო გეგმების შესრულებაზე.

აღვნიშნავ რა ამ მოვლენის სრულ დაუშვებლობას, წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ მიიღოთ გადამჭრელი ზომები მისი აღმოფხვრისათვის, იმ პირების პასუხისგებაში მიცემით, რომელნიც არღვევენ საბჭოთა კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს 30 აპრილის დადგენილებას.

ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. შმიდტი.

ნათესების კონტრაქტაცია

პირველ ივნისისათვის

„სოფლის კავშირი"-ს ცნობით 1 ივნისისათვის საქართველოში (ავტონომიურ ერთეულების გამოკლებით) ხორბლეულის ნათესების კონტრაქტაცია ჩატარებული იყო 88.194 ჰექტარზე, რაც შეადგენს გეგმის (137.950 ჰექტარი) მხოლოდ 63,9 პროც.

ცალკე კულტურათა მიხედვით კონტრაქტაცია ჩატარებული იყო 45,68 ჰექტარ პურზე, შესრულებული იყო გეგმის (9.150 ჰექტარი) 49,92 პროც., 6.678 ჰექტარ ქერზე, შესრულებული იყო გეგმის (14.000 ჰექტარი) 47,63 პროც., 76947 ჰექტარ სიმინდზე, შესრულებული იყო გეგმის (114.800 ჰექტარი) 67,02 პროცენტი.

კოლმეურნეობებში კონტრაქტაცია ჩატარებული იყო 53.435 ჰექტარ (პური—2686,5 ჰექტარი, ქერი—3852,5 ჰექტარი და სიმინდი 46.896 ჰექტარი) ხორბლეულის ნათესებზე. ამრიგად კოლმეურნეობებს შესრულებული ჰქონდათ კონტრაქტაციის რესპუბლიკანური გეგმის 38,7 პროც. ამავე რიცხვისთვის ჯგუფ. გაერთიანებათა და სას. საწარმოო ამხანაგობებში კონტრაქტაცია ჩატარებული იყო 34.759 ჰექტარ ხორბლეულის ნათესზე, რაც შეადგენს მთლიანი რესპუბლიკანური გეგმის 25,2 პროცენტს.

ოლქებისა და მაზრების მიხედვით კონტრაქტაცია შემდეგ სურათს იძლევა: კახეთის ოლქში კონტრაქტაცია ჩატარებული იყო 6391 ჰექტარ ნათესზე, შესრულებული იყო გეგმის (13.100 ჰექტარი) 48,8 პროც., თბილისის ოლქში—2766 ჰექტარზე, ანუ გეგმის (10.600 ჰექტარი) 26,1 პროც.; გორის ოლქში 8.139 ჰექტარზე, ანუ გეგმის (16.600 ჰექ.) 49 პროც.; ქუთაისის ოლქში—26.594 ჰექტარზე, ანუ გეგმის (50.000 ჰექტარი) 53,2 პროც.; ახალციხის მაზრაში—2730 ჰექტარზე, ანუ გეგმის (2.450 ჰექტარი) 111,42 პროც.; ახალქალაქის მაზრაში—1890 ჰექტარზე, ანუ გეგმის (5.200 ჰექტარი) 36,3 პროცენტი; ზუგდიდის მაზრაში 16.623 ჰექტარზე ანუ გეგმის (14.000 ჰექტარი) 118,8 პროც.; სენაკის მაზრაში—10676 ჰექტარზე, ანუ გეგმის (14.000 ჰექტარი) 76,26 პროც. და ოზურგეთის მაზრაში 12.385 ჰექტარზე, ანუ გეგმის (12.000 ჰექტარი) 103,23 პროც.

ამრიგად კონტრაქტაციის გეგმის შესრულებაში პირველ რიგში იმყოფებიან: ზუგდიდის მაზრა (კონტრაქტაციის გეგმა შესრულა 18,6 პროცენტის გადაჭარბებით), ახალციხის მაზრა (გეგმა შესრულა 11,42 პროცენტის გადაჭარბებით) და ოზურგეთის მაზრაში (გეგმა შესრულა 3,23 პროცენტის გადაჭარბებით).

სამარცხვინოთ ჩამორჩა: თბილისის ოლქი (რომელმაც შესრულა კონტრაქტაციის გეგმის მხოლოდ 26,1 პროც.), ახალქალაქის მაზრა (შესრულა გეგმის მხოლოდ 36,3 პროც.) და გორის ოლქი (შესრულა გეგმის 49 პროც.).

აღინიშნოს, რომ კონტრაქტაცია წელს მეტად არა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. 1 ივნისისათვის, ე. ი. იმ დროისათვის, როდესაც თესვა თითქმის მთავრდება, შესრულებული იყო კონტრაქტაციის გეგმის მხოლოდ 63,9 პროც. და შეუსრულებელი რჩებოდა გეგმის 36,1 პროც. მართალია კონტრაქტაციის მსვლელობას წელს წინ გადაეღობა ზოგიერთი ობიექტიური მიზეზი, მაგრამ გეგმის მთლიანად და დროზე შესრულება სავსებით შესაძლო იყო.

ცნობები კოლექტივიზაციის ფრონტიდან

(ჩვენი საქ. კორესპონდენტებისა და ა.-კ. დეპეშ. სააგენტოსაგან)

გეგმა გადაჭარბებით შევასრულეთ

გორი, 3 ივნისი. (საქ. კორ.) 30 მაისისათვის გორის ოლქში მოხნული და დათესილია ყველა კულტურებით 48434 ჰექტარი. გეგმით კი უნდა დათესილიყო 45.825 ჰექტარი. თესვის გეგმა შესრულებულია 105 პროც.

ცალკე კულტურების მიხედვით დათესილია: სიმინდი 30840 ჰექტარი ანუ გეგმის 100,8 პროც., გაზაფხ. ხორბალი 3222 ჰექტ. ანუ 103,6 პროც., გაზაფხ. ქერი 9563 ჰექტ. ანუ 109,2 პროც., კარტოფილი 1000 ჰექტ. ანუ 150,4 პროც., ბოსტნეული 1528 ჰექტ. ანუ 117,5 პროც., შაქრის ჭარხალი 251 ჰექტ. ანუ 100,5 პროც., ძირნაყოფა 148 ჰექტ. ანუ 148 პროც., უგრეხილი 1256 ჰექტ. ანუ 125.6 პროცენტით და სხვა.

თესვა მთელი ოლქის მასშტაბით დასრულდა. გრძელდება ბოსტნეულის გადარგვა (კომბოსტო).

კურსები კოლმეურნეთათვის

ქუთაისი, 2 ივნისი. ქუთაისში გაიხსნა მოანგარიშეთა კურსები 100 კაცისათვის. მსმენელები შერჩეულნი არიან მხოლოდ კოლმეურნეობის წევრთაგან.

კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების მოსამზადებლად გაიხსნა ერთთვიანი კურსები ასი კაცისათვის (ადს).

კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმები

ქუთაისი, 2 ივნისი. წლიური საწარმოო გეგმების შედგენა ნელის ტემპით მიმდინარეობს. 321 კოლმეურნეობაში გეგმები დღემდე მხოლოდ 35 პროცენტს აქვს შედგენილი. ყველა კოლმეურნეობა გადაყვანილ იქნა ახალ წესებზე (ადს).

თესვა დამთავრდა

ბორჯომი, 2 ივნისი. მთელ რაიონში დამთავრდა ხორბლეულის თესვა. დათესილია 3.448 ჰექტარი. გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით (104.5 პროც.). კარტოფილის თესვა მალე დამთავრდება (ადს).

პარტიული უჯრედები იწონებენ

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას თეზისებს

(ქალაქის რაიონი)

თბილისის პარტიული ორგანიზაციები შეუდგნენ მე-16 პარტყრილობისათვის გამოქვეყნებულ თეზისების დამუშავებას. პირველ ივნისს ამხ. იაკოვლევის მოხსენების თეზისები, — საკოლმეურნეო მოძრაობის და სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ", დამუშავებულ იქნა ქალაქის რაიონში.

პირველ ივნისს, ქალაქის რაიკომმა მოაწყო ჯგუფური კრებები სამ ადგილას: — საბჭოთა და სავაჭრო მუშათა საქმიან და [illegible] კლუბებში.

საბჭოთა და სავაჭრო მუშათა კლუბში შესდგა — ლუდის ქარხნის, მუშკოოპის, მთავარ საავადმყოფოს, მეღვინეთა კავშირის, ქართულ მუშფაკის, სახალხო კვების მუშების, წითელი ჯვარის, „ზაკავტოპრომტორგის", ფეიქის ფაბრიკის, ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების, მეეზოვეების, თბ. მუშათა თეატრის, აგურის ქარხნების, ფოლაქების ფაბრიკის, მუშათა უნივერსიტეტის და სხვ. უჯრედების ჯგუფური კრება.

საკოლმეურნეო მოძრაობის და სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ს. მამულიამ.

მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებულ შეცდომებზე, საკოლმეურნეო შენებლობის გამოცდილების და შეცდომებთან ბრძოლაზე, კოლექტივიზაციის ტემპებზე და სოფლის მეურნეობის ამოცანებზე. ამხ. მამულიამ თავის მოხსენებაში აუდიტორიის ყურადღება შეაჩერა საკოლმეურნეო მოძრაობის საორგანიზაციო საკითხებზე და დასასრულს მოუწოდა პარტიის ყველა წევრებს დაწვრილებით გაეცნონ პრესაში გამოქვეყნებულ ყველა თეზისებს და დაამუშაონ ცალკე უჯრედებში.

ამხ. ს. მამულიას მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. სპანდიაშვილმა, მამჩაშვილმა, მიზაიძემ, საიაშვილმა, თოდრიამ, წიკლაურმა, ლუხუტაშვილმა და სხვ. კამათში გამოსული ამხანაგების უმრავლესობა ეხებოდნენ საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებულ შეცდომებს და მოითხოვდნენ ორ ფრონტზე ბრძოლის კიდევ უფრო გაძლიერებას.

— საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებულ შეცდომების გამოსწორებასთან ერთად, — განაცხადეს კამათში გამოსულ ორატორებმა, — ჩვენ მწვავედ უნდა დავარტყათ მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნიზმს და მათთან შემარიგებლობას კოლმეურნეობათა მშენებლობის ჩქარი ტემპით განვითარება შეუძლებელია მემარჯვენე გადახრების საბოლოოდ განადგურების გარეშე.

კამათში გამოსული ამხანაგები ერთხმად იწონებენ საქ. კპ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ მოწონებულ თეზისებს საკოლმეურნეო მოძრაობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ.

ამხ. ს. მამულიამ თავის საბოლოო სიტყვაში ამომწურავი პასუხი გასცა შეკითხვებზე და კამათში გამოსულ ამხანაგების მიერ აღძრულ საკითხებს.

დასასრულ კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც პარტუჯრედის ჯგუფური კრება მთლიანად და სავსებით იწონებს და უერთდება ამხ. იაკოვლევის მოხსენების თეზისებს, საკოლმეურნეო მოძრაობის და სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ, მე-16 პარტყრილობისათვის.

ასეთივე ჯგუფური კრება შესდგა მბეჭდავთა კლუბში. საკოლმეურნეო მოძრაობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მ. გობეჩიამ. ჯგუფურ კრებას დაესწრო მე-2 სტამბის, მე-5 სტამბის, მე-6 სტამბის, პოლიგრაფტრესტის ლიტოგრაფიის, „ზარია ვოსტოკას" სტამბის, სახელგამის, მეხანძრეთა რაზმის, „თელასის", მშენებლების, სამხატვრო ინსტიტუტის, სახელმწიფო ოპერის და სხვა კომუჯრედების წევრები.

მოხსენებამ გაცხოველებული კამათი გამოიწვია. კამათში გამოსული ამხანაგები უმთავრესად ხაზს უსვამდნენ საკოლმეურნეო მშენებლობის მიღწევებს და არსებულ კოლმეურნეობების განმტკიცებას.

კამათისა და მოხსენების საბოლოო სიტყვის შემდეგ ჯგუფურმა კრება მიღებულ რეზოლიუციაში სავსებით უერთდება და იწონებს ამხ. იაკოვლევის მოხსენების თეზისებს „საკოლმეურნეო მოძრაობის და სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ".

საქმიან კლუბში შესდგა სატყეო ტრესტის, მუშათა სასახლის, „საქართველოს ჩაის", რუსთაველის თეატრის, მიწსახკომის, განათლების სახალხო კომისარიატის, განათლების მუშაკთა კავშირის, სოფლის კავშირის, აბრეშუმის ტრესტის და სხვა უჯრედების ჯგუფური კრება საკოლმეურნეო მოძრაობის და სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. შ. მათიკაშვილმა.

კრების მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ ჯგუფური კრება მთლიანად და სავსებით იწონებს და უერთდება ამხ. იაკოვლევის მოხსენების თეზისებს, საკოლმეურნეო მოძრაობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ.

ქართული ხელოვნების საშუალო საუკუნოების ძეგლების გამოფენა

უცხოეთში

თბილ. სახელმ. უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელთა და სტუდენტთა კრების რეზოლიუცია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში მოწვეულმა მეცნიერ თანამშრომელთა და სტუდენტთა საერთო კრებამ მოისმინა ინფორმაცია უცხოეთში ქართულ ხელოვნების საშუალო საუკუნოების ძეგლების გამოფენისა და მის ირგვლივ პროვოკაციის შექმნის ცდის შესახებ. კრება ესალმება მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, რომელიც გერმანელ სამეცნიერო წრეების წინადადების მიღებაში, გამოფენის მოსამზადებლად სათანადო თანხების გაღებაში, მრავალი ძეგლის რესტავრაციაში, გამოფენის საორგანიზაციო სხვა ღონისძიებებში და ექსპონატების უზრუნველყოფასა და უკლებლივ უკან დაბრუნებისათვის ზრუნვაში გამოიხატა.

ასეთი გამოფენა კრებას მიაჩნია ჩვენი კულტურული სახის, ევროპის წინაშე საუკეთესო დემონსტრაციად, რაც მოგვცემს საშუალებას შევქმნათ პირობები, ევროპიულ ქვეყნებთან კულტურულ თანამშრომლობისათვის მომავალში.

კრება აღიარებს, რომ ხელოვნების გამოფენა ერთი ნაწილია კულტურულ წამოწყებათა მთელი რიგის (არქეოლოგ. გათხრები ნაქალაქევსა და მცხეთაში, საკვლევო ინსტიტუტი თბილისში, წიგნების და მეცნიერულ ძალების გაცვლა - გამოცვლა და სხვა) და მისი გამარჯვება ამ წამოწყებათა დადებითი და ნაყოფიერი დამთავრების საწინდარია.

ამასთან ერთად მეცნიერთა და სტუდენტთა კრება ჰგმობს პროვოკაციის შექმნას გამოფენის ირგვლივ და ხედავს მასში ყოველის მხრივ უილაჯო ცდას იმ მდგომარეობის მიჩქმალვისას, როდესაც ქართველ ერის კულტურულ წარსულის ძეგლები მენშევიკურ მთავრობის მიერ საქართველოდან გატაცებული საბანკო ოპერაციების საწინდრადაა გადაქცეული, ხოლო მეორეს მხრივ საბჭოთა მთავრობას რესტავრაცია ქმნილ, ან ახლად გადმოღებულ და შეკეთებულ ძეგლების სახით ქართული კულტურის სახე საქვეყნოდ სახჩვენებლად გააქვს დასავლეთ ევროპაში დროებითი გამოფენის სახით.

კრება დაასკვნის, რომ გამოფენის მოწყობა უცხოეთში საბჭოთა მთავრობის ერთ-ერთ მიღწევად უნდა ჩაითვალოს და გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ გამოფენა მიაღწევს თავის მაღალს და კულტურულ-ეროვნულ მიზანს.

მეტი ყურადღება საბავშვო ბაღებს

საქართველოს პროფსაბჭოს სოციალურ და ყოფა-ცხოვრების სექტორმა გამოიკვლია თბილისის ფაბრიკა - ქარხნებთან არსებულ საბავშვო ბაღების მდგომარეობა.

გამოკვლევამ აღმოაჩინა მრავალი დეფექტები. ბაღებში ცუდათაა დაყენებული ბავშვთა კვების საქმე. კერძოდ ცუდი კვება აქვთ ორთაჭალის ქარხნებთან და თამბაქოს ფაბრიკებთან არსებულ ბაღებში მოთავსებულ ბავშვებს. ბავშვები აქ უმთავრესად მშობლების ხარჯზე იკვებებიან, რის გამო მუშები ბავშვებთან ერთად ყოველ დღე ეზიდებიან სახლიდან საკვებ პროდუქტებს.

ხანდახან ბავშვების უმრავლესობა მარტო პურის ამარა არის და ზედმეტ-ნაკლებად იკვებებიან.

საბავშვო ბაღები არც საწოლების მხრივ არიან უზრუნველყოფილნი.

ზოგიერთ ბაღებში საწოლების უქონლობის გამო, ბავშვებს იატაკზე სძინავთ, რაც ყოვლად დაუშვებელია და ჯანმრთელობისათვის მავნე. საწოლების სიმცირე განსაკუთრებით საგრძნობია ორთაჭალის და ქალაქის პირველ საავადმყოფოს ბაგებში. ადმინისტრაცია არავითარ ზომებს არ იღებს ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

აგრეთვე არაა საკმაო მომვლელების რიცხვი და ბაგების უმრავლესობა მოთავსებულია ცუდ ბინებში. ბაგეებზე არ არსებობს საზოგადოებრივი კონტროლი და მზრუნველობა.

ამ დეფექტების გამოსასწორებლად პროფსაბჭომ დაადგინა დაევალოს კომუნალურ განყოფილებას და საბინაო კავშირს საბავშვო ბაგეებისათვის გამონახონ შესაფერი ბინები.

ბაგები უზრუნველყოფილი უნდა იქნენ საჭირო ინვენტარით. ძირითად პროფორგანიზაციებს წინადადება მიეცათ გააძლიერონ საზოგადოებრივი მეთვალყურეობა ბაგეებზე და ამ მიზნით მოაწყონ ბაგეების კომიტეტები. კომიტეტებს ევალებათ მჭიდრო კავშირი იქონიონ მშობლებთან და მათ შორის აწარმოონ შესაფერი კულტურული მუშაობა.

მივცეთ წითელ ჯარს საუკეთესო მშრომელი ახალგაზრდები

წითელ ჯარში არ უნდა მოხვდეს არც ერთი ანტისაბჭოთა და კლასობრივად მიუღებელი ელემენტი

გავაძლიეროთ პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობა წითელ ჯარში გასაწვევთა შორის

ვემზადოთ წითელ ჯარში მორიგ გაწვევისათვის

წინასწარი სამზადისი [illegible] ბულთა ჯარში გასაწვევად [illegible] წელში დაბადე[illegible]რიტორიაზე დაიწყო მიმდინარე წლის [illegible]ვარში და დამთავრდა მარტის [illegible] წლის იან[illegible]ხვებში—გასაწვევ ახალგაზრდობის რიც[illegible] მიწერით გასაწვევ უბნებზე.

გასაწვევ მოქალაქეთა მიწერაში გა[illegible] უბნებზე უშუალო მონაწილეობა უნდა [illegible]ლოთ სოფლის საბჭოებს. მაგრამ იანვარ-თებერვალში, როდესაც სოფლის და ქალაქის გულისყური მთლიანად მიპყრობილი იყო სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისაკენ, სოფლის საბჭოებმა ვერ შესძლეს მათზე დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულება. ამის გამო გასაწვევ უბნებზე მიწერის ვადა ზოგიერთ ოლქებში და მაზრებში გაგრძელებული იქნა რამდენიმე თვით.

გასაწვევ უბნებზე მიწერის დამთავრების შემდეგ სამხედრო უწყება შეუდგა გასაწვევთა ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის გამორკვევას და შეღავათების განაწილებას. მუშაობა ამ მიმართულებით მალე დამთავრდება. იმ მოქალაქეთა სიები, რომლებსაც მიენიჭებათ შეღავათები, გამოკრული იქნება თვალსაჩინო ადგილას, რათა ყველას ჰქონდეს საშუალება შეიტანოს მათში შესწორება, თუ კი შეღავათები არ იქნება სწორად მიცემული.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გასაწვევ ახალგაზრდობის სოციალურად შერჩევას, რათა წითელი ჯარის რიგებში არ მოხვდეს ანტი-საბჭოთა და კლასიურად უცხო ელემენტები. ამ მიზნით სოფლის საბჭოებთან, რაიონულ და საოლქო აღმასკომებთან შექმნილ სპეციალური კომისიები, რომლებსაც ევალებათ გასაწვევ ახალგაზრდობის შერჩევა. საოლქო აღმასკომებმა, ამასთან დაკავშირებით, 1-ლ ივლისამდე უნდა გადაუგზავნონ სამხედრო კომისარიატებს იმ მოქალაქეთა [illegible]იები, რომლებსაც ჩამორთმეული აქვთ საარ[illegible]ნო ხმის უფლება.

[illegible] მუშაობაში ფართოდ უნდა იქნენ მიზიდული ადგილობრივი პარტიული, კომკავშირის, [illegible]სიონალური და საბჭოთა ორგანიზაციები. [illegible] დახმარებით ჩვენ უნდა მივსცეთ წითელ ჯარს ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც [illegible]ლად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ [illegible] მოვალეობას—წითელი საზღვრების დაცვას მტრების თავდასხმისაგან.

მიმდინარე წლის 15 მაისიდან დაიწყეს მუშაობა კომისიებმა, რომლებსაც დავალებული აქვთ ჯარში გაწვევის ვადის გაგრძელება მოწაფეებისათვის. ამ კომისიების მუშაობას აფერხებს ის გარემოება, რომ მათ არა აქვთ ჯარში გასაწვევ მოწაფეთა სიები, რაც მიეწერება სკოლების ადმინისტრაციის დაუდევრობას. საჭიროა, რომ ამ საკითხს მიექცეს სათანადო ყურადღება, რათა მოწაფეებს მიეცეთ საშუალება ისარგებლონ კანონით გათვალისწინებული შეღავათით.

ნ. ჩიტაიშვილი.

მზადება გაწვევისათვის

(თბილისის ოლქი)

წინასწარი სამზადისი ჯარში გაწვევისათვის თბილისის ოლქში უკვე დამთავრებულია. გასაწვევთა ოჯახურ-ქონებრივი მდგომარეობის გამორკვევა ოლქში და თბილისში ჩატარდა დამაკმაყოფილებლად. ამ მუშაობაში მიიღეს უახლოესი მონაწილეობა მილიციის ორგანოებმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა. შეღავათების მინიჭების საქმეში, დიდი უმოქმედობა გამოიჩინა სასწავლებლების ადმინისტრაციამ. უმაღლეს სასწავლებლებში და ტეხნიკუმებში სწავლობს მრავალი მოწაფე, რომლებსაც ეხებათ ჯარში გაწვევა. სამხედრო კომისარიატმა მრავალჯერ მიმართა სასწავლებლების ადმინისტრაციას, რათა ამ უკანასკნელს დროზე მიეწოდებინათ ჯარში გასაწვევ მოწაფეთა სიები, რომ სამხედრო კომისარიატს გაეგრძელებია მათთვის ჯარში გაწვევის ვადა. მაგრამ, ბევრ სკოლას დღემდე არ შეუდგენია სიები, რის გამო სამხედრო კომისარიატი მოკლებულია საშუალებას გაუგრძელოს მოწაფეებს ჯარში გაწვევის ვადა. სკოლების ადმინისტრაციის დაუდევრობით მრავალი მოწაფე გაწვეული იქნება ჯარში, რითაც შეფერხდება მათი სწავლების საქმე.

ამჟამად თბილისის ოლქში სწარმოებს ჯარში გასაწვევ ახალგაზრდობის გაცხრილვა. შექმნილია რაიონული კომისიები, რომლებიც ამოწმებენ გასაწვევ ახალგაზრდობის კლასობრივ შემადგენლობას, რომ წითელ ჯარში არ მოხვდნენ უცხო ელემენტები. რაიონულ კომისიებს ამ ფრიად საპასუხისმგებლო მუშაობაში დიდი დახმარება უნდა გაუწიონ ყველა პარტიულმა, საბჭოთა, პროფესიონალურ ორგანიზაციებმა. საჭიროა აგრეთვე, რომ ამ მუშაობაში ჩაბმული იქნენ თვით გასაწვევი ახალგაზრდებიც. ადგილებზე უნდა ჩამოყალიბდეს გაწვევის ხელისშემწყობი კომისიები, რომელთა დახმარებითაც რაიონული კომისიები შესძლებენ წარმატებით ჩაატარონ თავისი მუშაობა.

ზი.

მუშაობას შეუდექით

(წერილი გურიიდან)

ოზურგეთის მაზრის ჩოხატაურის რაიონში დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა წითელ ჯარში მორიგ გაწვევისათვის. გასაწვევ ახალგაზრდობის რიცხვის, მათი ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის და შეღავათების გამორკვევის გარდა, რაიონში ტარდება საგიტაციო და ახსნა-განმარტებითი მუშაობა. ამას წინად ჩოხატაურის სასოფლო საბჭომ მოიწვია იმ ახალგაზრდების საერთო კრება, რომლებიც დაბადებულნი არიან 1908 წელში და ეხებათ ჯარში გაწვევა. გასაწვევ ახალგაზრდობას ფართოდ განემარტა წითელი არმიის მნიშვნელობა, ჯარში სამსახურის პირობები, შეღავათები და საერთოდ ჯარში გაწვევასთან დაკავშირებული ყველა საკითხები. გასაწვევ ახალგაზრდობამ დიდი ინტერესი გამოიჩინა კრებისადმი და მომხსენებელს მისცა მრავალი შეკითხვა.

კრებამ გამოყო რამდენიმე რწმუნებული, რომლებსაც დაევალათ მუშაობა რაიონში გაწვევის ირგვლივ. სამხედრო მაგიდის გამგემ განუმარტა რწმუნებულებს, თუ რა სახის მუშაობა უნდა აწარმოონ ჯარში გასაწვევთა შორის და უმთავრესად რას უნდა მიაქციონ ყურადღება. საჭიროა, რომ სამხედრო მაგიდამ დაიჭიროს მჭიდრო კავშირი რწმუნებულებთან და, დრო გამოშვებით, გამართოს რწმუნებულების თათბირი იმის გამოსარკვევად, თუ როგორ მუშაობენ რწმუნებულები სოფლად.

ი. ხ—ლი.

ქრონიკა

სოციალისტური შეჯიბრება

1908 წელში დაბადებულ ახალგაზრდების წითელ ჯარში მორიგ გაწვევასთან დაკავშირებით, თბილისის ოლქის სამხ. კომისარიატმა, გამოიწვია სოციალისტურ შეჯიბრებაში ქუთაისის ოლქის სამხ. კომისარიატი. სოციალისტური შეჯიბრების პირობები ითვალისწინებენ შეღავათების 100 პროც. გამორკვევას, უცხო და ანტი-საბჭოთა ელემენტების სავსებით გამოაშკარავებას, ახალგაზრდობის გასაწვევ პუნქტებზე 100 პროცენტით გამოცხადებას და გასაწვევთა შორის პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის საუკეთესოდ ჩატარებას.

მუშები — სამხედრო სკოლებში

პროფკავშირების ცენტრალური გამგეობების უყურადღებო მოპყრობის გამო, მთლიანად ვერ იქნა გამოყენებული ის ადგილები, რომლებიც სამხედრო სკოლებში საქართველოს პროფესიონალურ ორგანიზაციებს ჰქონდათ დათმობილი. 80 დათმობილი ადგილიდან მხოლოდ 32 იქნა დაკავებული. პროფსაბჭომ კატეგორიული წინადადება მისცა სახალხო კვების, მელითონეთა, ქიმიკოსთა, მბეჭდავთა, გემო-კვების, ხელოვნების მუშაკთა, ხის დამმუშავებელთა, მეტყევეთა, მედსანშრომის, კომუნალური მეურნეობის, მკერავების, ფეიქრების, კავშირგაბმულობის და ტრანსპორტელების კავშირთა ცენტრალურ გამგეობებს — მიიღონ ზომები პროფკავშირის წევრთა შესაკრებად სამხედრო სკოლებისათვის. მუშებისა და მოსამსახურეების საერთო კრებებზე უნდა ჩატარდეს ახსნა - განმარტებითი მუშაობა სამხედრო სკოლებში მიღებულის მნიშვნელობისა და პირობების შესახებ.

გავაძლიეროთ მუშაობა ჯარში გასაწვევთა შორის

მთელ რიგ ქალაქებში სამზადისი ჯარში გაწვევისათვის არ დაწყებულა.—სამოქალაქო ორგანიზაციები ჯერ არ შესდგომიან მუშაობას.—კლუბებმა არ იციან, თუ რა უნდა აკეთონ ჯარში გაწვევის ირგვლივ.—თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები იჩენენ დაუშვებელ გულგრილობას ჯარში მორიგ გაწვევისადმი.

მიმდინარე წლის შემოდგომაზე წითელი ჯარის რიგებში გაწვეული იქნებიან 1908 წელში დაბადებული ახალგაზრდები. გაწვევამდის დარჩა 3-4 თვე. მიუხედავათ ამისა, სამზადისი ჯარში გაწვევისათვის ჯერ-ჯერობით არსად არ დაწყებულა, გარდა ორიოდე მაზრისა.

„შემოდგომამდის ჯერ კიდევ დიდი დროა" —ამითი იმართლებენ თავს ადგილებზე მომუშავე ამხანაგები. თვით თბილისში, სადაც მოიპოება სათანადო ძალები და საშუალებები, იმისათვის, რომ ეს უდიდესი მნიშვნელობის კამპანია წარმატებით ჩავატაროთ ჯერ-ჯერობით ძალიან ცოტაა გაკეთებული.

სამხედრო უწყება დროულად შეუდგა სამზადისს გაწვევისათვის და წინასწარი მუშაობაც ჩაატარა დამაკმაყოფილებლად. სამოქალაქო ორგანიზაციებს კი ჯერ ისევ სძინავთ.

წარმოება-დაწესებულებებში არ მიმდინარეობს არავითარი მუშაობა გასაწვევ ახალგაზრდობას შორის. სამოქალაქო კლუბები, რომლებიც მოწოდებულნი არიან აწარმოონ ფართე მუშაობა გაწვევის ირგვლივ, სდუმან. თბილისის არც ერთ კლუბში არ ჩატარებულა მოხსენება, ბაასი და საცენო მუშაობა გაწვევის ირგვლივ. არც ერთ კლუბში არ არის მოწყობილი სპეციალური კუთხე, სადაც გასაწვევი ახალგაზრდობა მიიღებს ცნობებს გაწვევის შესახებ. ასეთი კუთხეების მოწყობა კი აუცილებელია, რადგან გასაწვევ ახალგაზრდობას აქვს გამოსარკვევი მრავალი საკითხი, დაკავშირებული შეღავათებთან, ოჯახის უზრუნველყოფასთან, ყაზარმაში ცხოვრების და სწავლების პირობებთან და სხვა. კლუბებს ამ მხრივ არ ჩამორჩება ბიბლიოთეკებიც. არც ერთ სამოქალაქო ბიბლიოთეკას არ მოსვლია აზრათ მოეწყო სამხედრო ლიტერატურის გამოფენა და მიეწოდებინა გასაწვევ ახალგაზრდებისათვის ის ლიტერატურა, რომელიც ეხება ჯარში გაწვევას.

არ შესდგომიან მუშაობას გაწვევის ირგვლივ თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებიც, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორგანიზაციებს უნდა ჩაებათ ამ მუშაობაში სხვა ორგანიზაციები.

საქმის ასეთ მდგომარეობაში დატოვება დაუშვებელია. მომავალ გაწვევის დროს ჩვენ უნდა მივცეთ წითელ ჯარს საუკეთესო მშრომელი ახალგაზრდობა, რომლებიც პირნათლად შეასრულებენ თავის მოვალეობას სოციალისტური მნიშვნელობის თავდაცვის საქმეში. ეს კი მოითხოვს უდიდეს ყურადღებას ჯარში გაწვევისადმი. წინასწარი მუშაობით ჩვენ უნდა შევძლოთ ჯარში გაწვევის წარმატებით ჩატარება, წითელი ჯარის ნაწილების შევსება კლასობრივად მისაღები ახალგაზრდებით.

მხედარი.

ჩვენი წითელი არმია

№ საკავშირო ასეულ. მეთაური აცნობს არმიელებს საბრძოლო მომზადების გეგმას.

ნავთი საქართველოში

ნავთის ბუდობები ნავთლუღში

გეოლოგიური გამოკვლევების დაწყება.—პროფ. გოლუბიატნიკოვის დასკვნები. — აგვისტოდან შეუდგებიან ნავთის ჭაბურღილის ამოღებას.—სამუშაოებს უხელმძღვანელებს „საქართველოს ნავთი"-ს ტრესტი

ნავთლუღი, როგორც ნავთიანი ფენების რაიონი, დიდი ხანია ცნობილია. არსებული ისტორიული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ თვით სახელწოდება ნავთლუღი წარმოსდგება სიტყვა ნავთი-საგან. ნავთს ნავთლუღში საკმაო რაოდენობით იღებდნენ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, ე. ი. ამ 50 წლის წინად. მდ. მტკვარის მარცხენა ნაპირას, სად. ნავთლუღიდან 4 კილომეტრის მანძილზე, კერძო მწარმოებლებმა დაიწყეს საექსპლოატაციო პრიმიტიული ჭაბურღილების ამოღება, საიდანაც ყოველწლიურად ღებულობდნენ 50 ტონ. (3000 ფ. ნავთს). მდ. მტკვრის ადიდების დროს ეს ჭაბურღილები წყალმა წალეკა და მუშაობაც შეწყდა, თუმცა დანგრეული ჭაბურღილები დღემდე კიდევ დაცულია.

ამ რამოდენიმე ხნის წინად თბილისში ჩამოსულმა ნავთის საკავშირო კომიტეტის კონსულტანტმა პროფ. გოლუბიატნიკოვმა, „საქ. ნავთის" ტრესტის წინადადებით დაათვალიერა ნავთლუღის რაიონი და მოახდინა გამოკვლევები იმ მიზნით, რომ გამოერკვია — მოიპოება თუ არა ნავთის შემცველი ფენები ნავთლუღის რაიონში და მიზანშეწონილი იქნება, თუ არა იქ ნავთის ჭაბურღილების ამოღება.

პროფ. გოლუბიატნიკოვი „საქართველოს ნავთი"-ს ტრესტისათვის წარდგენილ დასკვნაში აღნიშნავს, რომ ნავთლუღის რაიონში უსათუოდ მოიპოვება ნავთის შემცველი ფენები, რომელთაც საექსპლოატაციო მნიშვნელობა აქვთ. ნავთლუღში ნიადაგის წყობა და ხასიათი სწორედ ისეთივეა, როგორც აპშერონის ნახევარკუნძულზე (ბაქოში), ისე რომ ნიადაგის ქვედა ფენებიდან ნიმუშების ამოღება და მათი ანალიზი ზედმეტია.

ამავე დროს პროფ. გოლუბიატნიკოვმა საჭიროდ სცნო — დაუყოვნებლივ მოხდეს რაიონის დაწვრილებითი გეოლოგიური შესწავლა, რითაც უნდა გამოირკვეს ნავთის შემცველ ფენთა მიმართულება და ნავთის საცდელი ჭაბურღილის ამოსაღები ადგილი. გეოლოგიური გამოკვლევების ჩატარება მიენდო ა.-კ. გეოლოგიურ სამუშაოთა სამმართველოს, რომელიც უკვე შეუდგა სათანადო მუშაობას.

„საქართველოს ნავთის" ტრესტსა და ა.-კ. გეოლოგიურ სამუშაოთა სამმართველოს შორის დადებული ხელშეკრულებით, გეოლოგიური გამოკვლევები უნდა დამთავრდეს ივლისის ბოლო რიცხვებისათვის, ხოლო აგვისტოდან ტრესტი შეუდგება ჭაბურღილის ამოსაღების პუნქტის გამონახვას. აგვისტოშივე დადგმული იქნება საბურღავი კოშკი, რომელიც მუშაობას დაიწყებს სექტემბრიდან.

გურიის ნავთი

საცდელი ჭაბურღილი ამოქმედდა

საქართველოს ნავთის ტრესტმა გურიის ნავთის სამუშაოთა ხელმძღვანელის — ჯინორიძისაგან მიიღო შემდეგი ცნობა:

„ომფარეთში დადგმული 1-ლ საცდელ ჭაბურღილში, რომლის სიღრმე 653 მეტრს უდრის, ამოვიდა წყალნარევი სითხე, რომელმაც სრულებით აავსო ჭაბურღილი. სითხე გადმოდის ჭაბურღილიდან. ჩვენის აზრით, ეს გარემოება გამოწვეულია ნავთის ფენებიდან მაგარი გაზების ამოსვლით, რაც ნავთის ამოსვლის ნიშანს წარმოადგენს".

აღნიშნულ ცნობის მიღებისთანავე ომფარეთში გაემგზავრენ საქართველოს ნავთის ტრესტის მმართველის მოადგილე ამხ. ი. კოლაშნიკოვი და ინჟ. ჭრელაშვილი, რომლებიც ადგილობრივ გაეცნობიან ჭაბურღილის მდგომარეობას და გამოიმუშავებენ მუშაობის გეგმას უახლოესი კვირეებისათვის.

ცნობის მიღებასთან დაკავშირებით ტრესტში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს, რომ შესაძლებელია ახლო ხანში 1-ლი ჭაბურღილიდან ნავთმა დაიწყოს დენა და ამიტომ საჭიროა სათანადო წინასწარი სამზადისი.

თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა მე-19 კრება

გუშინ საღამოს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კლუბში გაიხსნა თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა მე-19 კრება.

კრებამ მოისმინა ამხ. ერისთავის მოხსენება მუშკოოპის გამგეობის მიერ 1928—29 წელში და მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ კვარტალში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

ამასთანავე მოსმენილ იქნა მუშკოოპის სარევიზიო კომისიის ანგარიში. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის თანაშემწე ამხ. დევდარიანი.

პირველსავე სხდომაზე გაიხსნა კამათი გამგეობის მოხსენების გარშემო. კამათში ჩაწერილია 50-დე კაცი. პრეზიდიუმში შესულია დიდძალი წერილობითი შეკითხვები, რომლებზედაც ამხ. ერისთავი პასუხს გასცემს თავის საბოლოო სიტყვაში.

კრების დღის წესრიგში გარდა მოსმენილ მოხსენებებისა დარჩენილია განსახილველად კიდევ ორი მთავარი საკითხი: ახალი დიფერენციალური პაის საკითხი და მუშკოოპის გამგეობის არჩევნები.

სცენარისტთა კურსები

ა.-წ. 10 ივნისს, ქ. თბილისში ამიერ-კავკასიის კინო-ტრესტი ხსნის სასცენარო კურსებს კვალიფიციურ სცენარისტების მოსამზადებლად ამიერ-კავკ. კინო-ორგანიზაციებისათვის (საქ. სახკინმრეწვი, აზერბეიჯანისა და სომხეთის კინო-ორგანიზაციები).

კურსები სამთვიურია. მეცადინეობა იწარმოებს რუსულ ენაზე, როგორც თეორეტიულად, ისე პრაქტიკულად (მაგ. მონტაჟზე და სხვ.) სულ იქნება ორი ჯგუფი: პირველი—სცენარისტების გადასამზადებლად და უფრო მომზადებულ პირებისათვის, რომელთაც უმუშავნიათ სასცენარო დარგში, მაგრამ ჯერ კიდევ არა აქვთ სათანადო თეორეტიული და პრაქტიკული ცოდნა. ამ ჯგუფში იქნება 20 კაცი, მათგან 10 საქ. სახკინმრეწვისათვის, 5 სომხეთის კინოსათვის და 5 აზერბეიჯანის კინოსათვის.

მეორე ჯგუფი შესდგება 30 კაცისაგან. ეს ჯგუფი ეწყობა სპეციალურად კინოს დარგში მოუმზადებელ ამხანაგებისათვის, რომელთაც სურთ სასცენარო დარგში მუშაობა და რომელთაც აქვთ სათანადო ლიტერატურული კვალიფიკაცია, როგორიც, მაგალითად, პროლეტმწერლებისათვის, აბკორებისათვის, მუშკორებისათვის, კომკავშირლებისათვის და სხვ. 15 ადგილი ეთმობა საქართველოს, 8 სომხეთს და 7 აზერბეიჯანს.

კურსები უფასოა. ხელმძღვანელად მოწვეულია სასცენარო საქმის სპეციალისტი მოსკოვიდან ამხ. იპოლიტე სოკოლოვი.

ამხ. ს. კამენევი ავჭალის ბანაკში

2 ივნისს, ნაშუადღევის 2 საათზე ავჭალის ბანაკს, სადაც ამჟამად მიმდინარეობს ახალწვეულ წითელარმიელთა სამთვიანი სამოსწავლო შეკრება, ესტუმრა საკავშირო სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს თავმჯდომარის და სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახ. კომისარის მოადგილე ამხ. ს. კამენევი.

ბანაკი აღფრთოვანებით შეხვდა წითელ ჯარის ერთ-ერთ ხელმძღვანელს. პირველად ამხ. კამენევმა დივიზიის სარდლობის თანხლებით ინახულა არტილერისტები. შემდეგ გაემართა № შტ. ლეგიონის სასროლო მოედნისაკენ.

ამხ. კამენევის მეთვალყურეობით ჩატარებული იქნა სროლა. სროლაში მიიღეს მონაწილეობა ახალწვეულ წითელარმიელებმა და მეთაურებმა. საუკეთესო სროლისათვის ამხ. კამენევმა დააჯილდოვა საათით № ლეგ. ასეულის მეთაური ამხ. დანელია.

ამავე დღეს ამხ. კამენევმა ინახულა არტილერისტების ბანაკი, სადაც ჩატარდა სროლა ზარბაზნებიდან.

ამხ. კამენევმა დიდის კმაყოფილებით აღნიშნა წითელი არტილერისტების საუკეთესო მომზადება სროლაში. „ამ მომზადებით—სთქვა ამხ. კამენევმა—შეიძლება თამამად გასვლა ყოველგვარ ბრძოლაში.

აღნიშნა რა ზოგიერთი ნაკლი საარტილერიო მომზადებაში, ამხ. კამენევმა უთხრა არტილერისტებს:

„სოციალისტური შეჯიბრებით და დამკვრელობით, რომლებიც ფართოდ არის გაშლილი თქვენს საარტილერიო ნაწილებში, შესაძლებელია საბრძოლო უნარიანობის მაღლა აწევა. სოც. შეჯიბრება და დამკვრელობა კიდევ უფრო განამტკიცებს წითელი არმიის რიგებს".

ამხ. კამენევმა ინახულა აგრეთვე სანაპირო დაცვის ნაწილები, სადაც ჩაატარა საუბარი წითელ მეზღვაურებთან საერთაშორისო საკითხებზე, „სოციალისტურ შეჯიბრებასა და დამკვრელობაზე".

რა ხდება ადგილებზე

ზღვის ღორის ქონის ქარხანა

ფოთი, 2 ივნისი. ფოთის ზღვის ღორის ქარხანამ მუშაობა დაიწყო მიმდინარე წლის მარტიდან და 1929-30 სამეურნეო წლის გეგმით უნდა გადაამუშაოს 50 ტონა ქონი და დაამზადოს 3000 ზღვის ღორის ტყავი, პირველ ივნისისათვის შესრულებულია ღორის ქონის დამზადების გეგმის 25 პროცენტი და ტყავის დამზადების 37 პროცენტი (ადს).

გაზაფხულის თევზის ჭერა

ფოთი, 2 ივნისი. ფოთის თევზის სარეწაოებზე საგაზაფხულო თევზის ჭერა გაცხოველებით მიმდინარეობს. უმთავრესად იჭერენ წითელ თევზს. „მოსტორგ"-თან დადებულ იქნა ხელშეკრულება 28 ტონა წვრილი დამარილებული თევზის ჩაბარების შესახებ. პირველი პარტია — ერთი ვაგონი — უკვე გაიგზავნა. მაისის განმავლობაში დამზადდება 70 კილოგრამი ხიზილალა, რომელიც გაიგზავნება ამიერ - კავკასიის ქალაქებში. თევზის ჭერის სეზონი დამთავრდება 1 ივლისს (ადს).

პროლეტარული სტუდენტობის დასახმარებლად

ქუთაისი, 2 ივნისი. პროლეტარული სტუდენტობის დასახმარებლად ჩატარებული ერთდღიურის დროს შეგროვდა 1.000 მან. (ადს).

კრედიტები მეწველ საქონელზე

ბორჯომი, 2 ივნისი. საქ. სას.-სამ. ბანკმა ბორჯომის რაიონის კოლმეურნეობებს და ინდივიდუალურ მეურნეობებს მეწველი საქონლის შესაძენად მისცა 8.200 მან. გრძელვადიანი სესხი (ადს).

ბრძოლა კალიასთან

თელავი, 2 ივნისი. კალიასთან ბრძოლის მიზნით საოლქო აღმასკომთან მოეწყო სპეციალური კომისია (ადს).

საავადმყო. გაფართოებას საჭიროებს

თელავი, 2 ივნისი. თელავის საავადმყოფოში, რომელიც მთელ ყოფილ თელავის მაზრას ემსახურება, მხოლოდ 30 საწოლია. ავადმყოფები მთელი თვეობით ელოდებიან რიგს. ხშირია შემთხვევები, როცა ადგილების უქონლობის გამო, მიღებაზე უარს ეუბნებიან ადგილებიდან ჩამოსულ მუშებს და გლეხებს (ადს).

ხე-ტყის სახერხი ქარხანა

მესტია, 2 ივნისი. დასრულდა არტელ „ზემო-სვანის" ხე-ტყის სახერხი ქარხნის აგება. ქარხნის გახსნა მოხდება ამ დღეებში. ქარხნის აგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი კუთხისათვის. რადგან იქ დღემდე არ მოიპოვებოდა ამგვარი საწარმო (ადს).

ტელეფონი სვანეთში

მესტია, 2 ივნისი. საბოლოოდ გადაწყდა სვანეთში მეორე სატელეფონო ხაზის გაყვანის საკითხი. ხაზის გაყვანა დაიწყება ივნისის შუა რიცხვებში, უნდა დამთავრდეს შემოდგომაზე. ხაზის გაყვანის შემდეგ სვანეთს კავშირი ექნება ყველა დიდ ქალაქებთან (ადს).

მდინარის ნაპირების გამაგრება

მესტია, 2 ივნისი. მდინარე უქანის ნაპირების გასამაგრებლად მოეწყო შაბათობა, რომელიც 2 დღეს გაგრძელდა. შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება უდრის 3000 მანეთს. (ადს).

თოვლი

მესტია, 2 ივნისი. მაისის მეორე ნახევარში მთელ ზემო-სვანეთში ძლიერ აცივდა. სოფ. ადიშში და კალაში თოვლი მოვიდა. ამის გამო სოფლებში თესვა შეწყდა.

შარშანდელთან შედარებით ნათესების ფართობი 2 პროცენტით არის გადიდებული. ნათესების მდგომარეობა საშუალოზე უკეთესია (ადს).

თესვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა

ცხინვალი, 2 ივნისი. სამხრეთ-ოსეთის ვაკე ნაწილში თესვის კამპანია დამთავრდა, მთიან ნაწილში — მთავრდება. 1930 წლის 25 მაისისათვის კოლმეურნეობებში მოიხნა და დაითესა 6.287 ჰექტარი, საბჭოთა მეურნეობებში — 88 ჰექტარი, ინდივიდუალურ მეურნეობებში — 10.253 ჰექტარი, სულ — 16.628 ჰექტარი. გეგმა შესრულებულია 102,9 პროცენტით. კარტოფილი კოლმეურნეობებში დაითესა 200 ჰექტარზე, საბჭოთა მეურნეობებში—20 ჰექტარზე და ინდივიდუალურ მეურნეობებში—260 ჰექტარზე. გეგმა შესრულებულია 26 პროცენტით. ბოსტნეულის კულტურის თესვა შესრულებულია 102,8 პროცენტით (ადს).

ბრძოლა მალარიასთან

სოხუმი, 2 ივნისი. ჯანსახკომმა ფართო მუშაობა გაშალა მალარიის წინააღმდეგ. მრავალ რაიონში, სადაც მალარია მძვინვარებს, გაიხსნა დისპანსერები და სტაციონარები. გაგრის მაზრაში ჩატარებულ იქნა პროფილაქტიური მუშაობა. მალარიის წინააღმდეგ საბრძოლველად სახელმწიფო ბიუჯეტით გადადებულია 50 ათასი მანეთი. გარდა ამისა, სამეურნეო ორგანიზაციების ხაზით განზრახულია—100 ათასი მანეთის გაღება (ადს).

„დროშა" № 10 (34)
გამოვიდა და იყიდება ყველგან
ფასი 15 კაპ.

ქრონიკა

ფერო-მარგანეცის საცდელი ქარხნის ამუშავება

გუშინ დაიწყო დიდუბეში აგებული ფერომარგანეცის გადასამუშავებელი ქარხნის მიღება. ქარხნის მოწყობა სავსებით დამთავრებულია და ყველა მოწყობილობათა ჩაბარების შემდეგ ქარხანა დაიწყებს მუშაობას.

ფერო - მარგანეცის მასალებათ საჭირო მადნეულის გადმოზიდვა ჭიათურიდან თბილისში უკვე დაწყებულია.

გერმანელი სპეციალისტების ჩამოსვლა

გერმანიიდან თბილისში ჩამოვიდნენ კრუპის ფირმის წარმომადგენლები, ინჟენერი **კარლ მოფმაისტერი** და ინჟ. **იოჰან იოსტი.**

აღნიშნული სპეციალისტები მოწვეულნი არიან საქ. ს.მ.უ. საბჭოსა და მარგანეცის ტრესტის მიერ ჭიათურაში მარგანეცის სარეცხი ქარხნების საამშენებლო პროექტების დასამთავრებლად.

ინდუსტრიალიზაციის 1-ლი სესხის მე-12 ტირაჟი

12 ივნისს მოსკოვში დაიწყება ინდუსტრიალიზაციის 1-ლი სესხის მე-12 ტირაჟის გათამაშება. ამ ტირაჟის მოგებათა გაცემა დაიწყება 20 აგვისტოდან.

საბინაო ამხ-ბების მუშაობის შემოწმება

მობინადრეთა შორის კულტმუშაობის გაცხოველებისა და სახლების მოვლის გაუმჯობესებლად პროფსაბჭოს სოციალურ და ყოფაცხოვრების სექტორმა გადასწყვიტა, შეამოწმოს საბინაო ამხანაგობების მუშაობა.

შემოწმებას ჩაატარებენ მუშათა ბრიგადები, რომლებიც ყოველმხრივ შეისწავლიან ამხ-ბების საქმიანობას.

ამ შემოწმების წარმატებით ჩატარება დამოკიდებულია მობინადრეთა აქტივობაზე. ყოველმა მობინადრემ ბრიგადებს უნდა მიაწოდოს ცნობები ამხანაგობების მუშაობის დეფექტების შესახებ და შესაფერი დახმარება გაუწიოს ბრიგადებს შემოწმების ჩატარებაში.

საცდელი საქმის რეკონსტრუქცია

5 ივნისს, დილის 11 საათზე საქართველოს ექსპერიმენტალური აგრონომიის ინსტიტუტში (ვაკე) შესდგება სასოფლო მეურნეობის სპეციალისტებისა და მეცნიერული მუშაკების კრება, რომელზედაც აგრონომი **ა. კაკაბაძე** გააკეთებს მოხსენებას საცდელი საქმის რეკონსტრუქციის შესახებ.

ხორცის დამზადების გასაუმჯობესებლად

ხორცის დამზადების საქმის გაუმჯობესების მიზნით ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატმა წინადადება მისცა სააქციო საზ. „სოიუზმიასო“-ს, მოაწყოს ამ საქმეზე მომუშავეთა მოსამზადებელი კურსები. ბაქოში კურსები უნდა მოეწყოს 60 კაცისათვის. თბილისში—50 და ერევანში 30 კაცისათვის.

განათლების კომისარიატში

● **სტიპენდიები.** იმ სტუდენტ სტიპენდიანტებს, რომელნიც წელს ამთავრებენ უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებს, სწავლის დამთავრების შემდეგ მიეცემათ კიდევ ერთი თვის სტიპენდია.

პედაგოგიურ ფაკულტეტის და პედტეხნიკუმების კურს დამთავრებულებს სტიპენდია გაუგრძელდებათ მომავალ სასწავლო წლამდე.

● **მაღალი ტიპის სკოლების რეორგანიზაცია.** განათლების კომისარიატმა საჭიროდ სცნო მომავალ წლიდან მოახდინოს მაღალი ტიპის სკოლების რეორგანიზაცია მათი სპეციალიზაციის მიზნით.

● **მუშფაკი სამტრედიაში.** განზრახულია მომავალ სასწავლო წლიდან სამტრედიაში გაიხსნას მუშფაკი.

● **თბ. ინდუსტრიალურ ტეხნიკუმისათვის** ცალკე სპეციალურ შენობის ასაგებათ გან. კომისარიატმა გამოყო კომისია.

საექსტერნო გამოცდები

საექსტერნო გამოცდები ნაცვლად 10 ივნისისა, დაიწყება 6 ივნისს. გამოცდები იწარმოებს პედაგოგიურ სადგურში (კამოს ქ. № 59).

მშრომელი ქურთების კონფერენცია

7 ივნისს, თბილისში გაიხსნება მშრომელი ქურთების კონფერენცია. კონფერენციის გახსნა დაკავშირებულია ახალი ქურთული ანბანის შემოღების წლისთავთან და წერა-კითხვის უცოდინარობის ქურთ - ლიკვიდატორთა პირველ გამოშვებასთან. კონფერენციაზე ადგილობრივი ქურთების გარდა, მოწვეულნი არიან ახალქალაქისა და ახალციხის რაიონის მშრომელ ქურთთა წარმომადგენელნი.

ახალი საავადმყოფო ზუგდიდში

საქ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით ზუგდიდში აგებული იქნება ახალი საავადმყოფო 100 საწოლით. საავადმყოფოს აგება დაჯდება 330.000 მანეთი. ამ თანხის გაღება დაეკისრა შემდეგ ორგანიზაციებს: „საქართველოს ჩაი“-მ უნდა გაიღოს 80.000 მანეთი, „საქ. აბრეშუმმა“—30.000 მანეთი, ენგურის ქაღალდის ქარხანამ—170.000, ამიერ-კავკასიის ქაღალდის ტრესტმა—50.000 მანეთი და ზუგდიდის აღმასკომმა—3.000 მ.

სხვადასხვა

● **გამოვიდა** საქართველოს ახალი დარაიონების კრებული (250 გვ.), რომელსაც თან დართული აქვს საქართველოს უკანასკნელ დარაიონების მიხედვით ახლად შედგენილი რუკა, ოლქების, მაზრების, რაიონების, სას. საბჭოების, ცენტრების და საზღვრების ჩვენებით. წიგნში დაწვრილებით მოთავსებულია ყოველივე დასახლებული პუნქტის ეთნოგრაფიული ცნობები.

წიგნი ღირს რუკით ხელისმომწერთათვის—3 მან. 50 კაპ. არახელისმომწერთათვის რუკით—4 მან., რუკა (ცალკე) ორი მან.

როგორც წიგნის, ისე რუკის შეძენა შეიძლება ს. ს. ცაკის კარტოგრაფიულ ნაწილში (ტფილისი—სასახლე).

● **საბიბლიოთეკო კოლექტივი.** მუშა-მკითხველებისათვის წიგნის უკეთესად მიწოდების მიზნით ქუთაისში დაარსდა საბიბლიოთეკო კოლექტივი, რომელშიაც გაერთიანებულია პოლიტგანათლების განყოფილების, საოლქო პროფსაბჭოს და კოოპერატიულ ორგანიზაციების ყველა ბიბლიოთეკები.

● **პროფსაბჭოს დიდ დარბაზში.** დღეს საღ. 5 ს. მოწვეულია საზოგადოებრივ კვების შემოწმების ჩამტარებელთა საქალაქო კონფერენცია.

● **დღეს,** 4 ივნისს, საღამოს 4 საათზე, შესდგება სას. სამ. ინსტიტ. ყველა ფაკულტეტების პირველი კურსის სტუდენტების საერთო კრება.

ჟურ. „დროშა“ № 10 (34)

გამოვიდა ჟურ. „დროშა“ № 10 (34). შინაარსი: **ე. წულაძე**—კომუნიზმის აჩრდილი ინდოეთზე;—**ლი**—წითელი არმია ბანაკად; **ეს—ხაბიბ—ვაფა** — ქუჩის მომღერალი; **ვ. კარალელი** — საქართველოს ბამბა; **ვ. ნანუაშვილი** — მორიგი გამარჯვება; ჰაეროპლანი იპყრობს სამხრეთ-ამერიკის გამოუკვლეველ ტყეებს; **პ. ჩხიკვაძე** — ფაბრიკაში; **ზი**—ნატახტარი; —**დო**—სალამი ბაქოს თურქულ მუშათა თეატრს; **გ. ნატროშვილი**—ლიტერატურული შენიშვნები; **თ—ი** — როდის აღარ იქნება ინგლისი კუნძულად; **გ. გ.**— კულტურული კავშირი; **დამირ** — ზოოპარკი—თბილისის სიმდიდრეა; ჩვენი ფოტო-ქრონიკა. ჟურნალში მოთავსებულია 60-მდე სურათი და ღირს 15 კაპ.

აპარატის წმენდის შედეგები

(თბილისის ქალაქის აბანოები)

ქალაქის აბანოების აპარატის გამწმენდმა კომისიამ დაამთავრა მუშაობა და წმენდის შედეგები გამოაცხადა თანამშრომლების საერთო კრებაზე.

კომისიის დადგენილებით მეორე კატეგორიით სამსახურიდან მოხსნილი არიან **ვასილ სკალსკი,** როგორც გადაგვარებული ელემენტი, თანამშრომელ ქალებს აიძულებდა დაეჭირათ მასთან სქესობრივი კავშირი; **ელისაბედ სოხიანი,** რომელიც უხეშად ეპყრობოდა მისვლელებს და მუშებს, შემჩნეული იყო გამოყენებულ ბილეთების ხელმეორეთ გაყიდვაში; **ოლღა შახგელიანი,** რომელიც გამოყენებულ ბილეთებს ხელმეორედ ჰყიდდა; უფასოდ გაუშვა საბანაოდ ნაცნობი ექიმი; თავის საჭიროებისათვის გამოიყენა სალაროს ფულები და სხვა; **ანნა ათოევა,** რომელიც ხელმეორედ ჰყიდდა გამოყენებულ ბილეთებს და სჩადიოდა სხვა ბოროტმოქმედებებს; **მარიამ ფხალაძე.** რომელსაც კავშირი ქონდა ბილეთების გამყიდავ ზორიძესთან და ხელმეორედ ჰყიდდა გამოყენებულ ბილეთებს.

უკატეგორიოთ მოხსნილი არიან როგორც სუსტი მუშაკები **დარიბ დარიბოვი და მიხეილ გოგუა.**

გარდა ამისა ზოგიერთ თანამშრომლებს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით და სხვა.

გამწმენდი კომისიის შემადგენლობა: **პლატონ ანთიძე** (თავმჯდომარე), **ფხალაძე** (მდივანი), **ჯორჯიკია, ჯოხაძე, მალინოვი და ჩიხრაძე.**

რკინის გზებზე

ჭიათურის შტოს გაფართოება

ჭიათურაში მარგანეცის ამოღება და გადაზიდვა ამ უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაიზარდა. მომავალში ეს საქმე კიდევ უფრო უნდა განვითარდეს.

მადანის დამუშავების გაძლიერებასთან დაკავშირებით წამოჭრილია ჭიათურის რკინის გზის შტოს გაფართოების საკითხი, ვინაიდან ეხლანდელი ვიწრო შტო ვერ დააკმაყოფილებს მადანის გაძლიერებულ გადაზიდვის საჭიროებას.

ეს საკითხი განხილულ იქნა გზათა სახალხო კომისარიატში, სადაც მიზანშეწონილად იქნა შტოს გაფართოვება შემდეგი სახით:

არსებული ვიწრო შტო, რომლის სიგანე უდრის 900 მილიმეტრს, გაფართოვდება ასი მილიმეტრით, ე. ი. მისი სიფართე იქნება ერთი მეტრი.

შორაპანში მადანის გადატვირთვა რჩება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს საქმე მექანიზაციაქმნილი იქნება.

გზათა კომისარიატმა ეს საკითხი განსახილველად გადასცა შრომისა და თავდაცვის საბჭოს, სადაც იგი მოიწონეს და დაადგინეს, რომ ჭიათურის შტოს გაფართოვება უნდა დამთავრდეს 1931-32 წელში.

შემთხვევა სადგ. ხარაგოულში

3 ივნისს, ღამის 3 საათზე და 55 წუთზე ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას: სადგურიდან უნდა წასულიყო სახალხო მატარებელი № 44 იგი მიდიოდა ძიმწოლი ორთქლმავლით. მატარებელი ჯერ კიდევ დაძრული არ იყო, რომ მიმყოლ ორთქლმავლის მემანქანეებ ტატიაშვილმა აამოძრავა მანქანა და დაეჯახა ბოლო ვაგონს. დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ დაზიანდა ოთხი საკლასო ვაგონი და ლიანდაგს ასცდა თვით ორთქლმავლის ტენდერი. დაიჭირა მემანქანის თანაშემწე **პატიაშვილი.** შემთხვევის ადგილზე გაგზავნეს დამხმარე მატარებელი. დაზიანებულ ვაგონებიდან მგზავრები გადასვეს სხვა ვაგონებში და მატარებელი წავიდა 4 საათზე და 55 წუთზე.

მატარებლების მოძრაობა ამ ხნის განმავლობაში შეწყვეტილი იყო.

საგზაო კომიტეტის აპარატის გამუშურება

ამჟამად სწარმოებს რკინისგზელთა პროფკავშირის ა.-კ. საგზაო კომიტეტის აპარატის გამუშურება.

აპარატში შეჰყავთ ხუთი დამკვრელი მუშა.

აქედან ორი ამხანაგი უკვე შერჩეულია და დანიშნულია საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. ერთი მათგანი ამხ. **გავა (სტალინის სახ. ქარხნის ზეინკალი)** დანიშნულია მოძრავ შემადგენლობის შეკეთების ჯგუფის გამგედ და მეორე ამხ. **კვირიკაშვილი** (სამტრედიის დეპოს მემანქანე) ექსპლოატაციის ჯგუფის გამგის თანაშემწედ.

წითელი პროფესურის ინსტიტუტის

მოსამზადებელი განყოფილება ბაქოში

მიღების პირობები 1930—31 სასწავლო წლისათვის

1. მოსამზადებელი განყოფილების ამოცანაა — მომზადება წითელი პროფესურის ინსტიტუტის ძირითად განყოფილებებზე შესასვლელად. მოსამზადებელ განყოფილებაზე ყოფნის ვადა განსაზღვრულია ორი წლით.

2. მოსამზადებელ განყოფილებას აქვს მთლიანი პროგრამა და განყოფილებებს არ შეიცავს. მიმდინარე წელს მიღება სწარმოებს მხოლოდ პირველ კურსზე.

3. ამიერ - კავკასიის მოსამზადებელ განყოფილებაზე კურსდამთავრებულთა გადასვლა წითელ პროფესურის ინსტიტუტის ძირითად განყოფილებებზე, ხდება დამატებითი გამოცდებისა და შემოწმების გარეშე, მოსამზადებელ განყოფილებაზე მეცადინეობის შედეგების საფუძველზე.

4. მოსამზადებელ განყოფილებაზე მიიღებიან საქ. კ.პ. (ბ) წევრები, მხოლოდ მუშები და გლეხები, არა ნაკლებ 30 წლის ჰასაკისა, რომელთაც აქვთ: 1) არა ნაკლებ 5 წლის პარტიული სტაჟი ან 4 წლის სტაჟი, ხოლო მანამდე აქტიური კომკავშირული მუშაობის სტაჟი; 2) მუშებისათვის არა ნაკლებ ხუთი წლის საწარმოო სტაჟი; 3) მასიური პარტიული, პროფესიონალური ან კომკავშირული მუშაობა საფუძვლიანი გამოცდილება; 4) საერთო განათლება მუშფაკის კურსის ფარგლებში.

შენიშვნა: 1. პარტიული სტაჟის შემცირება, მაგრამ არა ნაკლებ 3 წლისა, დასაშვებია მხოლოდ მსხვილ საწარმოოს მუშებისათვის. რომელთაც აქვთ რევოლიუციონური სტაჟი და პარტიული მუშაობის გამოცდილება.

2. ჰასაკობრივი განსხვავება 2-3 წლით დასაშვებია, მხოლოდ რევოლიუციონურმებრძოლ მუშაობის დიდი სტაჟის შემთხვევაში.

5. კანდიდატებს მოსამზადებელ განყოფილებებზე გზავნიან საოლქო კომიტეტები, რაიკომები, დედა ქალაქის ორგანიზაციები და მსხვილი საფაბრიკო - საქარხნო კომიტეტები ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ მიცემულ საორიენტაციო განაწილების საფუძველზე.

შენიშვნა: მუშფაკებიდან და კომუნივერსიტეტებიდან მიიღებიან არა ნაკლებ 3-4 წლის ხელმძღვანელი მუშაობის სტაჟის მქონე ამხანაგები, არა უადრეს 2 წლისა კომუნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ.

6. ყველა ამხანაგებმა, რომლებიც იგზავნებიან მოსამზადებელ განყოფილებაზე, არა უგვიანეს 1930 წლის 20 ივნისისა უნდა წარადგინონ რესპუბლიკის პარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებაში: 1) განცხადება მისამართის აღნიშვნით; 2) მოკლე ავტობიოგრაფია საწარმოო სტაჟის, მუშაობის ადგილის და დროის სწორი აღნიშვნით; 3) შემოწმებული პარტიული სტაჟი, სოციალური მდგომარეობა და საწარმოო სტაჟი; 4) გამგზავნი ორგანიზაციის რეკომენდაცია პარტიული დახასიათებით, დამტკიცებული ისეთი პარტიული კომიტეტის მიერ, რომელიც საოლქო კომიტეტზე ან რაიკომზე დაბალი არ უნდა იყოს; 5) მოწმობა მუშფაკის ან სხვა სასწავლებლის დამთავრების შესახებ, თუ კი ამხანაგს დაუმთავრებია იგი; 6) სამხედრო დოკუმენტის ასლი და 7) საექიმო კომისიის დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

7. საქ. კ.პ. (ბ) ამ.-კავ. საოლქო კომიტეტის მიერ დამტკიცებულ კანდიდატებს განიხილავს საქ. კ.პ. (ბ) ც.კ-ის სამანდატო კომისია და განხილვის შემდეგ ეს უკანასკნელნი ჩაითვლებიან გამოცდებზე დაშვებულებად.

8. საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის სამანდატო კომისიის მიერ გამოცდებზე დაშვებული ამხანაგები იღებენ ორი თვის შვებულებას ხელფასის შენახვით (გარდა მორიგი შვებულებისა) პარტიულ კომიტეტის მიერ გადაწყვეტილ ვადაში ,მაგრამ არა უგვიანეს 1 ივლისისა.

9. 1930 წლის 1-დან 15 სექტემბრამდე გამოცდებზე დაშვებულებმა უნდა ჩააბარონ შესასვლელი გამოცდები შემდეგ საგნებში: ისტორიული მატერიალიზმი და საბჭოთა კონსტიტუცია, პოლიტიკური ეკონომია და ეკონომიური პოლიტიკა, საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორია, საქ. კ.პ. (ბ) ისტორია და ლენინიზმი.

10. სავალდებულო ლიტერატურა და მოთხოვნათა პროგრამა 1930-31 სასწავლო წელს წითელი პროფესურის ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზე მისაღებ გამოცდებისათვის რჩება იგივე, რაც მოსკოვის მოსამზადებელ განყოფილებაზე (იხ. პროსპექტი და „წით. პროფ. ინსტ. ბიულეტენი“ №№ 1, 2, პროგრამები და ლიტერატურა დაეგზავნა პარტიის ც.კ-ის კულტპროპგანყოფილებებს.

შენიშვნა: პროვინციალურ განყოფილებებზე მოთხოვნა რუსულ ენისა და მათემატიკაში არ ვრცელდება.

11. მოსამზადებელ განყოფილებაზე (2 წლიანი კურსი) გაივლიან: ა) მსოფლიო ისტორიას, ბ) საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიას, გ) ფილოსოფიას და ისტორიულ მატერიალიზმს, დ) პოლიტიკურ ეკონომიას საბჭოთა ეკონომიის ციკლით, ე) ლენინიზმს და გერმანულ ენას.

შენიშვნა: იმ ამხანაგებისათვის, რომელთაც არა აქვთ საერთო განათლების ცოდნა მუშფაკის ფარგლებში, ეწყობა სავალდებულო მეცადინეობა რუსულ ენისა და საშუალო მათემატიკაში.

12. მოსამზადებელ განყოფილებაზე 1930-31 წელს საკანდიდატო ადგილების საორიენტაციო განაწილება წესდება შემდეგნაირად:

1) საქ. კ.პ. (ბ) ამ.-კავ. საოლქო კომიტეტს—5.
2) აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ც.კ-ს—35.
3) საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ს—26.
4) სომხეთის კ.პ. (ბ) ც.კ-ს—14.
5) საქ. ალკკ ა.-კ. საოლქო კომიტეტს—3.
6) კავკ. წითელდროშ. არმიის პოლიტსამმართველოს—5.

13. წითელი პროფესურის ინსტიტუტის მოსამზადებელი განყოფილების ყველა მსმენელნი უზრუნველყოფილნი იქნებიან სტიპენდიით 175 მანეთის რაოდენობით.

ყველა ცნობებისათვის უნდა მიმართონ შემდეგი მისამართით: ქ. ბაქო, ამხ. პეჩორსკის და ბოგდანოვის, კომუნისტური ქ. № 7, ამხ. შაუმიანის სახელობის ინსტიტუტი, მე-3 სართული.

სავალდებულო ლიტერატურა წითელი პროფესურის ინსტიტუტის ამიერკავკასიის მოსამზადებელი განყოფილების 1930-31 სამოსწავლო წლის მისაღებ გამოცდებისათვის

1. ისტორიული მატერიალიზმი

1. **მარქსი და ენგელსი:** კომუნისტური მანიფესტი, დ. რიაზანოვის კომენტარიებით.
2. **ენგელსი:** სოციალიზმის განვითარება უტოპიისაგან, მარქსისა და ენგელსის ინსტიტუტის გამოცემა.
3. **ენგელსი:** ლიუდვიგ ფეიერბახი. მარქსისა და ენგელსის ინსტიტუტის გამოცემა.
4. **ლენინი:** მარქსი. ენგელსი. მარქსიზმი, ლენინის ინსტიტუტის გამოცემა.
5. **პლეხანოვი:** მონისტური თვალსაზრისი ისტორიაზე. მარქსიზმის ძირითადი საკითხები.
6. **დებორინი:** ლენინი, როგორც მოაზროვნე.

2. პოლიტიკურ ეკონომიაში

1. **კაუცკი:** კ. მარქსის ეკონომიური მოძღვრება.
2. **ლაპიდუსი და ოსტროვიტიანოვი:** პოლიტიკური ეკონომია საბჭოთა მეურნეობის თეორიასთან დაკავშირებით. გამოცემა მეოთხე.
3. **ლენინი:** იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უახლოესი ეტაპი.

III. ეკონომიურ პოლიტიკაში:

1. **ლენინი,** ტ. XVIII. ა) სასურსათო გადასახადის შესახებ; ბ) მოხსენება სასურსათო გადასახადის შესახებ რ. კ. პ. (ბ) სრ. რუსეთის კონფერენციაზე 1921 წ. 26 მაისს; გ) თეზისები რ. კ. პ. (ბ) ტაქტიკის შესახებ, მიღებული კომუნისტური ინტერნაციონალის მესამე კონგრესის მიერ; დ) მოხსენება რ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მოქმედების შესახებ პარტიის მე-XI ყრილობაზე; ე) კოოპერაციის შესახებ; ვ) როგორ უნდა გადავაკეთოთ მუშგლებინი?? ზ) უმჯობესია ნაკლები, მაგრამ უკეთესი.
2. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტიკური მოხსენებები მე-XIV ყრილობაზე, მე-XV პარტკონფერენციაზე მე-XV ყრილობაზე და მე-XVI პარტკონფერენციაზე.
3. **სტალინის წერილები:** 1) „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“. 2) პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს.
4. საქ. კ. პ. (ბ) XVI ყრილობის გადაწყვეტილებები და რეზოლიუციები.

IV. საბჭოთა კონსტიტუციაში

1. **სტუჩკა:** მოძღვრება პროლეტარიატის სახელმწიფოს და მისი კონსტიტუციის შესახებ (უკანასკნელი გამოცემა).
2. **გურვიჩი:** საბჭოთა კონსტიტუციის საფუძვლები.

V. ისტორიაში

1. **მარქსი:** სამოქალაქო ომი საფრანგეთში.
2. **მარქსი:** კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში 1848 წელს.
3. **პოკროვსკი:** რუსეთის ისტორია შემოკლებული პროგრამით (ნაწ. 1, 2, 3).
4. **მონოსოვი:** რევოლიუციონური მოძრაობების ისტორია.
5. **ა. არკი:** მუშათა მოძრაობის სამი ტიპი.
6. **მოლოკი:** პარიზის კომუნა.

VI საქ. კ. პ. (ბ) ისტორიასა და ლენინიზმში

1. **ლენინი:** ა) ტ. VI. ორი ტაქტიკა (ბროშურა), ბ) ტ. IX. აგრარული პროგრამა, სოც.-დემ. რუსეთის რევოლიუციაში; გ) ტ. XIII. სოციალიზმი და ომი; დ) ტ. XIV. შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები ხელისუფლებას? ე) ტ. XVIII. ნაწ. 2. ჩვენი რევოლიუციის შესახებ.
2. **ნ. ნ. პოპოვი:** ნარკვევები საქ. კ. პ. (ბ) ისტორიიდან.
3. **სტალინი:** ლენინიზმის საკითხები.
4. საქ. კ. პ. (ბ) მე-XIV ყრილობის მე-XV კონფერენციაზე, მე-XV ყრილობაზე და მე-XVI პარტკონფერენციაზე.

წითელი პროფესურის ინსტიტუტის მოსამზადებელი განყოფილების გამგე ბაქოში — პეჩერსკი.

მხარეთმცოდნეობის გამოფენა საქ. უნივერსიტეტში

1 ივნისს, სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა მხარეთმცოდნეობის დიდი გამოფენა. გამოფენის გახსნის აღსანიშნავად უნივერსიტეტის კლუბში შესდგა სტუდენტთა საზეიმო სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა პროფესორების, სტუდენტთა და საქ. გეოგრაფიულ საზოგადოების წარმომადგენელთა მისალმებები. ორატორები აღნიშნავდნენ გამოფენის როგორც მეცნიერულ. ისე პრაქტიკულ მნიშვნელობას, მხარეთმცოდნეობის შესწავლის დარგში.

შემდეგ მოხდა გამოფენის საჭირო დათვალიერება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 1000-ზე მეტმა კაცმა. გამოფენაზე განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სამეცნიერო წრის მიერ მოწყობილი კუთხე, სადაც წარმოდგენილია მცენარეთა და ცხოველთა საუკეთესო ნიმუშები. გამოფენაზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის მიღწევებს (ზაჰესი, საბინაო მშენებლობა, კოოპერაცია, ფაბრიკა - ქარხნები და სხ.). საუკეთესო შთაბეჭდილებას სტოვებს აგრეთვე მნახველებზე საქ. გეოგრაფიულ საზოგადოების კუთხე, რომელსაც უჭირავს 3 ოთახი. მასში მოცემულია მთასვლელობის უკანასკნელი მიღწევები; სამეც. ექსპედიციის მგზავრობა სვანეთში; მყინვარ წვერზე ასვლა და ცნობილ ალპინისტ. ს. ჯაფარიძისა და პ. დვალის დაღუპვის მომენტები.

2 ივნისს გამოფენა დაათვალიერეს თბ. სასწავლებლების მოწაფეებმა. გამოფენა გაგრძელდება 20 ივნისამდე.

ი. ჯ.

ღვინის სიმჟავეების დამამზადებელი ქარხანა

ა.-კ. სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოში შესდგა სპეციალური თათბირი, რომელმაც განიხილა საქართველოში ღვინის სიმჟავეების დამამზადებელ ქარხნის აგების საკითხი.

თათბირმა დაადგინა აგებულ იქნეს თბილისში ასეთი ქარხანა.

ქარხანა დაჯდება 1.500.000 მანეთი. ქარხანა პირველ წელს გადაამუშავებს 500 ტონა ღვინის ნარჩენებს (ჭაჭას, ნალექს და სხვ.), ხოლო შემდეგ წლებში გაფართოვებული იქნება და. გადაამუშავებს 3000 ტონას.

ღვინის ნარჩენების შესაძენად მევენახეობა-მეღვინეობის რაიონებში გაიხსნება სპეციალური პუნქტები. პირველ ხანებში პუნქტები მოეწყობა ზესტაფონში, სვირში, ბაღდათში, მუკუზანში, ყვარელში და სხვ.

ღვინის სიმჟავეები, რომლებზედაც დიდი მოთხოვნილებაა და აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ლაბორატორიებში მუშაობისათვის, გატანილი იქნება როგორც ა.-კავკასიის, ისე სხვა მეზობელ რესპუბლიკებში.

ქარხნის პროექტის და ხარჯთაღრიცხვის შესადგენად გამოყოფილია სპეციალური კომისია.

ჭადრაკი

გოგლიძის და მაესტრო ნენაროკოვის მატჩი

მეცხრე პარტია

ორშაბათს, 2 ივნისს, ხელოვანთა სასახლეში გახახლდა დროებით შეწყვეტილი ვ. გოგლიძის და მაესტ. ნენაროკოვის მატჩი. მოსალოდნელი იყო, რომ შემთხვევით დასვენების შემდეგ პარტია უფრო საინტერესო და მთლიანი გამოდგებოდა, ვიდრე მატჩის წინა პარტიები. მოსალოდნელი იყო, რომ ამ პარტიაში არც ერთი მხარე არ დაზოგავდა თავის ძალღონეს და უფრო დიდის მონდომებით შეუტევდნენ ერთმანეთს. მოლოდინი სავსებით გამართლდა. პარტია თავიდან ბოლომდე რთულ და გამწვავებულ ბრძოლის ნიშნით ჩატარდა.

მეფის პაიკის დებიუტის წინაამდეგ გოგლიძემ შავებით აირჩია თავისი საყვარელი გაგრძელება, სახელდობრ: სიცილიური პარტია. აღნიშნულ პარტიის წინაამდეგ თეთრებმა რომ რაიმე შედეგს მიაღწიონ, აუცილებლად უნდა მიჰყონ ხელი აქტიურ თამაშს და თავიდანვე შეეცადნონ როგორმე იერიში განავითარონ მოწინააღმდეგის მეფეზე, რადგანაც წინაამდეგ შემთხვევაში დებიუტის პრობლემას შავები ადვილათ გადასწყვეტენ თავის სასარგებლოდ.

ასეც მოხდა ამ პარტიაში. ნენაროკოვმა შედარებით პასიური გაგრძელება აირჩია, რომლის შედეგათ გოგლიძემ უკვე დებიუტშივე მიიღო რამოდენიმეთ უკეთესი მდგომარეობა, რაც ნენაროკოვმა უფრო გააძლიერა თამაშის შემდეგ პროცესში თავის უსწორო გეგმით. ყველა ამის შედეგათ გოგლიძე საშუალებას ღებულობს განავითაროს სასტიკი იერიში მოწინააღმდეგის მეფეზე, სადაც მას ჩქარა, შემთხვევა ეძლევა მოიგოს პაიკი და გადაიყვანოს თამაში ენდშპილში. მაგრამ ამ ენდშპილის მოგება მეტად სამძიმო იქნებოდა და ამიტომ იგი ირჩევს სხვა გეგმას, სახელდობრ: მოწინააღმდეგის მეფის დაშამათებას. მიუხედავად ყოველი ღონისძიებისა, ნენაროკოვი შექმნილ მდგომარეობიდან ვერ აღწევს თავს, ყოველ მის განზრახვას წინ ელობება გოგლიძის მხრიდან ზუსტი თამაში. ჩქარა გოგლიძე აიძულებს ნენაროკოვს დაკარგოს ჯერ პაიკი, შემდეგ ხარისხი და მალე იგი ნებდება კიდეც.

ამრიგათ მატჩის მდგომარეობა მეცხრე პარტიის შემდეგ ასეთია: +5—3=1 გოგლიძის სასარგებლოდ. უკანასკნელი პარტიის მოგებით, მატჩის მოგების შესაძლებლობა დარჩა მხოლოდ გოგლიძეს, რადგანაც მატჩის პირობების თანახმად (+5—5 ანგარიშის დროს მატჩი ითვლება ყაიმით) ყაიმი მას უკვე უზრუნველყოფილი აქვს.

დღეს, 4 ივნისს, საღამოს სრულ 6 საათიდან გათამაშდება მატჩის მეათე პარტია. თეთრებით თამაშობს გოგლიძე.

ფ—ლი.

შემთხვევები

ავტომობილის მსხვერპლი

ავტომობილი № 385, რომელსაც მართავდა შოფერი გიორგი იოსების ძე ჯარაშლელოვი, თუმანოვის ქუჩის შესახვევში დაეჯახა მარიამ გრიგოლის ასულ ნუდელს, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

ტრამვაის ქვეშ

პლეხანოვის პროსპექტზე კინო „აპოლო“-ს პირდაპირ ტრამვაის ვაგონი, რომელსაც მართავდა ვატმანი აბესაძე, დაეჯახა მიტო ალელაძეს, რომელიც მძიმედ დაშავდა. ალელაძე გადაიგზავნა ქალაქის 2-რე საავადმყოფოში.

შეპყრობა

შეიპყრეს გალუსტ გიორგის ძე ალექსიანცი (მცხ. გოგოლის ქუჩა № 13), რომელმაც თეოფილე არსენის ძე სვანს ჯიბიდან ამოაცალა 7 მან.—პლეხანოვის პროსპექტზე რევოლვერის სროლისათვის შეიპყრეს პორფილე პეტრეს ძე რაზოევი.

ჯიბგირობა

სერგო ავლეს ძე ფედორჩენკოს ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს საფულე და საბუთები.—ამბაკო უგულოვს ჯიბიდან ამოაცალეს 130 მან. ილია ფილიპეს ძე მაღულარიას ჯიბიდან ამოაცალეს 150 მან.

ქურდობა

გაქურდეს ვალენტინა ანდრეევის ბინა (შვინდისის ქუჩა № 13), საიდანაც მოიპარეს 50 მან. თეთრეული.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათს, 4 ივნისს

დილით (8 ს. 30 წ. 9 ს. 30 წუთამდე) ქალაქის სატრანსლიაციო ქსელით გადაცემული იქნება „მუშათა შუადღე“. პროგრამაში: ახალი ამბები და კონცერტი.

საღამოთი 10 კილოვატიანი რადიო-სადგურით გადაცემული იქნება შემდეგი პროგრამა: კონცერტი, ოქტომბრელთა საათი, რუსულ ენაზე; რადიო-გაზეთი, ქართულ ენაზე; საუბარი საკვების დასილოსების შესახებ, რუსულ და სომხურ ენებზე; დროის შემოწმება, გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები; რადიო-გაზეთი, რუსულ ენაზე; ტრანსლიაცია კონცერტისა რუსთაველის თეატრიდან; რეკლამა, უკანასკნელი ცნობები.

ოფიც. განყოფილება

ინსტრუქცია

საქ. სსრ შრომის სახკომისარიატისა და სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსი

1930 წლის მაისის 9

„საწარმოებში უშიშროების ტეხნიკის ბიუროს მოწყობის შესახებ“.

1. შრომის დაცვისა და ტრავმატიზმთან ბრძოლის საქმის სწორად დაყენების მიზნით მსხვილ საწარმოებთან ეწყობა უშიშროების ტეხნიკის ბიურო.

2. ბიუროს შემადგენლობაში შედიან:

ა) პასუხისმგებელი პირნი უშიშროების ტეხნიკის დარგში,

ბ) ცალკე საამქროების გამგენი, რომლებიც უშიშროების ტეხნიკის დარგში პასუხისმგებლობას ატარებენ,

გ) შრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარენი;

დ) საფაბრიკო-საქარხნო ექიმი (უკეთუ ასეთი თანამდებობა არსებობს);

ე) მთავარი მექანიკოსი.

შენიშვნა: კომისიას ეძლევა უფლება მოიწვიოს უშიშროების ტეხნიკის დარგში მცოდნე პირნი.

3. ბიუროს სათავეში უდგას უშიშროების ტეხნიკის დარგში პასუხისმგებელი პირი.

4. ბიუროს მოვალეობაში შედის:

ა) ცალკე დამახასიათებელ უბედურ შემთხვევების შესწავლა და განხილვა;

ბ) შესწავლა და განხილვა, როგორც ცალკე ახალ ნაგებობათა და მოწყობილობათა, ისე თვით საწარმოს მიერ წარმოებულ შეკეთებებისა;

გ) შრომის დაცვის მიზნით საწარმოში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის დახმარების გაწევა;

6. საწარმოში შრომის პირობების შესწავლა პროფსანიტარიისა და უშიშროების ტეხნიკის დარგში;

7. შრომის პირობების გაუმჯობესების ღონისძიებების დამუშავება;

8. საწარმოს ადმინისტრაცია და აგრეთვე ინჟენერი ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ უშიშროების ტეხნიკის ბიუროს მუშაობას.

9. შრომის ინსპექცია ვალდებულია ბიუროს მუშაობაში აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება.

10. ბიურო ვალდებულია წარმოებულ მუშაობის შესახებ თავისი ანგარიში ყოველი ნახევარი თვის გავლის შემდეგ წარუდგინოს რაიონის შრომის ინსპექტორს.

11. მონაწილეობა მიიღოს საწარმოო თათბირებსა და წრეებში შრომის პირობების გაუმჯობესების და გამოგონებათა საკითხების განხილვაში.

საქ. სსრ შრომის სახკომისარის მოადგილე:
ათოევი.

სახ. მეურ. უმაღ. საბ. თავმჯდომარე:
საგარაშვილი.

პარტიული კალენდარი

5 ივნისს, საღამოს 6 საათზე, სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა კლუბის შენობაში შესდგება სახ. უნივერსიტეტის და სასოფლო-სამ. ინსტიტუტის კომპარტიის და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებული კრება. ყველა უჯრედების წევრების, როგორც პარტიის, ისე კომკავშირის, დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

დღეს, 4 ივნისს, პროფსაბჭოს დარბაზში (მუშათა სასახლე)
შესდგება ყველა ნაბეჭდი და კედლის გაზეთების
მუშკორთა, სამხკორთა და ახკორთა
საქალაქო კრება
დღის წესრიგშია:
ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახკომისრის—ამხ. იაკოვლევის მოხსენება: „მუშათა და გლეხთა ინსპექცია და მუშკორები“.
დასაწყისი საღამოს 6 საათზე.
გარდა მუშკორებისა, კრებაზე მიწვეული არიან მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაკები, ადგილობრივი გაზეთების წარმომადგენლები და სასამართლოს მუშაკნი.

აპოლო 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.	მხატვრული ფილმი ძია თომას ქოხი ბიჩერ-სტოუს რომანის მიხედვით	პალასი 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 30 წ.	ახალი კომედია მეჟრაბპომ ფილმის ნაწარმოები 120.000 წლიურად
სპარტაკი ყოფ. არფასტო	საუკეთესო სურათი ბრძმედის გმირები	რ. ლიუქსემბურგის სახ. (ყოფ. მინიონი)	კონრად ვეიდტი და ელისაბედ ბერგნერი მხატვრულ სურათში მექიანურა ფლორენციიდან
სოლეი 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.	მილდრედ დევისი და კარლ მილერი მხატვრულ სურათში მსჯავრდადებულნი	დარბაზი 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 30 წ.	უკანასკნელად ზელიმ-ხანი ცნობილ იუმორისტის და სატირიკოსის ვ. ლ. რაზდოლსკის გასტროლები

4 ივნისი | სახალხო კონსერვატორიის დარბაზში | 4 ივნისი
კარლო კალაძის და სიმონ ჩიქოვანის
პოეზიის საღამო
ბესარიონ ჟღენტი — მოხსენება ახალი ლექსის შესახებ
მონაწილეობენ: ვერიკო ანჯაფარიძე, უშანგი, ჩხეიძე, ხათუნა ჭიჭინაძე, გრიგოლ კოსტავა
დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე.
ბილეთები იყიდება სახ. კონსერვატორიაში.
1—1 სალარო ღიაა დილ. 11 ს.—3 საღ. 6—10

მალე!
მოპირდაპირე
ქარი
მალე!
ნ. 840

ამა წლის 4 ივნისს, საღამოს 6 საათზე
დაიწყება
წყალსადენ--კანალიზაციის
ტრესტის
აპარატის წმენდა
(წყალსადენ-კანალიზაციის კლუბში ფურესის ქ. № 44)
გთხოვთ მიაწოდოთ კომისიას საქმიანი მასალები.
გამწმენდი კომისიის თავმჯდომარე პლატონ ანთიძე.
ნ. 835

მასწავლებლები
უმაღლესი ცოდნით
ამზადებენ მოწაფეებს:
სპეც-ტეხნიკუმებისათვის, მუშფაკებისათვის და საბუღალტრო კურსებზე შესასვლელად.
პირობების გაგება 4—7 საათამდე. კარგარეთელის ქ. № 3-A, ბინა № 2. (ყოფ. პირაგოვის ქ. კინო აპოლლოს მახლობლად). 25-1

გამოცდილი ბუღალტერი
ქართულ და რუსულ ენაზე
ამზადებს შესასვლელად
საბუღალტრო
კურსებზე
ბუღალტერიასთანაც გაცნობით (თეორ. და პრაქტიკ.) და ასწავლის
ლამაზსა და ჩქარ წერას.
მოკლე ხანში უსწორებს ხელს.
რუს. ენის და არითმეტ. გაკვეთ. ხელმისაწ. ფასებში.
ალავერდ. მოედ., ახოსპირელის 1-ლი ჩიხი, № 6, ბინა № 3 (ყ. ველიამინოვის ქ. მახლობ.) 1990 2—1

„ზაკორგსტროი“
1930 წლის 6 ივნისიდან
გადადის
ხუთდღიან სამუშაო კვირაზე
(დასვენება მეხუთე დღეს). მეხუთე ჯგუფის ყველა გამოსასვლელ დღეებში „ზაკორგსტროი“-ს კანტორა დაკეტილი იქნება. ივნისში კანტორა არ იმუშავებს: 6, 11, 16, 21, 26. ნ. 841

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად

— სამხ. საალრიცხვო ბარათი № 34, კავშ. წიგნაკი № 135844 და დამზღვევი სალაროს წიგნაკი № 530—დავით ბალარჯიშვილის სახელზე. 2995
— 7 წლედის დამთავრების მოწმობა № 183, გაცემული ქარელის შრ. სკ. მიერ და მეტრიკული ამონაწერი რევაზ საზანდარიშვილის სახ. 2978
— კავშირის წიგნაკი № 10523 გერვასი ივანეს ძე სონაძის სახელზე. 2971
— კავშირის წიგნაკი № 6664 სოლომონ თევდორაძის სახელზე. 2970
— კავშირის წიგნაკი № 6493 ქეთო ნიკოლოზის ასული ოქრომჭედლიშვილის სახელზე. 2969
— პირადობის მოწმობა ლიუბა ბესარიონის ასული კვაჭაძის სახ. 2972
— სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი მარკოზი ბუხრიშვილის სახელზე. 2976
— კავშირის წიგნაკი № 12284 და შემნახველ სალ. წიგნაკი № 5256 რუბენ აკოფოვის სახელზე. 2973
— კომპარტიის მანდატი № 0854236—ნიკიფორე ჩხარტიშვილის სახ. 2977
— პურის წიგნაკი № 12403 სიმონ მიხეილის ძე გლოველის სახელზე. 2989
— პურის წიგნაკი № 18901 აკოფ არტემის ძე თამაზოვის სახელზე. 2990
— პირადობის მოწმობა, ავიაქიმის, რემედასის, წითელი ჯვრის და წერკუმსის წიგნაკები გრიგოლ ნესტორის ძე ხუნწარიას სახელზე. ნ. 836
— მუშკოოპის წიგნაკი № 10737 ი. ასლანიშვილის სახელზე. 2994
— სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლების უვადო მოწმობა იოსებ ალექსის ძე ბასილაშვილის სახელზე. 2993

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

პ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვის მოედანის მახლობლად). სპეციალურად საშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურების, ტრიპერის, სიფილისის, ბუასილიდა სიმხივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამდე და საღ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—10

პ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“ ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

ი. ვ. ხანდამოვი იღებს სპეციალურად სიფილისი ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება: 8—11 საათამდე დილით და 6—8 საათამდე საღამოს, ძნელაძის ქ. № 35 (ყოფ. საპიორის). 25—1

ი. ი. ბერიშვილი ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოე“-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

დ. ს. რიჟინაშვილი კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 ს. და 5—7 საათ. საღ. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის პრ. კუთხე. ტელ. 25—68. 25—2

დ. ლ. თევზაძე ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა—ხმის და მეტყველების მოშლილობათა. ეზოფაგოსკოპია და ბრონქოსკოპია აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა. მიღება: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩის) სოლოლ. ტელ. 25—73. 25—1

ნ. კონტოროვიჩი თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ძერჟინსკის ქ. № 9. ყოფ. პეტრე დიდის ქ.) თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

გ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი: სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) საზ. № 3. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ, დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“ მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—1

ქ. ქუთაისი თ. ვ. აკოფაშვილი შინაგანი სნეულება—სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7, (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით). 13—1

ლოგოპედი ა. ა. კაიშაური ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს. იღებს საღამოს 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132 ტელ. 26—01. 25—

ნინო მირიანაშვილი ექიმი—ვენეროლოგი იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს—ტრიპერი, სიფილისი, შესხმა „914“ (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 6—8 საათამდე. მოსკოვის ქუჩა № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: ანნა, ალექსანდრა (საშა), ილიკო და ბესარიონი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს, ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი მამა

დიმიტრი (დუტუ) ვასილის-ძე მამულია

სამოქალაქო პანაშვიდი და გამოსვენება დღეს, 4 ნახევ. საათზე, ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოდან, კამოს ქ. № 103, ვერის ახალ სასაფლაოზე. 2953

უღრმეს მწუხარებაში მყოფი ივანე (ივაკა) მამულია მეუღლით და შვილებით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს უსაყვარლესი ძმის

დიმიტრი (დუტუ) მამულიას

გარდაცვალებას. 2981

თინა ხერხეულიძე, მაგი ქუკსი, შუშანა ქლენტი და ანგელინა დიდია გამოსთქვამენ უღრმეს მწუხარებას მათი უახლოესი მეგობრების ანა და საშას ძვირფასი მამის

დიმიტრი ვასილის-ძე მამულიას

გარდაცვალების გამო. 2982

სრულიად საქართველოს ცაკის თანამშრომლები მწუხარებას გამოსთქვამენ თავის კარგი ამხანაგის და მეგობრის—ანიკო მამულიას მამის

დიმიტრი ვასილის-ძე მამულიას

გარდაცვალების გამო. 2974

ამხანაგები და ყოფ. თანამოსამსახურეები: მ. საბაშვილი, ა. სუხიშვილი, ალ. გოცირიძე, ვ. ფანიაშვილი, ჰ. ვალნერი, ი. ჯაფარიძე, მ. გაბაშვილი, ე. წერეთელი, ე. ჯობავა, გ. წერეთელი, ვ. ქავთარაძე, ს. ჩანტლაძე, ი. თვალჭრელიძე, მ. ჯაყელი, კ. თავბერიძე და ი. ტრიფონოვი აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს მათი ამხ. ი. მამულიას მამის

დიმიტრი (დუტუ) ვასილის-ძე მამულიას

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 ნახ. საათზე, ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოდან. 2988

საქ. კ.პ. (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტი აუწყებს ორგანიზაციის ყველა წევრებს, რომ ქ. ბათომში გარდაიცვალა პარტიის ძველი წევრი

ამხ. კოწია ნიჟნიანიძე 2991

აჭარისტანელი ამხ.: გობეჩია, ლორთქიფანიძე ზ., ქავთარაძე ა., სურმანიძე მ., ცეხაძე ა., ანასტასიადი მ., დოლიძე გ., სურგულაძე ი., გიორგაძე ი., ჯავახიშვილი ლ., სარჯველაძე ზ., ფალავა დ., ნევრაევი, ჩხენკელი, გუჯაბიძე, ჯინჭარაძე სერგო, ჯაში თ., მერკვილაძე ს., ერმაკოვი, მასლოვი, ვოლსკი, ფარცხალაძე ი., ცაკიდი ევგენია, დოლიძე თეოფილე და ხომასურიძე ა. აუწყებენ ამხანაგებს პარტიის ძველი წევრის და მეგობრის

კოწია ნიჟნიანიძის

უდროოდ გარდაცვალებას. 2991

შილა ჩიხლაძე, რომან კუპრავა, საშა ფურცელაძე, საშა შავგულიძე, დათიკო ხარაბაძე, ირაკლი შოთაძე, ვასილ ურჩანეიშვილი, ვარლამ ჭრელაშვილი, პლატონ ბერძენი, გრიგოლ ჭაბუკიანი, პლატონ ლოსაბერიძე და ნიკო ჯანიაშვილი აუწყებენ საზოგადოებას ა.-კ. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. ალექსი ყამარაულის მამის

იაკობ დავითის-ძე ყამარაულის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ოთხშაბათს, 4 ივნისს, 5 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება პლეხანოვის პრ. № 117. 2962

საქ. მთიელთა კულტ. საზოგადოების მუშა-მოსამსახურენი მწუხარებით იუწყებიან ამავე საზოგადოების წევრის

იაკობ დავითის-ძე ყამარაულის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 4 ივნისს, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება 5 საათზე, ბინიდან—პლეხანოვის პრ. 117. 2980

დედა ქეთევანი, ძმა ვლადიმერ, დები ნატაშა და ელენე ქავთარაძეები აუწყებენ საზოგადოებას

თამარ გიორგის ასული ქავთარაძის

გარდაცვალებას. ნ. 838

დამწუხრებული ამხანაგები: კატუშა და მარგო ხაბურზანიები, მამია დოჩია, ჩუტა პანტურია, კოსტა შენგელია, ოლია ფიფია, ჯოტო კარცხია, ლოლა ჩიტანავა, პიტა გვიჩია და ივანე შამუჩია აუწყებენ ამხანაგებს მათი საყვარელი ამხანაგის

ლოლიას (თამარ) ქავთარაძის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა 5 ივნისს, ქ. ზუგდიდში. ნ. 837

ღრმად მწუხარებაში მყოფნი უახლოესი ამხანაგები: კლავდია პანტურია, მარგო ქავთარაძე, ოლია ქვანია, თამარა ჯანაშია, ზინა სიგუა, ნინა მაევსკაია, კონსტანტინე შენგელია, კოსტა ადამია, ჯოტო კარცხია, ალექსანდრე ხონელიძე და კატო გვალავა აუწყებენ საზოგადოებას, რომ ა. წ. 31 მაისს ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ბათომის მთავარ საავადმყოფოში გარდაიცვალა მათთვის მუდამჟამს დაუვიწყარი ამხანაგი, ჩაქვის საცდელ სადგურის მოვარჯიშე

თამარა (ლოლა) გიორგის ასული
ქავთარაძე

დაკრძალვა ქალ. ზუგდიდში 5 ივნისს. (დეპ.)

ღრმად დამწუხრებულნი ცოლი ელპიტი, მამა ალექსი, დედა ლიზა, ცოლის ძმები: იოსები, დათიკო, ილუშა, ვალიკო; ცოლის და ნადია შამუგიები იუწყებიან, რომ უდროვოდ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი სიძე

თეოფილე დიმიტრის-ძე ღლონტი

დაკრძალვა 5 ივნისს 4 საათზე, სოფელ ქალაში, ოზურგ. მაზრა. 2984

გულდამწვარი შვილი ნინა სერგოს ასული მორჩაძე შანიძისა, სიძე ვასო შანიძე შვილით ლუდით აუწყებენ საზოგადოებას საყვარელ

სერგო ანტონის-ძე მორჩაძის

უდროოდ გარდაცვალებას. 2983

გულმოკლული მშობლები მარუსია და გიგილო ჩიქოვანები უღრმეს მადლობას უძღვნიან ყველა ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომელთაც გაიზიარეს მათი უზომო მწუხარება ერთად-ერთი შვილის

ელეონორას

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა მოხდა სოფ. ზედახუნწში 27 მაისს. (ზ)

გაუბედურებული მშობლები ლიუბა და ანდრია, დები ეკატერინე და თამარი ქმარშვილით იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

მარიამ (მანია) ანდრიას ასული
ჩუბინიშვილი

დაკრძალვა ხუთშაბათს, 5 ივნისს, 4 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება საბებიო ინსტიტუტიდან (ლენინის ქ.). ნ. 839 2-1

გაუბედურებული მშობლები მარიამ (მაშიკო) და ვარლამი, ძმა პავლუშა, დები ქეთევან (გუგული) და დარეჯანი, ბაბუა პავლე ქუთათელაძე იუწყებიან, რომ ხუთშაბათს, 5 ივნისს, 5 ნახ. საათზე, კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარი აგრ. ფაკულტ. მე-2 კურს. სტუდენტ

სიკო (სიმონ) ვარლამის-ძე იოსელიანის

ხსოვნის აღსანიშნავად. 2992

დამწუხრებული მეუღლე ნინო, შვილები: გიგო, ვალიკო, ივანე, კოლია; სიძე: რაჟდენ კუხალეიშვილი; ქალიშვილები—გოგოლა, ელენე, რძლები: მარო, ნინო, ანიჩკა, ძმისშვილები ანტონინა ქმარშვილით და ალექსანდრა ქმრით, ბადიშები—ვასილი, თამარა, გივი, კაპუნი და ოთარი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

კაპიტონ საყვარელის ძე ასათიანის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა შაბათს, 7 ივნისს სოფ. ასკანაში (გურია). (დეპ.)

ტირაჟი—55.188
საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი“, კამოს ქ. № 68.
მთავლიტი № 904